

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University

**სახელოვნებო მეცნიერებათა
ქიბანი**

№ 2 (101), 2026

ART SCIENCE STUDIES



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2026

ISSN 2720-8109 (web)

ISSN 1512-4215 (print)

UDC(უაკ) 7(051.2)

ს-364

სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი # 2 (101), 2026

სარედაქციო საბჭო:

ლელა ოჩიაური

კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ნათო გენგიური

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გიორგი ცხიტიშვილი

თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

რევაზ ჟიჟინაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორი

ნიკო კვარაცხელია

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ხათუნა დამიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ლიტერატურული რედაქტორი
თაშთა ქაჭანია

ტექნიკური რედაქტორი
ია ლოდია

დამკაბადონებელი
ეკატერინე ოქროპირიძე

კორექტორი
მანანა სანადირაძე

გამომცემლობის ხელმძღვანელი
მეკა ჰასაძე

Art Science Studies #2 (101), 2026

Editorial Board:

LELA OCHIAURI

Film critic, Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

NATO GENGIURI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

GEORGE TSKITISHVILI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Director of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

REVAZ CHICHINAZE

Professor of Media and Mass Communication Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

NIKO KVARATSKHELIA

Professor of school of business, computing and social sciences in St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

KHATUNA DAMCHIDZE

Choreologist, Dr. of Arts, Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Researcher of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

Literary Editor
TAMTA KAJAIA

Technical Editor
IA LODIA

Book Binding
EKATERINE OKROPIRIDZE

Proofreader
MANANA SANADIRADZE

Head of Publishing House
MAKA VASADZE

კრებულისათვის მოწოდებული მასალა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვაწოდეთ და ცნობებისათვის მოგვმართეთ: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #40, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი.

ტელ/ფაქსი: +995 (32) 2999411 (240)
მობ: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

Materials supplied for the volume should be provided with corresponding scientific appliance. Paperwork concerning author's academic qualification and summary of work should be attached in Georgian and English languages.

Printed version of the volume is sent out to various international research centers.

Works should be supplied under the following contact:
0102, Tbilisi, Davit Agmashenebeli Avenue #40, Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Second Block

Tel/Fax: +995 (32) 2999411 (240)
Mob: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2026
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri“, 2026

სარჩევი

კინომსოღნეობა

ანანო დოლიძე ვიგუალური შუალედურობა და ჰიბრიდული სცენოგრაფია თანამედროვე აუდიოვიგუალურ ხელოვნებაში	13
თეიმურაზ კვიციანი კამერის ობიექტურობის პარადოქსი	24
ლიზი მოსიძე მაცურებლის აქტიურობის ტრანსფორმაცია AI ეკოტეში კულტურულ-შემეცნებითი ტელეკომუნიკაციების ფუნქციური და ესთეტიკური როლი	33
ნინო ცქიტიშვილი ამერიკული იდეის გადაზიდვა XX საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტურ კინოში	49

მედიის კვლევები

ნათია ტყემალაძე, თამარ ვაშაკიძე მედიაინის ტრანსფორმაცია ციფრულ ეკოტეში	60
---	----

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული მუნიციპალიტეტი

მედეა ყურაშვილი ალტერნატიული შემოქმედებითი კლასტორები კულტურის სფეროში	69
(„წინანდლის პრემიის“ მაგალითზე)	

ხელოვნების მკვლევართა XVIII საერთაშორისო კონფერენციის თავისუფალი სექციების მასალები

თეატროლოგია

თინათინ ქათამაშვილი სპექტაკლი = მავრული რიტუალი	83
--	----

კინომსოდეობა

მარიამ ახალკაცი
ნარკომანია მკრანგე - დროში ცვლილებებისა
და დროის მიღმა 92

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული მუნიციპალიტეტი

ნაირა გალახვარიძე
ხელოვნების სისტემა გლობალურსა და
ლოკალურს შორის 100

ნიკო კვარაცხელია
ავთენტურობისა და ინტერპრეტაციის
პრობლემა კულტურულ მუნიციპალიტეტში 111

ნათია კობალეიშვილი
თეატრალურობის მხარე რელი ხელოვნებისა
და განათლების სფეროში 122

გიორგი ფხაკაძე
კულტურის ფინანსური არქიტექტურა: ჰოლისტური ჩარჩო,
კომპონენტები და მათი რელი მრავალფეროვნებისა
და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში 126

მაია ღვინჯილია
ციფრული მარკეტინგის რელი გასტრონომიულ
მუნიციპალიტეტში 133

მალხაზ ღვინჯილია
ევროპის კულტურული მემკვიდრეობისა და საჭარტოვებელ
მუნიციპალიტეტში: ახალი გამოწვევები 140

დოდო ჭუმბურიძე
კულტურის სფეროს პროექტების
მართვა და მისი გავლენები 151

კრასიმირა ივანოვა
დიპლომატიკური თეატრისა და კინოს შორის -
ახალი მეთა-მიდგომა 210

CONTENTS

FILM STUDIES

- Anano Dolidze
VISUAL INTERMEDIALITY AND HYBRID SCENOGRAPHY IN
CONTEMPORARY AUDIOVISUAL ART 162
- Teimuraz Kvirkvelia
THE PARADOX OF CAMERA OBJECTIVITY 165
- Lizi Mosidze
THE TRANSFORMATION OF VIEWER ENGAGEMENT IN THE AI ERA.
THE FUNCTIONAL AND AESTHETIC ROLE OF CULTURAL-COGNITIVE
TELEVISION BROADCASTING 169
- Nino Tskitishvili
REINTERPRETING THE AMERICAN IDEA IN DOCUMENTARY
CINEMA OF THE SECOND HALF OF THE 20TH CENTURY 173

MEDIA STUDIES

- Natia Tkemaladze, Tamar Vashakidze
THE TRANSFORMATION OF MEDIA LANGUAGE 175
IN THE DIGITAL AGE

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

- Medea Kurashvili
ALTERNATIVE CREATIVE PLATFORMS 179
IN THE CULTURAL SPHERE
(The Case of the „Tsinandali Award“)

MATERIALS FROM THE OPEN SESSIONS OF THE 18TH INTERNATIONAL CONFERENCE OF ART RESEARCHERS

THEATROLOGY

- Tinatin Katamashvili
PERFORMANCE: A MAGICAL RITUAL 183

FILM STUDIES

Mariam Akhalkatsi DRUG ADDICTION ON SCREEN - THROUGH THE CHANGES OF TIME AND BEYOND	189
---	-----

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Naira Galakhvaruidze THE SYSTEM OF ART BETWEEN THE GLOBAL AND THE LOCAL	190
Niko Kvaratskhelia THE ISSUE OF AUTHENTICITY AND INTERPRETATION IN CULTURAL TOURISM	192
Natia Kopaleishvili THE GROWING ROLE OF TECHNOLOGY IN THE ARTS AND EDUCATION	203
George Pkhakadze THE FINANCIAL ARCHITECTURE OF CULTURE: A HOLISTIC FRAMEWORK, COMPONENTS, AND ITS ROLE IN ENSURING NATIONAL SUSTAINABILITY AND ECONOMIC GROWTH	204
Maia Gvinjilia THE ROLE OF DIGITAL MARKETING IN GASTRONOMIC TOURISM	205
Malkhaz Gvinjilia EUROPEAN CULTURAL ROUTES AND GEORGIA'S TOURISM POTENTIAL: NEW CHALLENGES	206
Dodo Tchumburidze MANAGEMENT OF CULTURAL SPHERE PROJECTS AND THEIR IMPACTS	208
Krasimira Ivanova DIALOGUES BETWEEN THEATER AND CINEMA, THE NEW META-APPROACH	211

კინოშოკოლოგია

ანანო დოლიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ილია ნატროშვილი

ვიზუალური შუალედურობა და ჰიბრიდული სცენოგრაფია თანამედროვე აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში

რეზიუმე

თეატრი, კინო და ტელევიზია - ამ სამი ვიზუალური სისტემის კლასიკური გამიჯვნა სხვადასხვა ვიზუალური ენის, ინსტრუმენტების, ტრადიციისა და ინსტიტუციური კონტექსტის გამოყენებას საჭიროებდა. ეს გამიჯვნა XXI საუკუნის ვიზუალურ კულტურაში მიმდინარე სიახლეების ფონზე სულ უფრო პირობითი ხდება. ჰიბრიდული შუალედური ფორმები, რომლებშიც სამივე სისტემის ვიზუალური ლოგიკა ერთდროულად მოქმედებს, ნორმატიული და არა გამო-ნაკლისი მოვლენაა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ვლინდება სცენოგრაფიის, სივრცის ორგანიზაციისა და ვიზუალური ატმოსფეროს კონტექსტში: ამ ელემენტებზე შეიმჩნევა აღნიშნული სამი სისტემის ყველაზე ღრმა, ხშირად ნაკლებ განხილული კვეთა.

სტატიაში კვლევის ცენტრალური კითხვაა: რა მექანიზმებით ხდება ვიზუალური შუალედურობა

(visual intermediality) - ანუ ვიზუალური ელემენტების ერთი სისტემიდან მეორეში ლოგიკური გადასვლა - სცენოგრაფიულ და სივრცობრივ კომპონენტებში? და, შედეგად, როგორ ყალიბდება ახალი, სინთეზური ვიზუალური გამოცდილება, რომელიც ცალ-ცალკე არც ერთ სისტემას ეკუთვნის?

სტატია ეყრდნობა intermediality-ის, პოსტდრამატული თეატრის, სივრცობრივი დრამატურგიისა და ემანსიპირებული მაყურებლის კონცეფციებს. ეს ოთხი ჩარჩო ერთმანეთს ავსებს: intermediality ახასიათებს სისტემებს შორის კავშირის ფენომენს; პოსტდრამატული თეორია ვიზუალური ელემენტების ავტონომიურ ნარატიულ სტატუსს ასაბუთებს; სივრცობრივი დრამატურგია ანალიტიკურ ინსტრუმენტებს გვაძლევს სცენოგრაფიული სივრცის კვლევისთვის; ემანსიპირებული მაყურებლის ცნება კი ვიზუალური სინთეზის სოციალურ განზომილებას ასახავს.

საკვანძო სიტყვები: ვიზუალური შუალედურობა, სცენოგრაფია, სივრცობრივი დრამატურგია, პოსტდრამატული თეატრი, ჰიბრიდული ფორმები, ვიზუალური სინთეზი.

Intermediality-ის კონცეფცია: სისტემებს შორის სივრცე

ვიზუალური შუალედურობის კვლევაში ყველაზე გავლენიანი ცნება ფრედა ჩაპლისა და ჩილ კათენბელტის ნაშრომს Intermediality in Theatre and Performance (2006) ეკუთვნის. ავტორები intermediality-ს განიხილავენ, როგორც სხვადასხვა სისტემას შორის ფუნქციური გადაკვეთის პროცესს: ეს არ ნიშნავს ერთი სისტემის მეორეში მარტივ ჩართვას, არამედ ახალი ფენომენის წარმოქმნას, სადაც ორი ან მეტი სისტემის ვიზუალური ლოგიკა ახალ, საერთო ვიზუალურ ენაში ერთიანდება.¹

ავტორთა ცენტრალური არგუმენტია, რომ „თეატრი ყველა სხვა სისტემის ჰიპერმედიაა“ - სივრცე, რომელსაც ასიმილაციისა და გარდაქმნის უნარი გააჩნია.² ეს ფორმულირება განსაკუთრებულ ანალიტიკურ მნიშვნელობას ატარებს: იგი აქტიური სისტემის სტატუსს ანიჭებს, რომელსაც სხვა სისტემების ვიზუალური ელემენტების შეთვისებისა და გადამუშავების უნარი გააჩნია. ამ პერსპექტივიდან, კინოს კამერა, ტელე-ეთერი თუ ციფრული პროექცია სათეატრო სივრცეში სხვა ვიზუალური სისტემის შემოჭრად კი არ უნდა განიხილებოდეს, არამედ თეატრის მიერ სხვა სისტემების ვიზუალური ლოგიკის ათვისებად: ეს ელემენტები სათეატრო სივრცის გამოსახულებით ლექსიკონს ამდიდრებს და ახალი მნიშვნელობის კონსტრუირებას უწყობს ხელს.

პატრის პავისი ვიზუალური შუალედურობის კიდევ ერთ თეორიულ განზომილებას გვთავაზობს: განსხვავებული ვიზუალური სისტემების კვეთაზე ჰიბრიდული სივრცეები იბადება, სადაც სხვადასხვა ესთეტიკური კოდი ერთდროულად და ურთიერთდამოკიდებულად ფუნქციონირებს.³ ეს კვეთა სისტემებს ავტონომიას არ ართმევს - პირიქით, ჰიბრიდული ვიზუალური სივრცე ყველა შეკრებილი სისტემის ვიზუალური ლოგიკით მდიდრდება. ამ ჩარჩოს კვლევითი სარგებელი სამ ძირითად ასპექტშია. პირ-

1 Chapple, Kattenbelt, Intermediality, 2006, p. 11.

2 Ibid, p. 37.

3 Pavis, Theatre, 1992, pp. 1-7.

ველი - intermediality ყურადღებას ამახვილებს „შუა სივრცეებზე“, ანუ ფენომენებზე, რომლებიც სისტემების საზღვრებზე იბადება და კლასიკური დისციპლინური გამიჯვნის ჩარჩოში ძნელად ექცევა. მეორე - ეს კონცეფცია ემპირიულ ანალიზს თეორიულ ბაზას ანიჭებს: ნებისმიერი ჰიბრიდული ვიზუალური ნამუშევარი შეიძლება განიხილებოდეს სისტემური კატეგორიების ფარგლებში. მესამე - intermediality ვიზუალური ლოგიკის ტრანსფერის პროცესზე ყურადღების გამახვილების საშუალებას იძლევა: რა ხდება, როდესაც კინემატოგრაფიული ხედვა თეატრში „შედის“? ან სატელევიზიო ეთერის ლოგიკა სასცენო სივრცეს ეხვევა?¹

სივრცობრივი დრამატურგია და სცენოგრაფია, როგორც ვიზუალური თხრობა

გი მაკკაუელის *Space in Performance: Making Meaning in the Theatre* (1999) სივრცის ერთ-ერთ ყველაზე ყოვლისმომცველ ტიპოლოგიას გვთავაზობს: ფიზიკური სივრცე, სცენური სივრცე, თხრობითი სივრცე, სათამაშო სივრცე და თეატრალური სივრცე. მაკკაუელი ამტკიცებს, რომ ამ სივრცეებს შორის ურთიერთმართება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თხრობითი ინსტრუმენტი სასცენო ხელოვნებაში. სივრცობრივი დრამატურგიის კონცეფცია intermediality-ის კვლევაში ნიშნავს, რომ სცენოგრაფიული სივრცე, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ვიზუალური სისტემის ლოგიკით ოპერირებს, ამ სისტემებს შორის „შუა სივრცეს“ ფიზიკურად ქმნის. ის არ ირჩევს - თეატრი ვარ თუ კინო - არამედ ორივეა ერთდროულად, ქმნის ვიზუალურ ამბივალენტობას, რომელიც ახალი მნიშვნელობის შრეებს ატარებს.²

სცენოგრაფიული სივრცის ეს ვიზუალური ამბივალენტობა განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ისეთ ნამუშევრებში, სადაც სამი სისტემის ელემენტები მიზანიმართულად თანაარსებობს. ლარს ფონ ტრიერის *Dogville*-ში (2003) (ფროდაქმენის დიზაინერი: პიტერ გრანტი, კრეატიული კონსულტანტი: კარლ იულიუსონი) სეტ-დიზაინი - იატაკზე დახაზული ქუჩებისა და კედლების კონტურები სახლების, ქუჩებისა და ეზოების ნაცვლად - კინემატოგრაფიულ

1 Chapple, Kattenbelt, *Intermediality*, 2006, p. 11.

2 McAuley, *Space*, 1999, p. 25.

სივრცეში პირდაპირ თეატრალური პირობითობის ენაზე ლაპარაკობს. ეს გადაწყვეტა ვიზუალურ სისტემებს შორის „შუა სივრცეს“ გამოკვეთილი, დეკლარირებული ფორმით ქმნის. მაკკაუელის ტიპოლოგიაში Dogville-ის სივრცე ყველა კატეგორიაში ერთდროულად ამოქმედდება – ფიზიკური სტუდიის სივრცე, ამერიკული ქალაქის სცენური სივრცე, 1930-იანი წლების თხრობითი სივრცე და თეატრის as if პირობითობა – და ამ ყველაფრის ერთდროული ბილვადობა ახალ, საერთო ვიზუალურ ლოგიკას ქმნის.

მაიკ ბლიკერის *Visuality in the Theatre: The Locus of Looking* (2008) სივრცობრივ ანალიზს კიდევ ერთი განზომილებით ამდიდრებს: ვიზუალური ძალაუფლებისა და სოციალური სუბიექტიზმის კუთხით. ბლიკერი ამტკიცებს, რომ სათეატრო სცენოგრაფია „ხედვის წერტილს“ (locus of looking) ქმნის – განსაზღვრავს, ვინ რას ხედავს, საიდან და რა კუთხით.¹ სხვა სიტყვებით, სცენოგრაფია კი არ ასახავს სივრცეს, არამედ მაყურებელს კარნახობს აღქმას. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჰიბრიდულ სივრცეებში: სადაც თეატრალური და კინემატოგრაფიული ლოგიკა ერთდროულად ფუნქციონირებს, „ხედვის წერტილი“ ორივეს სინთეზი ხდება.

სცენოგრაფია (production design) სამივე სისტემაში სხვადასხვა ლოგიკით მოქმედებს, თუმცა ერთი საერთო ფუნქციით. არნოლდ არონსონის *Looking into the Abyss: Essays on Scenography* (2005) ამ ფუნქციას ყველაზე ლაკონურად ხსნის: სცენოგრაფია „ქმნის სიღრმეს“ – ვიზუალურ, ემოციურ, თხრობით სიღრმეს, რომელიც ბრტყელ, ორგანიზებულ სასცენო ან ეკრანული სივრცის მიღმა სამყაროს ხსნის.² ჯენ ბარნველის *Production Design: Architects of the Screen* (2004) ხაზს უსვამს, რომ კინო-ტელე production design-ი ვიზუალური ნარატივის ინფრასტრუქტურაა: სივრცე და გარემო ინფორმაციას ატარებს პერსონაჟის ფსიქოლოგიის, ამბის ტემპისა და განწყობის შესახებ.³

დევიდ ბორდველისა და კრისტინ ტომფსონის *Film Art: An Introduction* (2020) კინემატოგრაფიული სცენოგრაფიის ანალიზი ამ ჩარჩოს კიდევ ერთ მიმართულებას გვაძლევს: კინოსცენოგრაფიაში სივრცე, ფერი, განათება და ფაქტურა წარმოადგენს

1 Bleeker, *Visuality*, 2008, p. 2, 2008.

2 Aronson, *Looking*, 2005, pp. 5-7, 2005.

3 Barnwell, *Production*, 2004, pp. 28-30, 2004.

„ვიზუალური თხრობის“ ავტონომიურ ენას, რომელიც სიტყვიერი თხრობის პარალელურად, ხშირად მასზე ბევრად უფრო მოქნილად ოპერირებს.¹ სწორედ ავტონომიურობის წყალობითაა შესაძლებელი ვიზუალური ლოგიკის ტრანსფერი სხვა სისტემებში: სცენოგრაფია „მოგზაურობს“ – კინემატოგრაფიული ვიზუალური ლოგიკა თეატრში, სათეატრო პირობითობა კინოში, ტელე-სტუდიის ესთეტიკა სცენაზე – და ამ „მოგზაურობაში“ ახალი, საერთო ვიზუალური ენა იბადება.

პოსტდრამატული თეატრი: ვიზუალური ელემენტის დამოუკიდებლობა

ჰანს-თის ლემანის Postdramatic Theatre (გერმანული 1999, ინგლისური 2006) intermediality კვლევის ყველაზე ნაყოფიერი თეორიული ბაზაა. ლემანი პოსტდრამატულ თეატრს განსაზღვრავს, როგორც ფორმას, სადაც სივრცე, სხეული, ხმა და ვიზუალური ატმოსფერო ტექსტთან თანაბარ, ხშირად კი მასზე მეტ, თხრობით სიმძიმეს ატარებს.² ეს ნიშნავს, რომ პოსტდრამატული ნაწარმოები სცენოგრაფიას, განათებასა და ვიდეო-პროექციას ტექსტის „ილუსტრაციებად“ კი არ იყენებს, არამედ – დამოუკიდებელ, სრულფასოვან თხრობით სისტემებად აყალიბებს.

ლემანის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია intermediality-ის კვლევისას, ვინაიდან ვიზუალური ავტონომია სწორედ ის პირობაა, რომელიც ვიზუალური ლოგიკის ტრანსფერს შესაძლებელს ხდის – სადაც სცენოგრაფია ტექსტის ილუსტრაციაა, იქ ტრანსფერი არ ხდება, ვიზუალი მიჯაჭვულია ტექსტს. სადაც კი სცენოგრაფია დამოუკიდებელია, ის თავისუფლდება კონკრეტული სისტემის ჩარჩოდან და მეორე სისტემის ლოგიკის ათვისების საშუალება ეძლევა.³

საიმონ მაკბურნისა და კომპლიციტის The Encounter (2015, ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი) ამ ვიზუალური ავტონომიის ყველაზე რადიკალური სცენური გამოვლინებაა. სპექტაკლი პეტრუ პოპესკუს პროზაზე დაფუძნებული და ბინოარული ხმოვანი სის-

1 Bordwell, Thompson, Film, 2020, p. 112.

2 Lehmann, Postdramatic, p. 66.

3 Ibid, p. 97.

ტემის საშუალებით მაყურებელს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ხმა, რომელიც „მოძრაობს“ სივრცეში, რაც სუბიექტური კინემატოგრაფიული კამერის ეფექტის სმენით ანალოგს ქმნის. ეს ტექნიკა სენსორული დამოუკიდებლობის ყველაზე ღრმა გამოვლინებაა – სივრცე, ატმოსფერო და „ხედვის წერტილი“ ბგერის მეშვეობით ყალიბდება და არა ფიზიკური სცენოგრაფიის საშუალებით.

პოსტდრამატული ჩარჩო The Encounter-ის ანალიზს ახლებურ სიღრმეს სძენს. ლემანის მიხედვით, სადაც ვიზუალური (ამ შემთხვევაში სენსორული) ელემენტი ტექსტზე მეტ თხრობით სიმძიმეს ატარებს, იქ ახალი, ავტონომიური აღქმის ენა ყალიბდება. The Encounter-ში ეს ენა სმენის მეშვეობით ყალიბდება, მაგრამ ეფექტი კინემატოგრაფიული ვიზუალური ლოგიკისაა – სუბიექტური პერსპექტივის ანალოგი: მაყურებელი თხრობით სივრცეში სხვა სისტემის მეშვეობით თავსდება. სტივ დიქსონის Digital Performance (2007) ასეთ ნამუშევრებს „ტექნოლოგიური სინთეზის“ (hybridisation) შემთხვევებად განიხილავს, სადაც სათეატრო სივრცე ტექნოლოგიური საშუალებებით სხვა სისტემის სენსორული ლოგიკის ანალოგს ქმნის.¹

ემანსიპირებული მაყურებელი და ვიზუალური სინთეზი

ჟაკ რანსიერის The Emancipated Spectator (ფრანგული 2008, ინგლისური 2009) intermediality-ის კვლევას სოციოპოლიტიკური განზომილებით ამდიდრებს. რანსიერი ამტკიცებს, რომ მაყურებელი ვიზუალური ხელოვნების პასიური მიმღები კი არ არის, არამედ მნიშვნელობის აქტიური თანაავტორიცაა: რადგან მაყურებელი თარგმნის, განმარტავს და რეფლექსიას ახდენს იმის მიღმა, რასაც უშუალოდ ხედავს.² ამ არგუმენტს intermediality-ის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება – ჰიბრიდულ ვიზუალურ სივრცეში, მაყურებელი ერთდროულად ორი ან მეტი სისტემის კოდის ინტერპრეტაციას ახდენს.

რანსიერის ანალიზის მიხედვით, გემოალნიშნული ერთდროული ინტერპრეტაცია „ემანსიპირებული“ ხასიათისაა: მაყურებელი ერთი სისტემის კოდით აღქმის ჩარჩოდან თავისუფლდება და შე-

1 Dixon, Digital, 2007, p. 1-5.

2 Rancière, The Emancipated, 2009, p. 13.

უძლია სამივე სისტემის - თეატრალური, კინემატოგრაფიული და სატელევიზიო ვიზუალური ენა ერთდროულად წაიკითხოს.¹ ამ გაგებით, ვიზუალური შუალედურობა მაცურებლის გამოცდილებას ამდიდრებს.

ბლიკერის „ხედვის წერტილის“ კონცეფცია² რანსიერის ემანსიპირებულ მაცურებელს ავსებს. ჰიბრიდულ ვიზუალურ სივრცეში მაცურებელი ერთდროულად სამი განსხვავებული „ხედვის წერტილიდან“ აღიქვამს - თეატრალურიდან, კინემატოგრაფიულიდან და ტელე-ვიზუალურიდან. სცენოგრაფია, განათება და პროექცია ფიზიკურად არსებობს და შეიძლება აღიწეროს - მაგრამ ის, რაც მაცურებლის აღქმაში ხდება, როდესაც ის ამ სამ ვიზუალურ ენას ერთდროულად კითხულობს, უხილავია და ყოველი მაცურებლისთვის განსხვავებული. რანსიერის გაგებით, სწორედ ეს ინდივიდუალური, განუმეორებელი ინტერპრეტაცია intermediality-ის ვიზუალური სინთეზის ყველაზე არსებითი შედეგია.³

გუნთერ კრესისა და თეო ფან ლიუვენის Reading Images: The Grammar of Visual Design (2006) ამ ანალიზს ვიზუალური ნიშნების კუთხიდან ამდიდრებს. ავტორები ვიზუალური სივრცის „გრამატიკაზე“ საუბრობენ - კომპოზიციური, ფერთა და პლასტიკური ელემენტების სისტემაზე, რომელიც მაცურებლის ინტერპრეტაციას წარმართავს.⁴ ჰიბრიდულ ვიზუალურ სივრცეში ეს „გრამატიკა“ გართულებულია - სამი სისტემის გრამატიკა ერთდროულად მოქმედებს - მაგრამ ემანსიპირებული მაცურებლის ინტერპრეტაციის პოტენციალი ყველაზე სრულად სწორედ ამ პირობებში ვლინდება.

ვიზუალური სინთეზის მექანიზმები

ოთხი სათეორიო ჩარჩოს - intermediality-ის, სივრცობრივი დრამატურგიის, პოსტდრამატული თეატრისა და ემანსიპირებული მაცურებლის კონცეფციების ერთობლიობა ვიზუალური სინთეზის სამ ძირითად მექანიზმს ავლენს: ვიზუალური კონვენციის ტრანსფერს, სუბიექტური პერსპექტივის ტრანსფერსა და სისტემების

1 Rancière, *The Emancipated*, 2009, p. 14.

2 Bleeker, *Visuality*, 2008, p. 2.

3 Rancière, *The Emancipated*, 2009, p. 13.

4 Leeuwen, *Reading*, 2006, pp. 1-5, p. 15.

ერთდროულ ამოქმედებას. ეს მექანიზმები ერთი თეორიული ხაზის სხვადასხვა წერტილს წარმოადგენს. ისინი ერთმანეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ ვიზუალური სინთეზის სხვადასხვა სიღრმეს ასახავს: ყველაზე ხილულიდან ყველაზე კომპლექსურამდე.

პირველი მექანიზმი - ვიზუალური კონვენციის ტრანსფერი - ყველაზე ხილულია, რადგან ერთი სისტემის ვიზუალური ლოგიკა მეორეში პირდაპირ გადადის. ამ მექანიზმს მაკაკაუელის სივრცობრივი ტიპოლოგია ყველაზე ზუსტად აანალიზებს. Dogville-ის მაგალითზე ტრანსფერი პირდაპირი ხასიათისაა: სათეატრო პირობითობა კინემატოგრაფიულ სივრცეში თხრობით საშუალებად იქცევა. მაკაკაუელის ყველა კატეგორია - ფიზიკური, სცენური, თხრობითი, სათამაშო და თეატრალური სივრცე - ერთდროულად ამოქმედდება სწორედ ამ ტრანსფერის წყალობით.¹ ლემანის ჩარჩოში კი ეს პირდაპირობა ვიზუალური დამოუკიდებლობის ყველაზე რადიკალური გამოვლინებაა: სცენოგრაფია ტექსტს არ ასახავს - ის თავად ხდება ტექსტი.

მეორე მექანიზმი - სუბიექტური პერსპექტივის ტრანსფერი The Encounter-ში კომპლექსურ სურათს ავლენს: კინემატოგრაფიული სუბიექტური კამერის ლოგიკა - ვინ ხედავს, საიდან, რა კუთხით - თეატრის სივრცეში ბინარული ხმოვანი სისტემის მეშვეობით ხელახლა იქმნება. ბლიკერის „ხედვის წერტილის“ კონცეფცია ამ მექანიზმის ანალიტიკური ბირთვია: კინოში კამერა განსაზღვრავს „ხედვის წერტილს“, ხოლო თეატრალურ სივრცეში ამ ფუნქციას ტექნოლოგიური ინსტრუმენტით ქმნის.² რანსიერის მიხედვით, მაყურებელი ამ შემთხვევაში პასიური აღარ არის და ორი სისტემის ლოგიკის ერთდროული კვეთის შედეგად ინტერპრეტაციის საშუალება ეძლევა.³

მესამე მექანიზმი - სისტემების ერთდროული ამოქმედება - ყველაზე კომპლექსურია და ყველაზე სრულად Good Night, and Good Luck-ის Broadway-ის პროდუქციაში ვლინდება (რეჟისორი: დევიდ კრომერი, Winter Garden Theatre, ნიუ იორკი, 2025). სპექტაკლი ჯორჯ კლუნისა და გრანტ ჰესლოვის 2005 წლის ამავე სახელწოდების კინოფილმის სცენური ადაპტაციაა და განსაკუთრებულ მნიშვნე-

1 McAuley, Space, 1999, p. 35.

2 Bleeker, Visuality, 2008, p. 2.

3 Rancière, The Emancipated, 2009, p. 13.

ნელობას იძენს იმითაც, რომ CNN-ის პირდაპირ ეთერში გადაიცა - ტელემაცურებელს სახლიდან, სმარტფონით ან ტელევიზორით, თეატრში მყოფ მაცურებელთან ერთდროულად შეეძლო წარმოდგენის ხილვა. სკოტ პასკის სცენოგრაფია, ჰითერ გილბერტის განათება და დავიდ ბენგალის ვიდეოპროექციები ერთდროულად ოპერირებს სამი სისტემის ლოგიკით: კინოსი - ადაპტაციის მემკვიდრეობა და საარქივო კადრები; ტელევიზიისა - სცენაზე განთავსებული შავ-თეთრი მონიტორები, ახლო პლანები, სტუდიის ესთეტიკა; და თეატრისა - ცოცხალი სხეული, ფიზიკური სივრცე, თეატრალური სინამდვილე.¹ ჩაპელისა და კატენბელტის ჰიპერმედური ჩარჩო ამ ერთდროულობის საყრდენია: თეატრი კი არ ირჩევს ერთ სისტემას - ის ყველა სისტემას ერთდროულად ითვისებს და ამ ასიმილაციით ახალ ვიზუალურ ენას ქმნის.

2025 წლის 7 ივნისს CNN-ის პირდაპირ ეთერში სპექტაკლის გადაცემა ბროდვეის ისტორიაში პირველი ასეთი შემთხვევა გახლდათ - რაც აღნიშნული ერთდროული ამოქმედების მეოთხე, განსაკუთრებულ ფენას ქმნის: ტელე-ეთერის ლოგიკა, რომელიც ნამუშევრის ვიზუალურ სტრუქტურაში უკვე ჩართული იყო, ამ შემთხვევაში ნამუშევრის გავრცელების ფორმადაც იქცა. 7,34 მილიონი მაცურებელი ამ ეთერს პასიურად კი არ უყურებდა - ის რანსიერის ემანსიპირებული მაცურებლის ყველაზე ფართო, ისტორიული მაგალითი გახდა: ერთდროულად სათეატრო, კინემატოგრაფიული და სატელევიზიო ვიზუალური ლოგიკის ინტერპრეტაციის პრაქტიკა.

თეატრი, კინო და ტელევიზია - ამ სამი სისტემის ვიზუალური ურთიერთობა თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში ისეთ ფენომენებს წარმოქმნის, რომლებიც ვერც ერთ მათგანს ცალ-ცალკე აღარ ეკუთვნის. სცენოგრაფია, სივრცე, განათება, ატმოსფერო - ეს ელემენტები სამ სისტემაში ერთი ფუნდამენტური ვიზუალური ლოგიკით მოქმედებს, მაგრამ სხვადასხვა ორგანიზაციული ჩარჩოს ფარგლებში. ვიზუალური შუალედურობა სწორედ ამ ლოგიკების კვეთაზე იბადება და, ჩაპელისა და კატენბელტის თემისის მიხედვით, თანამედროვე ჰიბრიდული ხელოვნების მოცემულობაა და არა გამონაკლისი.²

1 Serratore, Review, 2025.

2 Chapple, Kattenbelt, Intermediality, 2006, p. 37.

მაკაკაუელის სივრცობრივი ტიპოლოგია, ლემანის ვიზუალური ავტონომია და Rancière-ის ემანსიპირებული მაყურებელი ამ ნორმატიულობის სხვადასხვა განზომილებას ავლენს – სად ხდება სინთეზი, როგორ ხდება და ვინ ასრულებს მას. Dogville-ის პირდაპირი ტრანსფერი, The Encounter-ის სმენით შექმნილი პერსპექტივა და Good Night, and Good Luck-ის ერთდროული ოთხშრიანი ამოქმედება სამ სხვადასხვა სტრატეგიულ ლოგიკას წარმოადგენს – მაგრამ ყველა მათგანი ერთი ვიზუალური ენის, ვიზუალური შუალედურობის სხვადასხვა გამოვლინებაა.

ეს კვლევა ღია კითხვასაც ტოვებს. სტრიმინგ-პლატფორმებისა და ლაივ ეთერის გადაკვეთის ეპოქაში ვიზუალური სინთეზი ნამუშევრის შექმნის ფაზაში კი არ სრულდება – ის გრძელდება და ფართოვდება გავრცელების ყოველ ახალ ფაზაში. Good Night, and Good Luck-ის Netflix-ზე გამოჩენა (2026) ამ მრავალეტაპიანი სინთეზის ახალი თავია. მისი ანალიზი – ვიზუალური შუალედურობის, სივრცობრივი დრამატურგიისა და ემანსიპირებული მაყურებლის ჩარჩოების ერთობლიობით – ვიზუალური კულტურის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული, ჯერ კიდევ ნაკლებ სისტემატიზებული კვლევითი მიმართულებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aronson A., Looking into the Abyss: Essays on Scenography, Ann Arbor, 2005.
- Barnwell J., Production Design: Architects of the Screen, London, 2004.
- Bleeker M., Visuality in the Theatre: The Locus of Looking, Basingstoke/New York, 2008.
- Bordwell D., Thompson K., Smith J., Film Art: An Introduction, 12th ed., New York, 2020.
- Chapple F., Kattenbelt C. (eds.), Intermediality in Theatre and Performance, Amsterdam/New York, 2006.
- Dixon S., Digital Performance: A History of New Media in Theater, Dance, Performance Art and Installation, Cambridge/London, 2007.
- Kress G., van Leeuwen T., Reading Images: The Grammar of Visual Design. 2nd ed. London/New York, 2006.
- Lehmann H.-T., Postdramatic Theatre, Transl. Karen Jürs-Munby, London/New York, 2006.

- McAuley G., *Space in Performance: Making Meaning in the Theatre*. Ann Arbor, 1999.
- Pavis P., *Theatre at the Crossroads of Culture*, London/New York, 1992.
- Rancière J., *The Emancipated Spectator*, Transl. Gregory Elliott, London, 2009.

2) კვლევაში გამოყენებული ნამუშევრები

- Clooney G., Heslov G., *Good Night, and Good Luck*. Broadway, Winter Garden Theatre, New York, 3 April - 8 June 2025. (ტელე-თეატრალური დადგმა. CNN ლაივ ეთერი: 7 June 2025. Netflix: January 2026)
- McBurney S., *The Encounter*. Complicite, Edinburgh International Festival, 2015 (სპექტაკლი).
- von Trier L., *Dogville*. Zentropa Entertainments, 2003 (კინოფილმი).

3) პრესა და პირველადი წყაროები

- George Clooney's Broadway Play Will Be Broadcast Live on CNN, Broadway Direct, 2025. <https://broadwaydirect.com/george-clooneys-broadway-play-will-be-broadcast-live-on-cnn/> 09/06/2026
- Good Night, and Good Luck on Broadway, Starring George Clooney, Now Streaming on Netflix, Playbill, January 7, 2026. <https://playbill.com/article/good-night-and-good-luck-on-broadway-starring-george-clooney-now-streaming-on-netflix> 09/06/2026
- Good Night, And Good Luck: Live Broadcast Delivers CNN's 2nd-Biggest Night Of 2025, TVLine, June 10, 2025.
- Serratore N., Review: Good Night and Good Luck at Winter Garden Theatre, Exeunt Magazine NYC, April 4, 2025. <https://exeuntnyc.com/reviews/review-good-night-and-good-luck-at-winter-garden-theatre/> 09/06/2026

თეიმურაზ კვიციანი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აუდიოვიზუალური ხელოვნების დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვაჟა ზუბაშვილი

კამერის ობიექტურობის პარადოქსი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კამერის ორმაგი ბუნება, როგორც კვლევის, დოკუმენტირებისა და რეალობის რეპრეზენტაციის ინსტრუმენტი. ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ის თეორიული წინააღმდეგობა, რომელიც ფოტოგრაფიისა და კინოს ისტორიას თავიდანვე თან სდევს: ერთი მხრივ, კამერა აღიქმებოდა, როგორც რეალობის ობიექტური და მექანიკური ასახვის საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ტექნიკური ბუნება ყოველთვის შეიცავდა რეალობის ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის შესაძლებლობას. კვლევა ფოკუსირდება სამ ძირითად მიმართულებაზე: კამერის ობიექტურობის იდეის ისტორიული ფორმირება, პიქტორიალიზმის კრიტიკა და დოკუმენტალისტიკის პარადოქსი. ტექსტი ეფუძნება ფოტოგრაფიისა და კინოს თეორიის მნიშვნელოვან ავტორებს, მათ შორის, ანდრე ბაზენს, როლან ბარტს, სუზან ზონტაგს, ჯონ ბერგერსა და ჯონ გრიერსონს.¹

კამერის გამოგონებამ არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ შემეცნებითი გარდატეხაც გამოიწვია. XIX საუკუნიდან ფოტოგრაფია და მოგვიანებით კინო თანდათან იქცნენ რეალობის ფიქსაციის ყველაზე ავტორიტეტულ საშუალებებად. განსხვავებით მხატვრობისგან, რომელიც აშკარად უკავშირდებოდა ავტორის ხელწერასა და სუბიექტურ ინტერპრეტაციას, ფოტოგრაფიული გამოსახულება განიხილებოდა, როგორც რეალობის პირდაპირი მექანიკური ფიქსაცია, რომელსაც შეეძლო რეალობის პირდაპირი, დაუმახინჯებელი და სანდო აღწერა. სწორედ ამ მექანიკურმა ბუნებამ შექმნა წარმოდგენა კამერის ობიექტურობის შესახებ და ის სწრაფად გახდა მეცნიერების, მედიცინის, ანთროპოლოგიის, არქივისა და დოკუმენტალისტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. კამერის მიმართ ნდობა ეფუძნებოდა რწმენას, რომ ტექნოლოგიური აპარატი, თითქოს, ამცირებდა ადამიანის სუბიექტურ ჩარევას.

თუმცა, ფოტოგრაფიისა და კინოს ისტორია ერთდროულად

1 Bazin, What, Vol. 1, 1967; Barthes, Camera, 1981; Sontag, On Photography, 1977; Berger, Ways, 1972; Grierson, Grierson, 1966.

ავლენს ამ იდეის შიდა წინააღმდეგობასაც - კამერა ვერასოდეს იქნება სრულად ნეიტრალური, რადგან ნებისმიერი გამოსახულება ყოველთვის გულისხმობს არჩევანს: რას ვხედავთ, რა რჩება კადრს მიღმა, რომელი მომენტი ფიქსირდება, რა პერსპექტივიდან ხდება დაკვირვება. შესაბამისად, კამერა არა მხოლოდ რეალობას ასახავს, არამედ მას აყალიბებს კიდევ.

ამ წინააღმდეგობამ წარმოშვა კამერისადმი ორი განსხვავებული დამოკიდებულება. ერთი მხრივ, XIX საუკუნის ბოლოს წარმოშობილმა პიქტორიალიზმმა - ფოტოგრაფიულმა მიმდინარეობამ, რომელიც ფოტოგრაფიის ხელოვნებად აღიარებას ისახავდა მიზნად - ფოტოგრაფიის ეს „არაობიექტურობა“ სწორედ ესთეტიკურ უპირატესობად აქცია. პიქტორიალისტები უარყოფდნენ წარმოდგენას, თითქოს, კამერა მხოლოდ რეალობის მექანიკური რეგისტრატორი იყო. ისინი აქტიურად იყენებდნენ რბილ ფოკუსს, რეტუშს, ბეჭდვით მანიპულაციებსა და ფერწერული კომპოზიციის პრინციპებს, რათა ფოტოგრაფიულ გამოსახულებაში ავტორის

ხედვა და ინტერპრეტაცია გამოეკვეთათ. შესაბამისად, პიქტორიალისტებისთვის კამერის ღირებულება მდგომარეობდა არა რეალობის ზუსტ ასახვაში, არამედ მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობაში. მეორე მხრივ, დოკუმენტალისტიკა, მიუხედავად რეალობის ფიქსაციის პრეტენზიისა, მუდმივად აწყდებოდა იმავე პრობლემას - კამერის სუბიექტურ ბუნებას, რომელიც ობიექტურობის იდეას ეჭვქვეშ აყენებდა.

ამგვარად, სტატიის მთავარი მიზანია კამერის წინააღმდეგობრივი ბუნების ანალიზი. ნაშრომი ეფუძნება თეზისს, რომ კამერის ისტორია არ წარმოადგენს ობიექტურობის უწყვეტ ისტორიას; პირიქით, იგი არის ობიექტურობის მუდმივი კრიზისისა და გადაფასების ისტორია. სწორედ პიქტორიალიზმსა და დოკუმენტალისტიკას შორის არსებული დაპირისპირება ავლენს კამერის პარადოქსს ყველაზე მკაფიოდ: ერთი და იგივე ტექნიკური თვისება - რეალობის მანიპულირების შესაძლებლობა - ერთ შემთხვევაში ხელოვნების საფუძვლად იქცევა, ხოლო მეორე შემთხვევაში - დოკუმენტური სანდოობის მთავარ საფრთხედ.

საკვანძო სიტყვები: კამერა, ფოტოგრაფია, ობიექტურობა, პიქტორიალიზმი, დოკუმენტალისტიკა, ვიზუალური რეპრეზენტაცია, რეალობის კონსტრუქცია, დოკუმენტური კინო.

I. კამერის „ობიექტურობის“ დაბადება

ფოტოგრაფიის ისტორიის საწყის ეტაპზე კამერა აღიქმებოდა, როგორც რეალობის მექანიკური რეგისტრაციის უნიკალური ინსტრუმენტი. XIX საუკუნის პოზიტივისტური აზროვნება ეფუძნებოდა რწმენას, რომ სამყაროს შესწავლა შესაძლებელი იყო მაქსიმალურად ობიექტური და ემპირიული მეთოდებით. სწორედ ამ მეცნიერული პარადიგმის ფარგლებში, ფოტოგრაფია იქცა დაკვირვებისა და რეალობის ფიქსაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

ფოტოგრაფიის მიმართ განსაკუთრებული ნდობა განაპირობა მისმა ტექნიკურმა ბუნებამ. განსხვავებით მხატვრული გამოსახულებისგან, რომელიც აშკარად ავტორის ინტერპრეტაციას ეფუძნებოდა, ფოტო, თითქოს, თავად რეალობის მიერ იყო შექმნილი. ამ თვალსაზრისით კამერა განიხილებოდა, როგორც „ნეიტრალური თვალი“, რომელსაც შეეძლო სინამდვილის უშუალოდ დაფიქსირება.

ფოტოგრაფიის სწრაფი გავრცელება მეცნიერებაში შემთხვევითი არ ყოფილა. იგი აქტიურად გამოიყენებოდა: მედიცინაში, ანთროპოლოგიაში, არქეოლოგიაში, ასტრონომიაში, კრიმინალისტიკაში, სახელმწიფო არქივებში.

ფოტოგრაფიული გამოსახულება თანდათან იქცა ვიზუალური მტკიცებულების ფორმად.¹ ფოტო აღიქმებოდა, როგორც ვიზუალური ფაქტი, რომელიც თითქოს ადამიანის სუბიექტურ ჩარევას გამორიცხავდა.

ანდრე ბაზენი ფოტოგრაფიის ძალას სწორედ მის ავტომატურ ბუნებაში ხედავდა. მისი აზრით: „ფოტოგრაფიული გამოსახულება თავად საგნის ონტოლოგიური კვალია“.²

ბაზენის მიხედვით, ფოტოგრაფია წარმოადგენს რეალობის დროში „ემბალზამირების“ ფორმას – მცდელობას, შეინარჩუნოს სამყაროს არსებობის კვალი.³ სწორედ ამიტომ კინოსა და ფოტოგრაფიას განსაკუთრებული კავშირი აქვთ რეალობის განცდასთან.

1 Sontag, On Photography, 1977, pp. 5-11.

2 Bazin, What, Vol. 1, 1967, pp. 13-14.

3 Ibid, p. 14.

თუმცა, კამერის მექანიკურობა ავტომატურად არ ნიშნავს ობიექტურობას. რეალობის ფიქსაცია ყოველთვის გულისხმობს შერჩევას. ფოტოგრაფი ან ოპერატორი განსაზღვრავს:

- რა მოხვდება კადრში;
- რა დარჩება მის მიღმა;
- რომელი მომენტი იქნება დაფიქსირებული;
- რა კუთხიდან დაინახავს მაყურებელი მოვლენას.

ამრიგად, ფოტოგრაფიული გამოსახულება არასოდეს არის რეალობის სრული ანარეკლი. იგი რეალობის შერჩეული და ორგანიზებული ფრაგმენტია.

როლან ბარტი „Camera Lucida“-ში¹ ფოტოს განსაკუთრებულ ძალას მის ინდექსურ ბუნებაში ხედავს. ბარტის აზრით, ფოტოგრაფია ყოველთვის გვამცნობს: „ეს ნამდვილად იყო“.²

ფოტოგრაფიული გამოსახულება ამგვარად ქმნის რეალობის უშუალო არსებობის განცდას. თუმცა, სწორედ აქ იკვეთება მისი მთავარი წინააღმდეგობა: ფოტო ადასტურებს მოვლენის არსებობას, მაგრამ თავად ვერ განსაზღვრავს ამ მოვლენის მნიშვნელობას. გამოსახულება გვიჩვენებს რეალობის ფრაგმენტს, თუმცა, მისი ინტერპრეტაცია ყოველთვის დამოკიდებულია კონტექსტზე, ხედვასა და მაყურებელზე.

ამგვარად, კამერის „ობიექტურობის“ იდეა თავიდანვე ეფუძნებოდა მის ტექნიკურ ბუნებას, თუმცა, ფოტოგრაფიის პრაქტიკა მუდმივად ავლენდა, რომ მექანიკური ფიქსაცია ვერ აუქმებს ავტორის ინტერპრეტაციისა და კულტურული კონტექსტის გავლენას.

II. პიქტორიალიზმი – კრიზისი ობიექტურობის იდეისთვის

XIX საუკუნის ბოლოს ფოტოგრაფიის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. პიქტორიალიზმის მოძრაობამ კითხვის ქვეშ დააყენა წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ფოტოგრაფიის მთავარი ფუნქცია რეალობის ზუსტი და ნეიტრალური ასახვა იყო.³

პიქტორიალიზმის წარმოშობა პირდაპირ უკავშირდებოდა ფოტოგრაფიის სტატუსის პრობლემას. მიუხედავად ტექნოლოგიური პოპულარობისა, ფოტოგრაფია ხშირად არ მიიჩნეოდა სრულფა-

1 Barthes, Camera, 1981, pp. 76–77.

2 Ibid, p. 77.

3 Rosenblum, A World, 1997, 220–235.

სოვან ხელოვნებად. კრიტიკოსები მას მხოლოდ მექანიკურ პროცესად აღიქვამდნენ, სადაც ავტორის ინდივიდუალური მონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

პიქტორიალისტები სწორედ ამ წარმოდგენას დაუპირისპირდნენ. მათი აზრით, კამერა არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ რეალობის ავტომატური რეგისტრატორი. ფოტოგრაფიას უნდა შეძლებოდა:

- ემოციის გადმოცემა;
- ატმოსფეროს შექმნა;
- ავტორის ხედვის გამოხატვა;
- ინტერპრეტაციის ფორმირება.

პიქტორიალისტური პრაქტიკა ეფუძნებოდა ფოტოგრაფიული გამოსახულების მიზანმიმართულ ტრანსფორმაციას. ისინი იყენებდნენ:

- რბილ ფოკუსს;
- ბუნდოვან კონტურებს;
- ნეგატივის რეტუშს;
- მრავალშრიან ბეჭდვით ტექნიკებს;
- ფერწერულ კომპოზიციას.

ამგვარად, ფოტოგრაფია თანდათან თავისუფლდებოდა მხოლოდ მექანიკური რეპროდუქციის ფუნქციისგან. აქ განსაკუთრებულად იკვეთება კამერის პარადოქსი. ის თვისება, რომელიც მეცნიერულ და დოკუმენტურ პრაქტიკაში ობიექტურობის საფრთხედ აღიქმებოდა – გამოსახულების მანიპულირების შესაძლებლობა – პიქტორიალისტებისთვის ხელოვნების საფუძვლად იქცა.

ბრიტანელი ხელოვნებათმცოდნე და ვიზუალური კულტურის თეორეტიკოსი ჯონ ბერგერი აღნიშნავდა: „ხედვა არასოდეს არის ნეიტრალური“.¹ ეს იდეა პიქტორიალიზმის არსს ზუსტად გამოხატავს. პიქტორიალისტები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ კამერა ყოველთვის მოიცავს ავტორის პოზიციას. შესაბამისად, ფოტოგრაფიული გამოსახულება არ არის უბრალოდ რეალობის ასლი; იგი რეალობის ინტერპრეტირებული ფორმაა.

გერმანელი ფილოსოფოსისა და კულტურის თეორეტიკოსის, ვალტერ ბენიამინის ტექნიკური რეპროდუქციის თეორიაც მნიშვნელოვან კონტექსტს ქმნის პიქტორიალიზმის გასაანალიზებლად.

¹ Berger, Ways, 1972, pp. 8-10.

ბენიამინის აზრით, ტექნიკური რეპროდუქცია ანგრევს ხელოვნების ტრადიციულ „აურას“¹. პიქტორიალისტები ნაწილობრივ სწორედ ამ დანაკარგის კომპენსირებას ცდილობდნენ – მათ სურდათ, ფოტოგრაფიისთვის დაებრუნებინათ უნიკალურობა და ავტორის კვალი.

პიქტორიალიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფოტოგრაფიისა და კინოს შემდგომ განვითარებაზე. მან პირველად დააყენა სისტემური კითხვა კამერის ობიექტურობის შესახებ და აჩვენა, რომ ვიზუალური გამოსახულება ყოველთვის შეიცავს ესთეტიკურ, კულტურულ და სუბიექტურ ელემენტებს.

ამრიგად, პიქტორიალიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც ობიექტურობის იდეის პირველი მნიშვნელოვანი კრიზისი ფოტოგრაფიისა და კამერის ისტორიაში.

III. დოკუმენტალისტიკის წინააღმდეგობა

დოკუმენტური ფოტოგრაფია და კინო ისტორიულად ეფუძნებოდა რეალობის უშუალო ასახვის იდეას. დოკუმენტური გამოსახულების ავტორიტეტი სწორედ მის სანდობასა და მტკიცებულებით ფუნქციაზე იყო დამყარებული. მაყურებელი დოკუმენტურ კადრს ხშირად აღიქვამს, როგორც სინამდვილის უშუალო ფრაგმენტს.

თუმცა, სწორედ აქ ჩნდება დოკუმენტალისტიკის მთავარი წინააღმდეგობა. დოკუმენტური მედიუმი აცხადებს, რომ რეალობას გვიჩვენებს, მაგრამ ამ რეალობას ყოველთვის არჩევს, აწყობს და ინტერპრეტაციას უკეთებს.

ნებისმიერი დოკუმენტური გამოსახულება ეფუძნება გადაწყვეტილებებს:

- სად განთავსდეს კამერა;
- რა დროის მონაკვეთი იქნას გადაღებული;
- რომელი პერსონაჟები გახდნენ ცენტრალური;
- როგორ მოხდეს მონტაჟი;
- როგორ ჩამოყალიბდეს ნარატივი.

ამრიგად, დოკუმენტური გამოსახულება რეალობის პირდაპირი ანარეკლი კი არა, რეალობის ორგანიზებული ვერსიაა.

¹ Benjamin, The Work, 1968, pp. 217-251.

სუზან ზონტაგი აღნიშნავდა, რომ ფოტოგრაფია არასოდეს არის მხოლოდ ნეიტრალური დაკვირვება.¹ ფოტოს გადაღება უკვე ნიშნავს სამყაროში ჩარევას. კამერა არა მხოლოდ აფიქსირებს რეალობას, არამედ მასზე გავლენასაც ახდენს.

ეს გავლენა განსაკუთრებით აშკარაა დოკუმენტურ კინოში. კამერის არსებობა ადამიანების ქცევაზეც ახდენს გავლენას. ადამიანი კამერის წინ ხშირად იწყებს საკუთარი ქცევის შეგნებულ რეგულირებას. შესაბამისად, დოკუმენტური გამოსახულება ვერ იქნება რეალობის სრულიად ნეიტრალური ანარეკლი, რადგან თავად გადაღების პროცესი უკვე მოქმედებს მოვლენაზე.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯონ გრირსონის ფორმულირება, რომლის მიხედვითაც დოკუმენტური კინო წარმოადგენს: „რეალობის შემოქმედებით დამუშავებას“ (creative treatment of actuality).²

გრირსონის ეს განსაზღვრება ზუსტად გამოხატავს დოკუმენტური მედიუმის პარადოქსს. ერთი მხრივ, დოკუმენტური კინო ეფუძნება რეალურ სამყაროსა და ფაქტობრივ მოვლენებს, თუმცა, მეორე მხრივ, იგი ყოველთვის მოიცავს ავტორის ხედვას, შერჩევას, კომპოზიციასა და ნარატიულ ორგანიზებას.

ძიგა ვერტოვის „კინოთვალის“ კონცეფციაც საინტერესო წინააღმდეგობას ავლენს.³ ვერტოვი მიიჩნევდა, რომ კამერას შეეძლო რეალობის დანახვა უფრო ზუსტად, ვიდრე ადამიანის თვალს. მისი აზრით, ტექნოლოგიური ხედვა სამყაროს ფარულ სტრუქტურებს ავლენს.

თუმცა, სწორედ აქ ჩნდება მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა – თუ კამერას შეუძლია რეალობის ისეთი დეტალების დაფიქსირება, რომლებიც ადამიანის თვალისთვის ხშირად შეუმჩნეველია, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მისი ხედვა ნეიტრალურია. კამერის მიერ დანახული რეალობა ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მართავს კამერას, რას იღებს კადრში და როგორ ორგანიზდება გამოსახულება.

დოკუმენტალისტიკის მთავარი წინააღმდეგობა სწორედ ამაში მდგომარეობს. იგი ცდილობს ობიექტურობის ეფექტის შექმნას,

1 Sontag, On Photography, 1977, pp. 3–24.

2 Grierson, Grierson, 1966, pg. 146.

3 Vertov, Kino-Eye, 1984, pp. 14–20.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმალური მექანიზმები – კადრი, მონტაჟი, პერსპექტივა – რეალობის კონსტრუქციას გულისხმობს.

თანამედროვე ვიზუალური კულტურის პირობებში ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. სოციალური მედია, ციფრული მანიპულაციები და ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი გამოსახულებები კიდევ უფრო ართულებს რეალობასა და მის ვიზუალურ რეპრეზენტაციას შორის საზღვრის დადგენას.

ჟან ბოდრიარის სიმულაკრების თეორიის მიხედვით, თანამედროვე მედია რეალობას უბრალოდ აღარ ასახავს – იგი მას ანაცვლევს.¹ გამოსახულება თანდათან თავად ხდება სოციალური რეალობის ფორმირების მთავარი მექანიზმი.

ამგვარად, კამერა აღარ არის მხოლოდ რეალობის რეგისტრაციის ინსტრუმენტი; იგი ერთდროულად გვევლინება როგორც:

- ინტერპრეტაციის მექანიზმი;
- სოციალური გავლენის საშუალება;
- და სოციალური რეალობის კონსტრუქციის მექანიზმი.

სწორედ ამ ორმაგ ბუნებაში – ობიექტურობის პრეტენზიასა და გარდაუვალ სუბიექტურობას შორის – იკვეთება კამერის, როგორც კვლევის ინსტრუმენტის, მთავარი პარადოქსი: კამერა ერთდროულად წარმოადგენს როგორც რეალობის ფიქსაციის საშუალებას, ისე მისი ინტერპრეტაციისა და კონსტრუქციის მექანიზმს.

დასკვნა

კამერის ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ იგი არასოდეს ყოფილა მხოლოდ ტექნიკური მოწყობილობა. მისი მნიშვნელობა ყოველთვის გაცილებით ფართო იყო, რადგან კამერა არა მხოლოდ სამყაროს ასახავდა, არამედ განსაზღვრავდა კიდევ იმას, თუ როგორ უნდა დანახულიყო ეს სამყარო.

ფოტოგრაფიის განვითარების საწყის ეტაპზე კამერის მექანიკურმა ბუნებამ შექმნა ობიექტურობის ილუზია.² სწორედ ამ თვისებამ აქცია იგი მეცნიერების, არქივისა და დოკუმენტალისტიკის სანდო ინსტრუმენტად. თუმცა იმავე ტექნიკურმა ბუნებამ გამოავლინა გამოსახულების კონსტრუქციული ხასიათიც – კადრი ყოველთვის შერჩეულია, ხედავს ყოველთვის ორგანიზებულია, ხოლო

1 Baudrillard, Simulacra, 1994, pp. 1-7.

2 Bazin, What, 1967, pp. 9-16.

გამოსახულება არასოდეს არის რეალობის სრული ეკვივალენტი.¹

პიქტორიალიზმმა ეს წინააღმდეგობა ფოტოგრაფიის ესთეტიკურ საფუძვლად აქცია.² მან პირველად აღიარა, რომ კამერის ძალა არა მხოლოდ რეალობის ფიქსაციაში, არამედ მის ინტერპრეტაციაში მდგომარეობს. ამის საპირისპიროდ, დოკუმენტალისტიკა მუდმივად ცდილობდა ობიექტურობის ეფექტის შენარჩუნებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმალური სტრუქტურა თავიდანვე მოიცავდა სუბიექტურ ჩარევას.³

სწორედ აქ იკვეთება კამერის მთავარი პარადოქსი: ერთი და იგივე თვისება – რეალობის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა – შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ხელოვნების საფუძვლადაც და ობიექტურობის საფრთხედაც.

ამ თვალსაზრისით კამერის ორმხრივი ბუნება არ წარმოადგენს მის სისუსტეს. პირიქით, სწორედ ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი განსაზღვრავს მის კულტურულ, თეორიულ და კვლევით მნიშვნელობას. კამერა ერთდროულად არის:

- რეალობის რეგისტრაციის ინსტრუმენტი;
- ინტერპრეტაციის მექანიზმი;
- და სოციალური რეალობის წარმოების აპარატი.⁴

ამიტომ კამერის ისტორია შეიძლება წავიკითხოთ არა როგორც ობიექტურობის ისტორია, არამედ როგორც მუდმივი ბრძოლა რეალობასა და მის ვიზუალურ კონსტრუქციას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Barthes R., *Camera Lucida: Reflections on Photography*, New York, 1981.
- Baudrillard J., *Simulacra and Simulation*, Ann Arbor, 1994.
- Bazin A., *What Is Cinema?*, Vol. 1. Berkeley, 1967.
- Berger J., *Ways of Seeing*, London, 1972.
- Benjamin W., *The Work of Art in the Age of Mechanical Reproduction*, Illuminations, New York, 1968.
- Grierson J., *Grierson on Documentary*, Berkeley, 1966.
- Sontag S., *On Photography*, New York, 1977.

1 Barthes, *Camera*, 1972, pp. 8-10.

2 Rosenblum, *A World*, 1997, pp. 220-235.

3 Grierson, *Grierson*, 1977, pp. 3-24.

4 Baudrillard, *Simulacra*, 1994, pp. 1-7.

ლიზი მოსიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოსა და ტელევიზიის
ხელოვნების (ტელევიზიისა და კინოს კვლევები) დოქტორანტი
ხელმძღვანელი: კინორეჟისორი, აუდიო-ვიზუალური
ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ილია ნატროშვილი

**მაცურებლის აქტიურობის ტრანსფორმაცია
AI ეპოქაში. კულტურულ-შემეცნებითი
თელემასუწყობლობის ფუნქციური
და ესთეტიკური როლი**

რეზიუმე

ნაშრომში გამოკვლეულია მაცურებლის აქტიურობის ტრანსფორმაცია ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული პლატფორმების ეპოქაში, განსაკუთრებულად აქცენტირებულია კულტურულ-შემეცნებითი ტელემასუწყობლობის ფუნქციური და ესთეტიკური როლი თანამედროვე მედიასივრცეში. კვლევა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ტრადიციული ტელევიზია, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ცენტრალური ინსტიტუტი, თანამედროვე ციფრულ რეალობაში გარდაიქმნა მრავალპლატფორმულ ეკოსისტემად, რომელშიც ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების ლოგიკა მნიშვნელოვნად განისაზღვრება ალგორითმული სისტემებით, პერსონალიზებული მედიაარხებითა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებით. აღნიშნული ტრანსფორმა-

ცია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ცვლილებას გულისხმობს, არამედ ფუნდამენტურად ცვლის მაცურებლის როლს, აღქმის ფორმებსა და კულტურულ გამოცდილებას.

კვლევა აჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიების, სტრიმინგ სერვისებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციამ არსებითად შეცვალა მედიამომხმარებლის მოდელები. თანამედროვე მაცურებელი ერთდროულად ფუნქციონირებს მრავალ ეკრანზე, სადაც ტელევიზორის ყურება ხშირად თანხვედრილია სოციალური მედიის გამოყენებასთან, მობილურ მოწყობილობებთან და ალგორითმულად მართულ პლატფორმებთან. ეს გარემო ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და კომუნიკაციის სისწრაფეს, თუმცა, ამავე დროს, ამცირებს კონცენტრაციის უწყვეტობას, აღქმის სილ-

რმესა და კრიტიკული გააზრების შესაძლებლობას. შედეგად, ჩნდება მნიშვნელოვანი პარადოქსი - მაცურებელი ტექნიკურად აქტიუ-

რი და მუდმივად ჩართულია მედი-აპროცესებში, თუმცა, შემეცნებითი თვალსაზრისით, შესაძლოა, პასიური მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა, მაცურებლის აქტიურობა, ალგორითმული მედია, ციფრული პლატფორმები, საზოგადოებრივი მაუწყებლობა, მედია-ფრაგმენტაცია, კრიტიკული აზროვნება, მრავალეკრანიანი გარემო, ტელევიზიის ესთეტიკა, მედია-კულტურა, პერსონალიზაცია, აუდიოვიზუალური კომუნიკაცია, მედიის ტრანსფორმაცია, კულტურული მესხიერება.*

ისტორიულ-ქრონოლოგიური ჩარჩო: ტელევიზიიდან ალგორითმული მედიის ეპოქამდე

მედიის განვითარების ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ მაცურებლის როლი და კულტურულ-შემეცნებითი კონტენტის მოხმარების ფორმები მუდმივად იცვლება. ტელევიზიის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბება მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება, როდესაც იგი იქცა ინფორმაციის, განათლებისა და კულტურული გამოცდილების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.

1950–70-იან წლებში ტელევიზია ფუნქციონირებდა, როგორც ცენტრალიზებული მედიასისტემა. მაუწყებლობის პროგრამული ბადე მკაცრად განსაზღვრული იყო და მაცურებელი იღებდა იმ კონტენტს, რომელსაც სთავაზობდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მაუწყებელი. ამ პერიოდში კულტურულ-შემეცნებითი გადაცემები და დოკუმენტური ფილმები წარმოადგენდა არა მხოლოდ განათლების წყაროს, არამედ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების ინსტრუმენტს. ამ ეპოქაში მაცურებლის აქტიურობა მინიმალური იყო. მისი ჩართულობა შემოიფარგლებოდა ყურებითა და ინფორმაციის მიღებით, ხოლო ინტერაქტიული ფუნქცია დიდწილად გადადიოდა მედიის ინსტიტუციებზე. თუმცა, სწორედ ამ სტრუქტურამ შექმნა კოლექტიური გამოცდილების ძლიერი ფორმა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ერთდროულად იღებდა ერთსა და იმავე ინფორმაციას.

1980–90-იან წლებში იწყება კომერციული ტელევიზიის გაფართოება და მედიაბაზრის ლიბერალიზაცია. იზრდება არხების რა-

ოდენობა, კონტენტის მრავალფეროვნება და კონკურენცია მაყურებლის ყურადღებისთვის. ამ ეტაპზე კულტურულ-შემეცნებითი კონტენტი იწყებს თანდათანობით პოზიციონირებას გასართობი ჟანრების გვერდით, რაც ცვლის მისი აღქმის სტატუსს. 2000-იანი წლებიდან ინტერნეტის გავრცელება საფუძვლიანად ცვლის მედიასისტემას. ჩნდება ვიდეოპლატფორმები, სტრიმინგ სერვისები და სოციალური ქსელები, რაც არღვევს ტელევიზიის მონოპოლიას. მაყურებელი ხდება „მომხმარებელი“, რომელსაც შეუძლია კონტენტის არჩევა, გამოთოვება და ინდივიდუალური მედიაგრაფიკის შექმნა.

თამარ ბურდულის მიხედვით, მედია წარმოადგენს სიმბოლურ-წარმოების სივრცეს, სადაც საზოგადოება არა მხოლოდ იღებს ინფორმაციას, არამედ აყალიბებს კულტურულ იდენტობებსა და ღირებულებით სისტემებს. მედია რეალობას მხოლოდ არ ასახავს – იგი მონაწილეობს მისი აღქმის ფორმირებაში.¹ 2020 წლიდან კი ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია მედიასისტემებში ქმნის ახალ რეალობას, რომელშიც კონტენტის შერჩევა, რეკომენდაცია და გავრცელება ნაწილობრივ ავტომატიზებულია. მაყურებელი აღარ არის მხოლოდ არჩევანის განმახორციელებელი, არამედ – ალგორითმული სისტემების მიერ ფორმირებული ინფორმაციული ნაკადების ნაწილი.

ამ ისტორიულ კონტექსტში ნათლად ჩანს, რომ კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა ყოველთვის ფუნქციონირებდა განსხვავებულ გარემოში: ერთ დროს მონოპოლიურ სისტემაში, შემდეგ კონკურენტულ სატელევიზიო ბაზარზე, ხოლო დღეს ალგორითმულ და ფრაგმენტულ მედიაეკოსისტემაში.

კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა ციფრულ და ალგორითმულ ეპოქაში

მედიის თეორიულ კვლევებში ტელევიზია განიხილება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი დისკურსის ფორმირებაში. დენის მაკქუეილის მიხედვით, მასობრივი კომუნიკაცია ასრულებს რამდენიმე ფუნდამენტურ ფუნქციას: ინფორმაციულს, საგანმანათლებლოს, კულტურულს და ინტეგრაციულს. აღნიშნული ფუნქციები ერთმანეთთან

¹ ბურდული, მედია, 2015, გვ. 42–45.

მჭიდრო კავშირშია და სრულყოფილად ვლინდება საზოგადოებრივი მაუწყებლობის მოდელში, სადაც მედია არ არის მხოლოდ ბაზრის ლოგიკის გამტარი, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის წარმომადგენელია.¹

ციფრულ ეპოქაში ეს ფუნქციები არ ქრება, თუმცა, იცვლება მათი განხორციელების ფორმა. ხელოვნური ინტელექტისა და ალგორითმული პლატფორმების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მაგრამ ამავე დროს წარმოშვა ფრაგმენტული აღქმისა და ზედაპირული ცოდნის გავრცელების ტენდენცია. ამ პირობებში კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ალტერნატიული სივრცე, რომელიც ინარჩუნებს სიღრმისეულ, კონტექსტუალურ და ანალიტიკურ მიდგომას. კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობის არსი მდგომარეობს ცოდნის, კულტურული გამოცდილებისა და ღირებულებითი სისტემების ტრანსლაციაში აუდიოვიზუალური ენის მეშვეობით. იგი მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას - ხელოვნების ისტორიას, ლიტერატურას, თეატრს, კინოს, მუსიკას, ფილოსოფიასა და სოციალურ პროცესებს, თუმცა, მისი მთავარი მიზანია არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ ინტელექტუალური გამოცდილების შექმნა. პედი სკანელის კონცეფციის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლობა ქმნის „საზოგადოებრივ სივრცეს“, სადაც მედია ემსახურება კულტურულ დიალოგს და კოლექტიური გამოცდილების გაზიარებას. ამ კონტექსტში კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა ფუნქციონირებს როგორც მედიატორი კულტურასა და საზოგადოებას შორის. დენის მაკქუეილის მიხედვით, მასობრივი კომუნიკაცია ასრულებს ინფორმაციულ, საგანმანათლებლო, კულტურულ და ინტეგრაციულ ფუნქციებს, რაც მედიის საზოგადოებრივ მნიშვნელობას განსაზღვრავს.²

რეიმონდ უილიამსის „ნაკადის“ (flow) კონცეფცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე მედიარეალობაში. თუ ადრე ტელევიზიური ნაკადი განსაზღვრავდა მაყურებლის გამოცდილებას, დღეს ეს ფუნქცია ნაწილობრივ ალგორითმებმა გადაიბარეს. თუმცა, განსხვავება ისაა, რომ ტელევიზიური ნაკადი ქმნიდა კო-

1 McQuail, McQuail's, 2010.

2 Ibid.

ლექტიურ გამოცდილებას, ხოლო ალგორითმული ნაკადი ინდივიდუალურ, პერსონალიზებულ რეალობას აყალიბებს.

თანამედროვე მაყურებელი ფუნქციონირებს „მრავალეკრანიან“ გარემოში, რომელშიც ტელევიზორის ყურება ხშირად თანხვედრილია სმარტფონის ან სხვა მოწყობილობის გამოყენებასთან. ეს გარემო ქმნის ეგრეთ წოდებულ „გაფანტული ყურადღების“ რეჟიმს, რომლის პირობებში ინფორმაციის აღქმა ხდება ფრაგმენტულად და არასრულყოფილად. თანამედროვე მაყურებელი ფუნქციონირებს ვიზუალურად ინტენსიურ გარემოში, რომელშიც სწრაფი ვიზუალური ნაკადები და მოკლე ფორმატის ვიდეოები განსაზღვრავს აღქმის ჩვევებს. სწორედ ამ პირობებში კულტურულ-შემეცნებითი კონტენტი, რომელიც მოითხოვს კონცენტრაციასა და ანალიზს, აღმოჩნდება კონკურენციის პირობებში. მრავალეკრანიანობა ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თუმცა, ამავე დროს, ამცირებს მისი სიღრმისეულად დამუშავების შესაძლებლობას. მაყურებელი ხშირად გადადის ერთი კონტენტიდან მეორეზე, არ აჩერებს ყურადღებას საკმარისი დროით, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს მის შემეცნებით აქტივობაზე. ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მაყურებელზე ვლინდება რეკომენდაციის სისტემებში. ალგორითმები განსაზღვრავს, რომელი კონტენტი გამოჩნდება მომხმარებლის წინაშე, რა თანმიმდევრობით და რა სიხშირით. შედეგად, მაყურებლის „თავისუფალი არჩევანი“ ნაწილობრივ გარდაიქმნება წინასწარ სტრუქტურირებულ არჩევანად. ეს პროცესი ქმნის ეგრეთ წოდებულ „ფილტრს“, როცა მომხმარებელი მუდმივად იღებს მისთვის ნაცნობ და სასურველ ინფორმაციას, რაც ამცირებს განსხვავებული პერსპექტივების მიღების შესაძლებლობას. ტელევიზიის ტრადიციული მოდელი, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმატი, ამ მხრივ განსხვავებულ ფუნქციას უნდა ასრულებდეს, იგი ქმნის საერთო საინფორმაციო სივრცეს, რომელშიც სხვადასხვა თემატიკა ერთიან კონტექსტში არის წარმოდგენილი.

კულტურულ შემეცნებითი კონცენტის ტრანსფორმაცია ციფრულ სამყაროში (BBC-ის მაგალითზე)

მე-20 საუკუნის შუა პერიოდში BBC-ის ტელევიზია ფუნქციონირებდა, როგორც ცენტრალიზებული ცოდნის სივრცე, რომელშიც პროგრამული ბადე წინასწარ იყო განსაზღვრული და მაყურებელი ერთდროულად იღებდა ერთსა და იმავე შინაარსს. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დოკუმენტურ ფილმებს, ისტორიულ გადაცემებსა და კულტურულ-შემეცნებით სერიებს, რომლებიც არა მხოლოდ ინფორმირებას, არამედ სამყაროს ინტერპრეტაციულ გააზრებასაც ემსახურებოდა. მაყურებელი ამ მოდელში განიხილებოდა როგორც მოქალაქე-შემსწავლელი, რომლის ჩართულობა ძირითადად პასიურ მიღებაზე იყო დაფუძნებული, თუმცა, სწორედ ეს ერთიანი გამოცდილება ქმნიდა ძლიერ კოლექტიურ კულტურულ სივრცეს. ციფრულ ეპოქაში BBC-ის ფუნქცია მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა, თუმცა, მისი საზოგადოებრივი მისია უცვლელი დარჩა. დღეს ის აღარ არის მხოლოდ ტრადიციული ტელევიზიის ფორმატი და მოქმედებს როგორც მრავალპლატფორმული ეკოსისტემა, სადაც კონტენტი ვრცელდება სხვადასხვა ციფრული არხის მეშვეობით. ნინო ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ სატელევიზიო კადრი მხოლოდ ვიზუალური ერთეული არ არის; იგი ქმნის სემიოტიკურ სისტემას, რომელშიც სინათლე, ფერი, რაკურსი და მონტაჟი აზრის მატარებელ ელემენტებად გარდაიქმნება.¹

ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია BBC iPlayer, რომელიც მაყურებელს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს ყურების დრო, ფორმატი და კონტენტის თანმიმდევრობა. ამით იცვლება ტრადიციული პროგრამული ბადის ლოგიკა და მაყურებელი უფრო აქტიურ მომხმარებლად გარდაიქმნება. ამასთან ერთად, BBC News უბრუნველყოფს ინფორმაციის უწყვეტ და რეალურ დროში მიწოდებას, რაც ბრძნის ცოდნის ხელმისაწვდომობას და აჩქარებს ინფორმაციულ ნაკადს. ხოლო BBC Bite-size წარმოადგენს საგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც განსაკუთრებით ახალგაზრდული აუდიტორიისთვის ქმნის სტრუქტურირებულ ცოდნის სივრცეს და ცდილობს სასწავლო პროცესის ციფრულ გარემოში გადატანას. ამ გზით BBC ინარჩუნებს თავის ის-

¹ ლორთქიფანიძე, ტელევიზიის, 2016, გვ. 88-93.

ტორიულ ფუნქციას, თუმცა, უკვე განსხვავებულ ტექნოლოგიურ და კომუნიკაციურ ფორმატში.

მაღსაზმ გაბაშვილის ხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქცია სცდება ინფორმაციის გავრცელებას და მოიცავს საზოგადოებრივი ინტეგრაციის, კულტურული მემკვიდრეობისა და დემოკრატიული დიალოგის ხელშეწყობას.¹ მიუხედავად ტექნოლოგიური ცვლილებებისა, BBC-ის მთავარი პრინციპი უცვლელი რჩება – საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ცოდნის მიწოდებაზე. განსხვავებით კომერციული პლატფორმებისგან, რომლებიც ხშირად ოპტიმიზირებულია მომხმარებლის ყურადღების მაქსიმალური მიპყრობისთვის, BBC ცდილობს შეინარჩუნოს რედაქციული ბალანსი და არ შეზღუდოს მომხმარებელი მხოლოდ პერსონალიზებული ინფორმაციის „ჩაკეტილ წრეში“. ის სწორედ ამით განსხვავდება ალგორითმულად მართული მედიისგან და ინარჩუნებს საერთო კულტურული სივრცის იდეას.

შესაბამისად, BBC-ის მაგალითი აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობა შეიძლება იყოს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მოდელი შემეცნებითი პასუხისმგებლობისა. თუ XX საუკუნეში იგი ქმნიდა ერთიან ტელევიზიურ გამოცდილებას, XXI საუკუნეში ცდილობს ამ გამოცდილების გადატანას ციფრულ, ფრაგმენტირებულ გარემოში ისე, რომ არ დაკარგოს მისი ძირითადი არსი – კრიტიკული აზროვნების, განათლებისა და კულტურული ცნობიერების მხარდაჭერა.

აქტიური მაცურებელი თუ მართვადი მომხმარებელი?

ციფრულ გარემოში გავრცელებული მოკლე ვიდეოფორმატები და სწრაფი მონტაჟი ქმნის ალქმის ახალ მოდელს, რომელიც ხშირად მოიხსენიება როგორც „კლიპური აზროვნება“. ამ მოდელში ინფორმაცია აღიქმება მცირე, ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ფრაგმენტების სახით. კულტურულ-შემეცნებითი ტელემაცურებლობა, რომელიც ეფუძნება ნარატიულ განვითარებას, კონტექსტს და ანალიზს, ამ პირობებში რთულად ერგება მაცურებლის ახალ ჩვევებს. სწორედ ამიტომ ჩნდება საჭიროება, რომ ასეთი კონტენტი განახლდეს არა შინაარსობრივი, არამედ ესთეტიკური და ფორმალური თვალსაზრისით. კადრის დინამიკა, ვიზუალური

¹ გაბაშვილი, საზოგადოებრივი, 2018, გვ. 45-47.

სტილის განახლება და მონტაჟის რიტმის ბალანსი წარმოადგენს არა მხოლოდ ესთეტიკურ არჩევანს, არამედ კომუნიკაციურ აუცილებლობას. მაყურებლის ყურადღების შენარჩუნება უკვე პირდაპირ კავშირშია ვიზუალური ენის ეფექტიანობასთან. ჯონ ელლისის მიხედვით, „თანამედროვე აუდიოვიზუალური მედია ქმნის ისეთ ალქმით გარემოს, სადაც ინფორმაციის უწყვეტი ნაკადი მაყურებლის ყურადღებას ფრაგმენტულად ანაწილებს და ამცირებს ღრმა რეფლექსიის შესაძლებლობას“.¹ ასევე საინტერესოა გავითვალისწინოთ ნიკ კოულდრის ნააზრევი – „ციფრული მედია-სისტემები მომხმარებლის ჩართულობას ხშირად გარდაქმნის მონაცემებზე დაფუძნებულ ქცევით მოდელად, სადაც აქტიურობა ალგორითმულად მართული არჩევანის ფარგლებში ხორციელდება“.² შესაბამისად, მაყურებლის ტრანსფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მედიასივრცეში აქტიურობა მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. მაყურებელი ნამდვილად მონაწილეობს კონტენტის შერჩევაში და გავრცელებაში, თუმცა, ხშირად მისი მოქმედებები ალგორითმული ჩარჩოების ფარგლებში ხდება. ამგვარად, ჩნდება კითხვა: არის თუ არა თანამედროვე მაყურებელი რეალურად აქტიური, თუ იგი უფრო მართვადი მომხმარებელია? პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი არ არის. აქტიურობა არსებობს ტექნიკურ დონეზე, მაგრამ შემეცნებითი აქტიურობა ანუ კრიტიკული აზროვნება, ანალიზი და რეფლექსია საჭიროებს ისეთ მედიაფორმატებს, რომლებიც სცდება სწრაფი მოხმარების ლოგიკას. სწორედ ამ კონტექსტში კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი ქმნის სივრცეს, რომელშიც მაყურებელი არ არის მხოლოდ მომხმარებელი, არამედ – აზროვნების პროცესში ჩართული სუბიექტი. განსხვავებით ალგორითმულად მართული კონტენტისგან, რომელიც მაქსიმალურად ამარტივებს ალქმას, კულტურული პროგრამები ხშირად მოითხოვს ინტელექტუალურ ძალისხმევას და ქმნის სიღრმისეულ გამოცდილებას. თანამედროვე გამოწვევა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეიძლება შენარჩუნდეს კრიტიკული და შემეცნებითი აქტიურობა იმ პირობებში, როდესაც მედიასივრცე სულ უფრო მეტად ექვემდებარება ალგორითმულ ლოგიკას. ციფრული ეპოქის

1 Ellis, Seeing, 2000, pp. 74-79.

2 Couldry, Media, 2012, pp. 136-142.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების მასშტაბების რადიკალური ზრდა, რაც დიდწილად დაკავშირებულია ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებასთან. თუ ტრადიციულ მედიასისტემაში ინფორმაციის დისტრიბუცია ხორციელდებოდა ინსტიტუციურად ორგანიზებული არხებით, მათ შორის ტელევიზიის საშუალებით, თანამედროვე რეალობაში ეს პროცესი მნიშვნელოვნად დეცენტრალიზებულია და ინდივიდუალურ დონეზე გადატანილი. დენის მაკუეილის თეორიის მიხედვით, მასობრივი კომუნიკაცია ისტორიულად ეფუძნებოდა ცენტრალიზებულ მოდელს, რომელშიც ინსტიტუციები ინფორმაციის წარმოებასა და გავრცელებას აკონტროლებდნენ. ამ მოდელში ტელევიზია ასრულებდა როგორც ინფორმაციულ, ისე საგანმანათლებლო და ინტეგრაციულ ფუნქციებს. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში აღნიშნული ფუნქციები ნაწილობრივ გადანაწილდა ალგორითმულ სისტემებზე, რომლებიც ინდივიდუალური მომხმარებლის საჭიროებებსა და ინტერესებზეა ორიენტირებული.

ტელევიზია, როგორც კლასიკური მასობრივი მედია, ეფუძნება ფართო აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდებას. მისი ძალა მდგომარეობს კოლექტიური გამოცდილების შექმნაში, რაც, როგორც პედი სკანელი აღნიშნავს, წარმოადგენს „საზოგადოებრივი სივრცის“ ფორმირების საფუძველს. მაყურებელი ერთსა და იმავე დროს იღებს ერთსა და იმავე კონტენტს, რაც აყალიბებს საერთო კულტურულ და სოციალურ ჩარჩოებს. ნინო ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ სატელევიზიო კადრი მხოლოდ ვიზუალური ერთეული არ არის; იგი ქმნის სემიოტიკურ სისტემას, რომელშიც სინათლე, ფერი, რაკურსი და მონტაჟი აზრის მატარებელ ელემენტებად გარდაიქმნება.¹ შესაბამისად, ტელევიზიის ფუნქციური დანიშნულება და გავლენა აუდიტორიაზე ფსიქოემოციურ შლეიფს ატარებს. ხელოვნური ინტელექტი ამ მოდელს ცვლის ინდივიდუალიზებული კომუნიკაციის სისტემით. AI-ზე დაფუძნებული პლატფორმები თითოეულ მომხმარებელს აწვდიან განსხვავებულ ინფორმაციას, რაც დამოკიდებულია მის ინტერესებზე, ძიების ისტორიასა და ქცევით მონაცემებზე. შედეგად, ინფორმაციის გავრცელება აღარ არის ერთიანი ნაკადი, არამედ მრავალრიცხოვანი,

¹ ლორთქიფანიძე, ტელევიზიის, 2016, გვ. 88-93.

პერსონალიზებული. ჯონ კორნერის მიხედვით, მედიის კვლევა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ შინაარსს, არამედ იმ სოციალურ და ინსტიტუციურ პირობებსაც, რომლებშიც მედიაპროდუქტი იქმნება.¹ თანამედროვე მედია პროდუქტების ძირითადი ნაწილი კი იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით იქმნება რომლებიც ინტერნეტის საშუალებით ფართოდ ხელმისაწვდომია. მათ შორის ხელოვნური ინტელექტის პლატფორმების გამოყენებით ეს ინფორმაცია მარტივად მოსაპოვებელიცაა. ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ინფორმაციის მიწოდების სიჩქარეა. მომხმარებელი იღებს პასუხს კონკრეტულ კითხვაზე თითქმის მყისიერად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ცოდნის ხელმისაწვდომობას. ეს პროცესი გარდაქმნის ცოდნის მიღების ტრადიციულ მოდელს, რომელიც ადრე ხშირად იყო დაკავშირებული ხანგრძლივ კვლევასა და სხვადასხვა წყაროს გაანალიზებასთან. თუმცა სიჩქარე არ ნიშნავს სიღრმეს. ტელევიზია, განსაკუთრებით კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობა, ქმნის კონტექსტუალურ ცოდნას, რომელშიც ინფორმაცია წარმოდგენილია ნარატიულ, ისტორიულ და კულტურულ ჩარჩოში. ჯონ ელლისის მიხედვით, ტელევიზია ორგანიზებას უკეთებს ყოველდღიურ გამოცდილებას და ქმნის სამყაროს აღქმის სტრუქტურებს, რაც სცდება ცალკეული ფაქტების მიწოდებას. ამგვარად, შეიძლება გამოვყოთ ფუნდამენტალური სხვაობა საკომუნიკაციო არხებს შორის:

- ხელოვნური ინტელექტი ქმნის ინფორმაციის სიჩქარეს;
- ტელევიზია ქმნის მნიშვნელობის სიღრმეს.

პერსონალიზაცია და რედაქციული პასუხისმგებლობა

AI სისტემები ეფუძნება პერსონალიზაციის პრინციპს. ისინი ცდილობენ მაქსიმალურად მოარგონ კონტენტი კონკრეტულ მომხმარებელს. ეს ზრდის კომფორტს და ეფექტიანობას, თუმცა, ამავე დროს ამცირებს საერთო საინფორმაციო სივრცის არსებობას. ტელევიზია, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მაუწყებლობა, ეფუძნება რედაქციულ პასუხისმგებლობას. კონტენტის შერჩევა ხდება პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობასა და მრავალფეროვნებას. მალხაზ გაბაშვილის ხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მოქმედებს რო-

1 Corner, Critical, 1999, pp. 14–18.

გორც დემოკრატიული საზოგადოების კულტურული ინსტიტუცია, რომლის მიზანია არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, არამედ საზოგადოების ინტეგრაცია. შესაბამისად, პერსონალიზაციისა და რედაქციული კონტროლის დაპირისპირება ქმნის მნიშვნელოვან დილემას: უნდა იყოს თუ არა კონტენტი სრულად ინდივიდუალიზებული, თუ აუცილებელია საერთო კულტურული სივრცის შენარჩუნება?

ინფორმაციის გავრცელების ფორმების ცვლილება პირდაპირ აისახება მაყურებლის აქტიურობაზე. ხელოვნური ინტელექტი ამარტივებს ინფორმაციის მიღებას, თუმცა, ამავე დროს ამცირებს იმ კოგნიტურ ძალისხმევას, რომელიც საჭიროა ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებისთვის. ჯონ კორნერის კრიტიკული მიდგომის მიხედვით, მედიის ანალიზი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ შინაარსს, არამედ მის წარმოების პირობებსაც. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ AI-ს მიერ გენერირებული ან შერჩეული კონტენტი ხშირად არის ოპტიმიზირებული მომხმარებლის ჩართულობისთვის და არა მისი შემეცნებითი განვითარებისთვის. კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა, პირიქით, ხშირად მოითხოვს მაყურებლის აქტიურ მონაწილეობას, კონცენტრაციას, ანალიზსა და რეფლექსიას. სწორედ ეს ქმნის მის განსაკუთრებულ ღირებულებას თანამედროვე მედიაგარემოში. ტელევიზიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო კოლექტიური გამოცდილების შექმნა, საერთო კულტურული და სოციალური სივრცის ფორმირება, სადაც საზოგადოება ერთიან ნარატივში არსებობდა. ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის.

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ეს კოლექტიური გამოცდილება ნაწილობრივ იშლება და იცვლება ინდივიდუალური საინფორმაციო რეალობებით. თითოეული მომხმარებელი იღებს განსხვავებულ კონტენტს, რაც ამცირებს საერთო დისკურსის შესაძლებლობას. თამარ ბურდულის ხედვით, მედია წარმოადგენს სიმბოლური წარმოების სივრცეს, რომელშიც ყალიბდება მნიშვნელობები და იდენტობები. როდესაც ეს სივრცე ფრაგმენტირდება, საფრთხე ექმნება საერთო კულტურული ნარატივების არსებობას. მაყურებლის აქტიურობა ამ ორ მოდელს შორის ბალანსზეა დამოკიდებული. თუ მედიასივრცე სრულად გადაინაცვლებს ალგორით-

მულ ლოგიკაზე, არსებობს რისკი, რომ აქტიურობა გახდეს ზედაპირული და ფორმალური. ამ პირობებში კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა ინარჩუნებს კრიტიკული, გააზრებული და ინტელექტუალური ჩართულობის შესაძლებლობას.

კადრი, როგორც შემეცნებითი და კონკურენტული ერთეული

კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება მისი ესთეტიკური ორგანიზებით, რადგან სწორედ აუდიოვიზუალური ფორმა წარმოადგენს იმ არხს, რომლის მეშვეობითაც ცოდნა გარდაიქმნება აღქმად. ტელევიზია, როგორც სინთეზური მედიუმი, აერთიანებს გამოსახულებას, ხმას, რიტმსა და ნარატიულ სტრუქტურას, რაც ქმნის კომპლექსურ სემიოტიკურ სისტემას (ლორთქიფანიძე, 2016). ციფრულ და ალგორითმულ ეპოქაში ეს ესთეტიკური სისტემა აღმოჩნდა ახალი გამოწვევის წინაშე. მაყურებელი, რომელიც უკვე მიჩვეულია სწრაფ ვიზუალურ ნაკადებს, მოკლე ვიდეოფორმატებსა და დინამიკურ მონტაჟს, განსხვავებულად აღიქვამს სატელევიზიო კონტენტს. შესაბამისად, კულტურულ-შემეცნებითი პროგრამები ვეღარ დაეყრდნობა მხოლოდ ტრადიციულ, სტატიკურ ვიზუალურ ფორმებს. კადრი კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობაში წარმოადგენს არა მხოლოდ ვიზუალურ ინფორმაციას, არამედ აზრის მატარებელ სტრუქტურას. „ჯონ კორნერის მიხედვით, სატელევიზიო გამოსახულება მხოლოდ ინფორმაციის მატარებელი არ არის; იგი ქმნის ინტერპრეტაციულ ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც მაყურებელი რეალობას აღიქვამს და აანალიზებს“.¹ საინტერესოა ნინო ლორთქიფანიძის შეხედულება საკითხთან დაკავშირებით. ნინო ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ტელევიზიის ესთეტიკა ეფუძნება კადრის, მონტაჟისა და ხმოვანი სივრცის სინთეზს, რომელიც მაყურებლის ემოციურ და ინტელექტუალურ ჩართულობას ერთდროულად განსაზღვრავს“.² შეგვიძლია, შესაბამისად, თამამად ვთქვათ, რომ კადრის კომპოზიცია, რაკურსი, სინათლე და ფერი ქმნის მნიშვნელობათა სისტემას, რომელიც ავსებს ტექსტურ ინფორმაციას. ალგორითმულ ეპოქაში კადრი ასევე იქცევა ყურადღების კონკურენციის ერთეულად. მაყურებლის ყურადღება

1 Corner, Critica, 1999, pp. 58-63.

2 ლორთქიფანიძე, ტელევიზიის, 2016, გვ. 71-76.

მუდმივად ექვემდებარება სხვადასხვა პლატფორმის ვიზუალურ სტიმულებს, რის შედეგადაც კადრის ესთეტიკური ხარისხი პირდაპირ განსაზღვრავს მის აღქმადობას. დინამიკური კადრი, მოძრავი კამერა, სიღრმის გამოყენება და ვიზუალური მრავალფეროვნება ზრდის ჩართულობას და ამცირებს ყურადღების დაკარგვის რისკს. ამგვარად, კადრი აღარ არის მხოლოდ ესთეტიკური ელემენტი – იგი კომუნიკაციური სტრატეგიის ნაწილი ხდება.

მონტაჟი კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობაში ასრულებს აზრის ორგანიზების ფუნქციას. ქრონოლოგიური სტრუქტურა, პარალელური მონტაჟი და არქივისა და თანამედროვე მასალის შერწყმა ქმნის დროით დიალოგს, რომელიც მაყურებელს საშუალებას აძლევს აღიქვას კულტურული პროცესების უწყვეტობა. თუმცა, თანამედროვე მედიაგარემოში „დროის აღქმა“ მნიშვნელოვნად შეიცვალა. სოციალური მედიისა და ალგორითმული პლატფორმების გავლენით მაყურებელი მიჩვეულია სწრაფ მონტაჟსა და მოკლე ეპიზოდებს. შედეგად, კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობა დგას დილემის წინაშე: შეინარჩუნოს სიღრმე თუ მოერგოს სისწრაფეს. ოპტიმალური გადაწყვეტა მდგომარეობს ბალანსში: მონტაჟი უნდა იყოს საკმარისად დინამიკური, რათა შეინარჩუნოს ყურადღება, მაგრამ არ უნდა დააზარალოს შინაარსის ანალიტიკური სიღრმე. ვიზუალური დრამატურგია გულისხმობს კადრების ისეთ ორგანიზებას, რომელიც ქმნის არა მხოლოდ ინფორმაციულ, არამედ – ემოციურ გამოცდილებას.

კულტურულ ობიექტზე დეტალის ახლო პლანი, გარემოს ნელი პანორამა ან პერსონაჟის ემოციური რეაქცია აყალიბებს შემეცნებით-ემოციურ ერთობას. ჯონ ელლისის მიხედვით, ტელევიზია არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი – „იგი ქმნის სამყაროს აღქმის გამოცდილებას, ასევე, ჯონ ელლისის მიხედვით ტელევიზია ყოველდღიურ გამოცდილებას ორგანიზებულ აღქმად გარდაქმნის და ქმნის სამყაროს აღქმის სტრუქტურებს.¹ სწორედ ამიტომ კულტურულ-შემეცნებითი კონტენტი უნდა აერთიანებდეს ცოდნასა და ემოციას, რათა მაყურებლის ჩართულობა იყოს არა მხოლოდ კოგნიტური, არამედ სენსორული. ხმა კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობაში ასრულებს ინტერპრეტაციულ ფუნქციას. ნარაცია ორგანიზებას უკეთებს ცოდნას, გარემო ხმები ქმნის ავთენტურო-

¹ Ellis, Seeing, 2000, pp. 25-31.

ბას, ხოლო მუსიკა განსაზღვრავს ემოციურ ტონს. ალგორითმულ გარემოში, სადაც ვიზუალური გადატვირთვა ხშირია, ხმოვანი დიზაინი შეიძლება გახდეს მაყურებლის ჩართულობის მნიშვნელოვანი ფაქტორი. აუდიოვიზუალური ბალანსი ქმნის სრულყოფილ ალქმით გარემოს. კულტურულ-შემეცნებითი ტელემარშუტაჟების ესთეტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც წინააღმდეგობა სწრაფი მოხმარების მედია-ლოგიკის მიმართ. იგი არ არის მხოლოდ ვიზუალური ფორმა, იგი წარმოადგენს ცოდნის ორგანიზების მეთოდს. რეიმონდ უილიამსის ხედვით, ტელევიზია არის კულტურული ფორმა, რომელიც ქმნის გამოცდილების სტრუქტურას. რეიმონდ უილიამსი ტელევიზიას განსაზღვრავს როგორც „კულტურულ ფორმას“, რომლის მთავარი მახასიათებელია „ნაკადი“ (flow) - უწყვეტი აუდიოვიზუალური გამოცდილება, რომელიც აყალიბებს მაყურებლის ალქმის სტრუქტურას. უილიამსის „flow“-ს კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალურია ალგორითმული მედიის ეპოქაში, სადაც ტრადიციული სატელევიზიო ნაკადი ჩანაცვლებულია პერსონალიზებული ციფრული ნაკადებით.¹ ამ კონტექსტში კულტურულ-შემეცნებითი მარშუტაჟობა ინარჩუნებს იმ ტიპის გამოცდილებას, რომელიც მოითხოვს კონცენტრაციას, გააზრებასა და რეფლექსიას. ესთეტიკური ინოვაცია არ ნიშნავს გასართობი ფორმატების მიბაძვას; იგი წარმოადგენს აუცილებელ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული კონტენტის კონკურენტუნარიანობას თანამედროვე მედიასივრცეში.

დასკვნა

კვლევა აჩვენებს, რომ თანამედროვე მედია-რეალობაში მაყურებლის აქტიურობა განიცდის არსებით ტრანსფორმაციას, რომელიც განპირობებულია ხელოვნური ინტელექტის, ალგორითმული პლატფორმებისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციით. მაყურებელი ფორმალურად გადაიქცა აქტიურ მომხმარებლად, თუმცა, ის ხშირად ალგორითმული ჩარჩოების ფარგლებში აქტიურობს, რაც აჩენს ტექნიკურ და შემეცნებით აქტიურობათა შორის განსხვავებას. ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სიჩქარესა და პერსონალიზაციას, თუმცა ამავე დროს ქმნის ფრაგმენტული ალქმის, ზედაპირული ცოდნისა და არჩევანის ილუზიის რისკებს. ამ პირობებში ტელე-

¹ Williams, Television, 1974, pp. 86-96.

ვიზია, განსაკუთრებით კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობა, ინარჩუნებს უნარს – შექმნას კონტექსტუალური, სიღრმისეული და ინტელექტუალური გამოცდილება. კადრი, მონტაჟი, ხმა და ვიზუალური დრამატურგია ქმნის იმ აუდიოვიზუალურ არქიტექტურას, რომლის მეშვეობითაც ცოდნა გარდაიქმნება აღქმად გამოცდილებად. ალგორითმულ ეპოქაში კულტურულ-შემეცნებითი ტელემაუწყებლობა დგას ორმაგი გამოწვევის წინაშე: ერთი მხრივ, შეინარჩუნოს ანალიტიკური სიღრმე, ხოლო მეორე მხრივ, მოერგოს თანამედროვე მაყურებლის აღქმის მოდელს. ამ ბალანსის მიღწევა განსაზღვრავს მის მომავალს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნური ინტელექტი და ტელევიზია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ კონკურენტებად. მათი ჰიბრიდული თანაარსებობა ქმნის შესაძლებლობას, რომელშიც ტექნოლოგიური ინოვაცია და კულტურული სიღრმე ერთიანდება. სწორედ ამ სინთეზში შეიძლება შენარჩუნდეს მაყურებლის რეალური აქტიურობა – არა მხოლოდ როგორც მომხმარებლის, არამედ როგორც მოაზროვნე და კრიტიკული სუბიექტის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Corner J., *Critical Ideas in Television Studies*, Oxford: Clarendon Press, 1999.
- Corner J., *Critical Ideas in Television Studies*, Oxford, 1999.
- Couldry N. (2012). *Media, Society, World: Social Theory and Digital Media Practice*, Cambridge, 2012.
- Couldry N., *Media, Society, World: Social Theory and Digital Media Practice*, Cambridge, 2012.
- Ellis J., *Seeing Things: Television in the Age of Uncertainty*, London, 2000.
- Ellis J., *Seeing Things: Television in the Age of Uncertainty*, London, 2000.
- Hendy D., *Public Service Broadcasting*, London, 2013.
- McQuail D., *McQuail's Mass Communication Theory* (6th ed.), London, 2010.
- Murdock G., *Building the Digital Commons: Public Broadcasting in the Age of the Internet*, In: Lowe G. F. & Hujanen T. (Eds.), *Broadcasting & Convergence: New Articulations of the Public Service Remit*, Göteborg, 2005.

- Scannell P., Radio, Television and Modern Life, Oxford, 1996.
- Williams R., Television: Technology and Cultural Form, London, 1974.
- ბურდული თ., მედია და კულტურა, თბ., 2015.
- გაბაშვილი მ., საზოგადოებრივი მაუწყებლობის თეორია და პრაქტიკა, თბ., 2018.
- ლორთქიფანიძე ნ., ტელევიზიის ესთეტიკა, თბ., 2016.

ნინო ცქიტიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოკუმენტური კინოს რეჟისურა, მაგისტრანტი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვაჟა ზუბაშვილი

ამერიკული იდეის გადაზიდვა XX საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტურ კინოში¹

რეზიუმე

ცივილიზაციის წინსვლისათვის არსებული რეალობის გულდასმით შესწავლასა და ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვერ შევიტყობთ, რა კუთხითაა ცვლილებების წარმართვა საჭირო იმის გარეშე, თუ არ დავადგინეთ, რა მიმართულებით განიცდის საზოგადოება განსაკუთრებით მძიმე პრობლემებს და, შესაბამისად, ამის საჭიროებას.

ამ მხრივ, დოკუმენტური კინო თავისი დაბადებიდან დღემდე კაცობრიობას საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს. იგი საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ჩავლილი ეპოქების რეალობა შევისწავლოთ, არამედ, განსაკუთრებით მწვავე საკითხებზე ყურადღების გამახვილებით, აფართოებთ თანამედროვე გარემოზე ჩვენს თვალსაწიერს და ამ დილემათა პირისპირ გვაყენებს.

წინამდებარე კვლევა ეხება ამ ტენდენციის ასახვას მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკულ დოკუმენტალისტიკაში. ავტორებმა 1960-იანი წლების პირდაპირი კინოს (Direct Cinema) მოძრაობის ფარგლებში ჩამოყალიბებულ რეალობასთან შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მიახლოების მეთოდებს დაუმატეს საკუთარი შემოქმედებითი ხედვის ელემენტები და მზერა სოციალურ-პოლიტიკური სპექტრისკენ მიმართეს. ამ პერიოდის ნამუშევრებში ხშირად ფოკუსის ობიექტი სწორედ ამერიკული იდეებია, რამეთუ ასახული მოვლენებისა და სიტუაციების ფონზე ისინი მკაცრ და სკრუპულოზურ გადახედვას ექვემდებარებიან. შედეგად, ისმება მნიშვნელოვანი კითხვები - რამდენად რეალურია წარმოდგენა ამერიკულ დემოკრატიაზე? არსებობს თუ არა საზოგადოებაში თანასწორობის ის დონე, რომელიც აქამდე მიიჩნეოდა?

1 მოხსენება წაკითხულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის მე-11 სტუდენტურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია: ამერიკული იდეის ევოლუცია“. 2026 წლის 15 მაისს.

ამოცანის ამოსახსნელად რეჟისორები მეგაპოლისებიდან შორს, პატარა ქალაქებში ინაცვლებენ და ორიენტირად იქაური „საშუალო ამერიკელის“ ცხოვრებას იღებენ. შედეგად, ჭეშმარიტების ძიებაში ეჯახებიან საკმაოდ მწვავე და ზოგჯერ შემზარავ პრობლემებს. ისინი განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა შემდეგ ნამუშევრებში: ბარბარა კოპლის „ჰარლანის ოლქი, აშშ“ (1976), მაიკლ მურის „როჯერი და მე“ (1989) და სტივ ჯეიმსის „საკალათბურთო ოცნებები“ (1994).

ერთი შეხედვით, მაყურებელს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ ეს ფილმები მხოლოდ ამერიკული იდეების მანკიერი მხარეების კრიტიკას ემსახურება, თუმცა წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ მათი გაცილებით დიდი მნიშვნელობის გამოკვეთაა – ეს ნამუშევრები გვიწვევენ მოცემული რეალობის გადახედვისკენ, მათზე დისკუსიის წამოწყებისკენ, რის გარეშეც შეუძლებელია წინსვლა და საოცნებო იდეალების სინამდვილედ ქცევა.

საკვანძო სიტყვები: დოკუმენტური კინო, ამერიკის შეერთებული შტატები, თანასწორობა, დემოკრატია, ჯონ გრირსონი, ბარბარა კოპლი, მაიკლ მური, სტივ ჯეიმსი.

ცივილიზაციის თანაბარი და მწყობრი განვითარებისათვის საჭიროა მრავალი ფაქტორის თანაშეწყობილი, შეხმატკბილებული მოქმედება. თუმცა, მომავლის შენებაში აწმყოს როლი გამორჩეულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს – ახლის შექმნა ძლიერ საყრდენს მოითხოვს. ხელოვნების ყოველი დარგი საკუთარი თანამედროვე ეპოქისგან მოუშორებლად, მასზე მიჯაჭვული არსებობს. შესაბამისად, არსებული რეალობის ანალიზისათვის ფართო სარბიელს გვაძლევს. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია დოკუმენტური კინოს წვლილი რადგან მასში შემოქმედების წყარო სწორედ ნამდვილი ცხოვრებაა, ადამიანი თავისი არსით, მისი გარემო და ხშირად, ამ მოცემულობაში აღმოცენებული პრობლემები. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ უკავშირდება აწმყოს სიღრმისეული შესწავლის საკითხს – წინააღმდეგობათა აღმოჩენისა და დაძლევის გარეშე საზოგადოება არა მხოლოდ ერთ წერტილზე ჩერდება, არამედ პირიქით, უკუსვლას იწყებს.

თავისი წარმოშობის მომენტიდანვე (დღეის ჩათვლით) ჟანრი რეალობასთან დაახლოების და მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების ახალ გზებს ეძებს. ჯერ კიდევ ისტორიაში პირველი

დოკუმენტალისტები, ჯონ გრირსონი¹ და რობერტ ფლაერტი² არჩეული გარემოებების სრულად და ნათლად გადმოსაცემად სპეციფიკურ მეთოდებს მიმართავდნენ და დამატებით შრომას ეწეოდნენ – ფლაერტი ხანგრძლივი დროით სახლდებოდა თავისი არჩეული სუბიექტების გარემოცვაში, ხოლო გრირსონის ყურადღება მუშაობისას მთლიანად ეთმობოდა როგორც სინამდვილის მხატვრულად გარდაქმნას, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნას.

წინამორბედთა კვალი ღირსეულად გააგრძელეს მომავალმა თაობებმა და 1960-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე (კანადასა და აშშ-ში) ეგრეთ წოდებული „პირდაპირი კინოს“ (Direct Cinema) მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. რეჟისორები ცხოვრების ბუნებრივი მოძრაობის მაქსიმალური სიზუსტით ასახვაზე ახდენდნენ კონცენტრირებას, რისთვისაც უარს ამბობდნენ მოვლენებში ნებისმიერი სახით ჩარევაზე, დადგმასა ან მიმართულების მიცემაზე. გადადიოდნენ ერთგვარი დამკვირვებლის პოზიციაში, რაც სუბიექტებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა. ამ პერიოდის ნამუშევრებში აგრეთვე წინ წამოიწია სოციალურ-პოლიტიკურმა თემებმაც, რამეთუ მათ გარეშე რეალობის სრულყოფილი სურათის გამოსახვა ვერ მოხდებოდა. შესაბამისად, ხედვის ველი არა კონკრეტული სიტუაციებით იყო შემოსაზღვრული, არამედ მათ მიღმა ზოგადად ეპოქის მაჯისცემას ეხმიანებოდა. ავტორებმა პირდაპირი მნიშვნელობით ყველა დახურული კარის შეღება მოახერხეს – ფირზე „დაიჭირეს“ შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევნები („Primary“, 1960, რეჟისორი: რობერტ დრიუ), რომელიც მსოფლიო ისტორიის შემდგომი განვითარების ერთგვარ კატალიზატორად იქცა, ასევე მოხვდნენ ფსიქიატრიული დაწესებულების კედლებს მიღმა, რათა იქ მცხოვრებთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ტენდენციისათვის მოეფინათ ნათელი („Titicut Follies“, 1967, რეჟისორი: ფრედერიკ ვაისმანი).

1 ჯონ გრირსონი (1898-1972) – შოტლანდიელი რეჟისორი, კინოს თეორეტიკოსი და კრიტიკოსი. მიიჩნევა ბრიტანული და კანადური დოკუმენტური კინოს ფუძემდებლად.

2 რობერტ ჯ. ფლაერტი (1884-1951) – ამერიკელი რეჟისორი, რომელმაც გადაიღო პირველი კომერციულად წარმატებული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი: „ჩრდილოეთის ნანუკი“ (Nanook of the North, 1922).

სწორედ „პირდაპირი კინოს“ ნიმუშებისთვის დამახასიათებელი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ხდება ამერიკული დოკუმენტური კინოს მომდევნო წლების განუყოფელი ნაწილი. ვიეტნამის ომის გარშემო და შემდგომ შექმნილმა ვითარებამ, თავის მხრივ, საზოგადოებაში ბევრი კითხვა გააჩინა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალური იყო აქამდე მეტ-ნაკლებად მასობრივად გამყარებული წარმოდგენა ქვეყანაში აბსოლუტური დემოკრატიისა და თანასწორობის ზეიმზე. აშკარა გახდა ცვლილებების აუცილებლობა. რეგრესის საფრთხის შემქმნელი ფაქტორების აღმოჩენისა და ძირეული შესწავლის გარეშე, ეს ვერ მოხდებოდა. გამოწვევას დოკუმენტალისტები წარბეზებულად შეხვდნენ და ხელთ არსებული ყველა საშუალება მომართეს მაყურებლის ცნობისმოყვარეობის ჯეროვნად დასაკმაყოფილებლად. შედეგად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მის ბოლომდე მივიღეთ ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ფილმების კალეიდოსკოპი, რომელშიც წარსულის გამოცდილებასა და ნაცად მეთოდებს ახალი სიცოცხლე ენიჭება თითოეული ავტორის გამორჩეული, მკვეთრი და სახასიათო ხელწერის სიმძაფრის დამსახურებით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აქტუალური თემების განსაკუთრებული სიმწვავისა, უმეტესად, ეს ნამუშევრები დიდაქტიკურ ტონს არ ატარებენ. საკმაოდ პატიოსნად მიჰყვებიან დოკუმენტური კინოს ობიექტურობის კრედოს და გამონაკლისების გარდა, მაყურებელს აბსოლუტურ თავისუფლებას ანიჭებენ ამა თუ იმ მოვლენაზე საკუთარი აზრის ჩამოსაყალიბებლად. მათ აწვდიან ხელთ არსებულ ყველა ფაქტს, რაკურსს და ნიუანსს. ხოლო მათ მოსაპოვებლად, დაუზარებლად ირჩევენ შორ და რთულ გზებს. ეს ავტორები იაზრებენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჰოლივუდის ობიექტივში მოქცეული მბრწყინავი მეგაპოლისების მიღმა გაფანტული და მათ ხმას უამრავი დაბრკოლება ახშობს.

ბარბარა კოპლის 1976 წლის ფილმი „ჰარლანის ოლქი, აშშ“ ერთ-ერთია იმ ნიმუშებიდან, სადაც კამერა შორეულ მხარეში, პატარა ქალაქში მოგზაურობს „საშუალო ამერიკელის“ შეხედულებების ფართო აუდიტორიამდე მოსატანად. ის ინტერესდება იმით, თუ როგორ გამოიყურება არათანაბარი ძალების დაპირისპირების ფონზე ერთიანობისა და თანასწორობის საკითხი. დაძაბულობის დონე საკმაოდ საინტერესო, ურთიერთსაწინააღმდეგო სურათებს

გვიჩვენებს - ეს სიმძიმე ადამიანებს ერთდროულად როგორც ანაწევრებს დაპირისპირებულ ბანაკებად, ისე კრებს ერთიან მოქმედს ხეულად პრობლემის წინააღმდეგ. რეალობა არანაირ შელამაზებას, არავითარ ჩარევას არ საჭიროებს, რამეთუ კონფლიქტის ბუნებრივი, ეტაპობრივი ესკალაცია გაცილებით უფრო შემზარავია, ვიდრე ნებისმიერი მხატვრული სიუჟეტი. თუმცა, ამავდროულად, რეჟისორი მოვლენათა რომანტიზირების საშუალებას არ გვაძლევს და მაქსიმალურად ცდილობს ობიექტური სიფხიბლე შეგვიწარმოოს, რათა არ დავივიწყოთ გარემოებათა სიმწვავე.

ჩვენ თვალწინ დემოკრატია ორლესულ მახვილს ემსგავსება - ერთი მხრივ, მეშახტეები და მათი ოჯახები წარმოდგენელ სულიერ სიმტკიცეს ავლენენ და არაფრის დიდებით არ თმობენ იმ უფლებებს, რომელთა არსი და მნიშვნელობაც მშვენივრად აქვთ გააზრებული. ეს ადამიანები უდავოდ „თავისუფალთა მიწის“ შვილები არიან და მათ სახეებში ნათლად ირეკლება ის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ამ საზოგადოების საყრდენს რომ წარმოადგენს. თუმცა, მახვილის მეორე მხარეს პირისპირ ვეჯახებით ზემოხსენებული იდეალებისათვის შექმნილ საფრთხეს. რადგან თანასწორობისა და ერთიანობის იდეის აზრი საბოლოოდ მაინც ადამიანის კეთილსინდისიერებას ემყარება, თავიდან ვერ ავიცილებთ ისეთი პიროვნებების გამოჩენას, რომლებიც შეუბოჭავი ნების სახელით განზრახ ებრძვიან საზოგადო სარგებელს, რათა სხვებზე მაღალი პოზიცია მოიპოვონ ან შეინარჩუნონ. „ყველა ცხოველი თანასწორია, თუმცა ზოგიერთი ცხოველი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები“¹. ბარბარა კოპლის მიერ შემოთავაზებულ სიტუაციაში დემოკრატის პირველივე ხელისშემშლელი, სწორედ მის მიერვე მონიჭებული მოქმედების თავისუფლებაა.

ჰარლანის ოლქის ამბავი იმის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს, თუ როგორი განუწყვეტელი, მუხლიჩაუხრელი შრომა და თავდაუზოგავი რისკია საჭირო, ერთი შეხედვით, ელემენტარული ადამიანური უფლებების შესანარჩუნებლადაც კი. გაფიცულ მეშახტეებთან ერთად, გადამღები ჯგუფიც დგამს ამ ნაბიჯს, როცა ქვანახშირის კომპანიის მიერ დაქირავებულ შეიარაღებულ პირებს მოსახლეობაზე თავდასხმის მომენტში თითქმის რამდენიმე მეტრის დისტანციიდან აფიქსირებს.

¹ ორუელი, ცხოველების, 2014. გვ. 96.

ბარბარა კოპლი თხრობის დინებას სრულიად უქვემდებარებს მომხდარ და გადაღებულ ფაქტებს. იმდენად, რომ მომენტებში რეჟისორის ხელწერა და მხატვრულ-გამომსახველობითი მხარე უკანა ფონზე ინაცვლებს. იმავე კრიტიკას იღებს ნამუშევარი დრამატურგიის მხრივაც: „აქ იყო ერთი აშკარა, ცენტრალური პრობლემა: ფილმს გააჩნდა ბუნებრივი დასასრული, რომელიც კოპლმა დააიგნორა. შედეგად, ბუნებრივად გადამწყვეტი მომენტის შემდეგ, ნამუშევარი თავიდან დაიწყო, უფრო მოსაწყენად და თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა“.¹ თუმცა, ამავდროულად, თავად ისტორია მაყურებლისათვის იმდენად მომნუსხავია, რომ ამგვარ ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილებას საჭიროდ არ თვლის. მით უმეტეს, რომ ავტორი გარემოს ხასიათის სრულად გადმოსაცემად ფილმის მუსიკალური გაფორმებისთვის მხოლოდ მეშახტეთა სიმღერებს იყენებს და ამასაც ძალზე მოზომილი მანერით, რაც ბუნებრივად ხდება მისი შემოქმედებითი სტილის ნაწილი და ნამუშევარსაც ერთიან, მოცულობით ფორმას ანიჭებს.

ამ ფილმთან თემატური მსგავსებების პოვნა ადვილია მაიკლ მურის 1989 წლის ნამუშევარში „როჯერი და მე“. აქაც, პატარა ქალაქის მოსახლეობა დიდი კორპორაციის სიხარბის მსხვერპლი ხდება, თუმცა ხასიათითა და მიდგომით, ეს ორი ნიმუში ერთმანეთის აბსოლუტურ ანტიპოდს წარმოადგენს. პრობლემის სიმძიმისათვის შესაფერისი პირქუში განწყობისაგან განსხვავებით, რომელსაც „პარლანის ოლქში“ ვაწყდებით, „როჯერი და მე“ სრულადაა ირონიითა და მწარე ცინიზმით გაუღენთილი. იგი სწორედ ის გამონაკლისია, სადაც დოკუმენტური კინოს ობიექტურობის კრედო ხშირად და მოურიდებლად ირღვევა. ავტორი არა დამკვირვებელი, არა ნარატორი, არამედ ერთ-ერთი მოქმედი პირი ხდება. მაიკლ მურის შემოქმედებითი სტილისათვის ეს ყველაფერი ჩვეული მახასიათებლებია. სწორედ ისინი უზრუნველყოფენ მისი ფილმების გამორჩეულ ექსპრესიულობას, ერთგვარ უხეშ, მოურიდებელ, თითქოს თავხედ ბუნებას და იმიტომ გამოსახებიან ასეთ მკვეთრ შტრიხებად, რომ თავად რეჟისორის პიროვნებასა და ხასიათს ირეკლავენ. თუმცა, არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც, ეს ნაწარმოები ამგვარ მკაფიო მნიშვნელობას იძენს – ამბავი ავტორის მშობლიურ ქალაქში ვითარდება, მისთვის ნაცნობი და ახლობელი ადამიანების გარემოცვაში.

1 Rosenthal, Writing, 2002, pg. 114.

მიუხედავად იმისა, რომ მურის სუბიექტურობა და მიდრეკილება რეალური ფაქტებისა და კადრების ნარატივზე მოსარგებად მანიპულაციისადმი მის ავტორიტეტს ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ეს ფილმი ამერიკული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და საჭირო კითხვებს სვამს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორი მოწყვეტილია მაღალი ფენა, ელიტა ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრების სურათისაგან და, შესაბამისად, მის საჭიროებებსა და პრობლემებს ვერ იაზრებს. ქალაქ ფლინტის დაცარიელებული, გავერანებული ქუჩები და „ჯენერალ მოტორსის“ მდიდრული, ნათელი და ფერადი წვეულებები ერთმანეთთან ძლიერ კონტრასტში მოდის - თითქოს, ეს მოვლენები ერთსა და იმავე სამყაროში არ ხდება: „მაკრო დონეზე, მაგალითისათვის, ეს სივრცითი ალევორიაა მურის მიერ როჯერ სმიტის განუწყვეტელი ძიების სახით. ეს პროცესი გაცილებით მეტია, ვიდრე ვითომ ფილმის საორგანიზაციო პრინციპი. ეს ძიება იმ დისტანციის სიმბოლოა, რომელიც აშკარად ყოფს კაპიტალსა და მოსახლეობას. სივრცე ნაჩვენებია რესტრუქტურირებულ საერთო და პირად სფეროებად, რაც ემთხვევა თანამედროვე ფლინტის რელიეფში გაჩენილ კლასობრივ ნაპრალებს“.¹ მაიკლ მური უთანასწორობის დამაბრმავებლად მკვეთრ სურათს გვიჩვენებს და თითქმის გადაჭრით უარყოფს ამერიკული ერთიანობის იდეის რეალურობას, წარმოაჩენს რა მას, კარგად შეფუთულ ილუზიად.

დამაინც, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გვხვდება თვალში ეს ყველაფერი, ყურადღების მიღმა არ უნდა დავგვრჩეს შემდეგი ნიუანსები - ფილმში არის გაზვიადება, მაყურებლის ნდობით სარგებლობა და მისი გრძნობებით თამაში, მაგრამ, ამას გარდა, ნაჩვენებია ის რეალობა, სადაც ერთი ადამიანის მიერ მიღებული, მომხვეჭელობით მოტივირებული გადაწყვეტილების გამო, მთელი ქალაქი რამდენიმე თვეში ნადგურდება. მურის გამოყენებული მეტოდიკა სიტუაციისადმი ყურადღების მისაქცევად შემოქმედებითად ნაკლებადაა ეთიკური, მაგრამ ცვლილებები, რომლისკენაც იგი საზოგადოებას მოუწოდებს, სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს.

სოციალურ-პოლიტიკურმა თემატიკამ ამერიკულ დოკუმენტურ კინოში, წლებთან ერთად, აქტუალობა არ დაკარგა. პირიქით,

¹ Natter, Jones, Pets, Antipode 25(2), 1993. pg. 146.

ერთიორად მოიმატა კიდევ. როგორც უკვე ვიხილეთ, ტენდენცია 1970-იანი წლებიდან 80-იანების ბოლომდეც გაგრძელდა და ტემპი არც შემდგომ დაუგდია. 1994 წელს ეკრანებზე მსოფლიო დოკუმენტური კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული ფილმი გამოვიდა. სტივ ჯეიმსის „საკალათბურთო ოცნებები“ აქტიურ სუბიექტებად არა აღამიანთა ჯგუფს, არამედ ორ კონკრეტულ მოზარდს ირჩევს და მათი პირადი ისტორიის დახმარებით, ზოგადი სისტემატიური ნაკლოვანებების გამოკვეთას ახერხებს. ამგვარად, მრავლისმეტყველ ნარატივში ავტორის ადგილი ნაკლებად რჩება და შესაბამისად, ისიც უარს ამბობს ჩარევაზე და მხოლოდ აქა-იქ კადრს მიღმა კომენტარებით შემოიფარგლება. შესაძლოა, ამგვარმა გადაწყვეტილებამ შედეგად ისეთი საინტერესო მხატვრულ-ესთეტიური ძიებები არ მოგვიტანა, როგორც მაიკლ მურის მონტაჟის ტემპმა ან ბარბარა კოპლის შერჩეულმა მუსიკალურმა ფონმა, თუმცა საბოლოოდ თავად ფორმა ამბისა და სათქმელის გადმოსაცემად იდეალური გამოდგა.

სტივ ჯეიმსი არც პირველი ავტორი იყო და არც უკანასკნელი მათ შორის, ვინც აფროამერიკელი ახალგაზრდების საერთო დაბრკოლებებზე შეაჩერა ყურადღება. მაგრამ, აუცილებელია აღვნიშნოთ ის, თუ როგორი ზომიერებით მოეკიდა იგი შერჩეულ საკითხს. რეჟისორი არ თვლის საჭიროდ სუბიექტების ცხოვრება დეტალურად აღწეროს, დააფიქსიროს ყოველი წამი ცოცხალ დინამიკაში ან გამოიყენოს „პირდაპირი კინოს“ მეთოდოლოგია. მას აბსოლუტური სიზუსტით აქვს შერჩეული სწორედ ის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მომენტები, რომლებიც თავადვე აკეთებენ საჭირო კომენტარს სისტემურ უთანასწორობაზე, სოციალურ ფენებს შორის დამოკიდებულებასა და საზოგადო განწყობაზე.

მთავარი გმირების, არტურ ეიჯისა და უილიამ გეიტსის მისწრაფება პროფესიული საკალათბურთო კარიერისადმი არა მხოლოდ სპორტის სიყვარულითაა მოტივირებული, არამედ, უფრო მეტად, მათ გარშემო არსებული მძიმე სოციალური ფონიდან თავის დაღწევის დაუძლეველი სურვილით. ამ გზიდან ჯეიმსის ამოკრეფილი სცენები არა მხოლოდ არსებულ მოცემულობას გვიჩვენებენ, არამედ ამ უსამართლობათა პირდაპირ, დამანგრეველ შედეგებს. „საკალათბურთო ოცნებები“ მხოლოდ მაშინაა მიმზიდველი, „თუკი ორი აფროამერიკელი კალათბურთელის დოკუმენტური

სურათები ორ მონაწილე მოთამაშებზე მეტს წარმოადგენს. თუ შეგვიძლია გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი და ვთქვათ, რომ ეს სურათები რალაცას ნიშნავს ჩვენს კულტურაზე, ჩვენს დამოკიდებულებაზე რასასთან დაკავშირებით, ჩვენს სოციალურ ორგანიზებაზე. თუკი ფილმი ამ ნაბიჯს არ იწვევს, მაშინ ჩვენ მას უბრალოდ ვიყენებთ, რათა ვოიერისტულად ვუთვალთვალოთ ორ ინდივიდს, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულობის გამო, ეგზოტიკურად გვეჩვენებიან¹. როდესაც საზოგადოება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე მაღლა მატერიალურ კეთილდღეობას აყენებს, უსამართლობა და უთანასწორობა გაცილებით უფრო მარტივად ახერხებს გაღვივებას, მსხვერპლად კი მიაქვს ნიჭი, პერსპექტივა.

ნაშრომში განხილული სამივე ნამუშევარი, საბოლოოდ, საკუთარ ეპოქაში ამერიკული იდეალების მდგომარეობის აღწერისათვის სხვადასხვა ხედვის კუთხეს და ასახვის სიმძაფრეს ირჩევს. მიუხედავად იმისა, სიტუაცია უფრო ნეგატიურადაა წარმოჩენილი თუ შედარებით ნეიტრალურად, ნაკლებსავარაუდოა, რომელიმე ფილმი საკუთარ თავში მხოლოდ ამ ღირებულებათა მანკიერი მხარეების კრიტიკას მოიაზრებდეს. დოკუმენტურ კინოში მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ თემებთან შეჭიდება არაა უბრალო ტენდენცია, არამედ ამ დარგის თავიდანვე თანდაყოლილი ერთგვარი პასუხისმგებლობა, რომელიც რეჟისორს აიძულებს თავისი შემოქმედება საზოგადო სარგებლისაკენ მიმართოს. ამის დასტურია ჯონ გრირონის სიტყვებიც - „ზოგმა ჩვენგანმა ფილოსოფიაში შეისწავლა, რომ ყველაფერი საზოგადო სიკეთეს ემსახურებოდა, ხოლო არაფერი - პირადს და ბედნიერების ძიება არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში, ადამიანის სულიერი დარღვევის გარდა, არც არაფრად მიგვიჩნევია“². შესაბამისად, მართებულია ვიფიქროთ, რომ „ჰარლანის ოლქი, აშშ“, „როჯერი და მე“ და „საკალათბურთო ოცნებები“ წარმოადგენენ ამერიკელი ავტორების მცდელობებს, აუდიტორია და ფართო საზოგადოება დემოკრატიისა და თანასწორობის საკითხებზე მსჯელობაში აიყოლიონ, სასიკეთო ცვლილებებამდე მისვლის იმედით.

1 Chawn, representing, 1997, pg. 150.

2 Hardy, Grierson, 1947, pg. 237.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Chawn J., Representing the Ghetto Playground: From „Be Like Mik“ to „Hoop Dreams“, selected readings from the annual conference of the International Visual Literacy Association, 1996, Wyoming, 1997. https://www.researchgate.net/publication/234587747_Representing_the_Ghetto_Playground_From_Be_Like_Mike_to_Hoop_Dreams_20/05/2026
- Hardy F., Grierson on Documentary, New York, 1947. <https://www.worldradiohistory.com/BOOKSHELF-ARH/Education/Grierson-on-Documentary-Hardy-1947.pdf> 20/05/2026
- Natter W., Jones J. P. III, Pets or Meat: Class, Ideology and Space in „Roger and Me“, Antipode 25(2), 1993. <https://people.sbs.arizona.edu/jp-jones/sites/default/files/JP/Pets%20or%20Meat.pdf> 20/05/2026
- Rosenthal A., Writing, Directing and Producing Documentary Films and Videos (Third edition), 2002. <https://www.masmenos.es/wp-content/uploads/2013/08/Rosenthal-A.-2002-Directing-and-producing-documentary-films-and-videos.pdf> 20/05/2026
- ორუელი ჯ., ცხოველების ფერმა, თბ., 2014.

ინტერნეტწყაროები:

- დოკუმენტური ფილმი „ჰარლანის ოლქი, აშშ“, 1976, რეჟისორი: ბარბარა კოპლი. <https://www.criterionchannel.com/harlan-county-usa/videos/harlan-county-usa>
- დოკუმენტური ფილმი „როჯერი და მე“, 1989, რეჟისორი: მაიკლ მური. <https://www.youtube.com/watch?v=-LhHBzGPPXU>
- დოკუმენტური ფილმი „საკალათბურთო ოცნებები“, 1994, რეჟისორი: სტივ ჯეიმსი. <http://criterionchannel.com/hoop-dreams/videos/hoop-dreams>

მედიის კვლევები

ნათია ტყემალაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელები: ლაურა კუტუბიძე, ჟურნალისტიკის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თამარ ვაშაკიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე

მედიაენის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში

რეზიუმე

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების ფორმები რადიკალურად იცვლებოდა. თავდაპირველად ის ზეპირად ვრცელდებოდა და ამისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ორატორები (მაგალითად, დემოსთენე, ციცერონი...), შემდეგ კი გაჩნდა ბევრად ეფექტური საინფორმაციო საშუალებები - გაზეთი, ჟურნალი, ფონოგრაფი, გრამოფონი, რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი.

მედია მოიცავს მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალებას (წიგნი, ფილმი, ბეჭდური/სამაუწყებლო/ონლაინმედიასაშუალებები, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, შოუბიზნესი და მასობრივი სპორტული სანახაობები). 1990-იანი წლები ბეჭდური მედიის ხანაა, რაც ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. მას თავისი ენა აქვს (გაფართოებული,

შემუშავებული კოდების ენა; კომპიუტერი წესრიგი; ჟანრის სტილის, ტონალობის დაცვა; გამართული რთული წინადადებები; ინტერტექსტი...). ინტერნეტმა წარმოშვა მედიის ახალი სახე. ის 1960-იან წლების აშშ-ში განვითარდა, როგორც ექსპერიმენტული ქსელი, რომელიც სწრაფად გაიზარდა და მოიცვა სამხედრო, ფედერალური, რეგიონული, საუნივერსიტეტო, ბიზნეს და პირადი მომხმარებლები. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის წარმოშობამ ენასთან მუშაობა უფრო გააადვილა ტექნიკური თვალსაზრისით, რადგან ტექსტი გაციფრულდა, მასზე წვდომა გამარტივდა და იოლად გავრცელებადი გახდა ტვიტების, ბლოგებისა და ვიდეოების საშუალებით. მიუხედავად ამ ტექნოლოგიური პროგრესისა, ენა ისეთი დაბინძურებული არასოდეს ყოფილა, როგორც ახლაა. სწორედ ინტერნეტმა გახადა თანამედროვე

მედიანის სტილი სასაუბრო და საკომუნიკაციო. ტრადიციულ მედიში (ჟურნალ-გაზეთები, ტელერადიო) გავრცელებული წიგნებისა და გაზეთებისთვის შემუშავებული ენა, ნორმები ვეღარ მთარგმნის სოციალურ სივრცეს ინგლისური ენის პრივილეგიისა და დომინირების გამო. არაფორმალური მეტყველება გახდა უპირატესი აზრის მარტივად გავრცელება-აღქმისათვის. თანამედროვე მედია მოიცავს სოციალურ ქსელებს, რაც უზარმაზარი ლექსიკური მასივია, რომელშიც უამრავი ფუნქციური დანიშნულების და სტილური შეფერილობის მქონე ტექსტი გვხვდება. ენის მომხმარებელთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ინგლისურად წერს სტატუსებს, ბლოგებს, რამაც საზოგადოებისთვის საიმიჯო ფორმა და ფართო აუდიტორიასთან წვდომის შესაძლებლობა მიიღო.

ყველა ციფრული ქსელის ფუნქციონალს ტექსტის თავისი შაბლონი აქვს: სიტყვების განსაზღვრული, შეზღუდული რაოდენობა, ხატ-ნიშნებისა და ნიშან-ინდექსების გამოყენების აუცილებლობა, ტექსტის განსაზღვრული ტიპის დომინაცია (მაგალითად, ვიდეო ტიკტოკზე), რეკლამის დამკვეთების გავლენა (ინფლუენსინგის ენა, მაგალითად, ინსტაგრამზე). ეს პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს აღქმასა და მომხმარებლის ცნობიერებაზე.

სოციალური ქსელების ენა, ენობრივი სტრუქტურა თვალსაჩინო მაგალითია, რომ მედიანა მუდმივად განახლებადი და კულტურულად დატვირთული სისტემაა, რომლის გაანალიზება აუცილებელია როგორც მედიაწიგნიერების, ისე კულტურის კვლევის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: მედია, სოცმედია, მედიანა.

კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ინფორმაცია მეპირად ვრცელდებოდა და ამისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ორატორები (მაგალითად, დემოსთენე, ციცერონი...). აღსანიშნავია, რომ ასეთი ფორმით გავრცელებული ინფორმაცია ნაკლოვანი იყო არეალის შეზღუდულობისა და გავრცელებული ცნობების უზუსტობის გამო.

საუკუნეების შემდეგ გაჩნდა ბევრად ეფექტური საინფორმაციო საშუალებები, თავდაპირველად - გაზეთები, ჟურნალები, შემდეგ - რადიო, ტელევიზია და ბოლოს - ინტერნეტი, რომელმაც ყველა მედიასაშუალება გააერთიანა და, შესაბამისად, შეითვისა ყველა მათგანის ენობრივი და გამომსახველობითი საშუალება.

მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებათაგან, ბეჭდური გაზეთი ყველაზე ძველი მედიასაშუალებაა. მისი ენა მუდმივად იცვლება და, სამწუხაროდ, მასში ხშირად გვხვდება ბარბარიზმები, სლენგები და ჟარგონები, რაც საზიანოა ენისთვის. საგაზეთო ენა ისრუტავს ყველა იმ სიახლეს, რომლებიც დროს მოაქვს და უპირატესად თავად სალიტერატურო ენაზეც აისახება.

მრავალფეროვნებიდან და მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე, გაზეთი იყენებს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო ნიშანს: ასო-სიმბოლოებს, იკონურ ნიშნებს, ხაზებს, გრაფიკულ გამოსახულებებს, გეომეტრიულ ფიგურებს, ნახატებს, ფოტომასალებს...

ბეჭდურ მედიას თავისი ენა აქვს. ეს არის გაფართოებული, შემუშავებული კოდების ენა, კომპოზიციური წესრიგი, ჟანრის სპეციფიკასთან შესაბამისობა, ჟანრის სტილის, ტონალობის დაცვა, გამართული რთული წინადადებები, ინტერტექსტი და სხვა.

რადიოს ახასიათებს ტრანსლაციურობა და აკუსტიკურობა. ის იყენებს პრაქტიკული მეტყველების ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: იმპროვიზაციულობა, სპონტანურობა, უშუალობა, წინასწარ განუსაზღვრელობა, რადიომეტყველება.

რადიოენა წიგნური და სასაუბრო ენის ნაერთია - მათი ელემენტების ერთობლიობა.¹ რადიოტექსტს ავსებს ისეთი არავერბალური ხერხები, როგორებიცაა ტონი, მეტყველების დინამიკა... მისი ძირითადი თავისებურებაა ალქმის სპეციფიკური ხასიათი, წარმოსახვის შესაძლებლობა.

ტელევიზია მძლავრი მედიაარხია, რომელიც მომენტალურად აერთიანებს მასობრივ აუდიტორიას და შეუძლია ერთდროული გლობალური კომუნიკაციის დამყარება. აუდიტორიამ ინფორმაცია უნდა მიიღოს არა სპონტანურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ მუდმივად, რეალურ დროში, მოვლენების განვითარების პარალელურად.

მასობრივი კომუნიკაციის განვითარების პერსპექტივა ორ მმართველებს გამოკვეთს - მოხმარების ინდივიდუალიზაციასა და გავრცელების გლობალიზაციას. ტელევიზიის განვითარებამდე ინფორმაციის ალქმის სამი ძირითადი ვარიანტი არსებობდა: ერთეული ადამიანის კონტაქტი ტექსტთან, მცირე ჯგუფის მიერ ტექსტის ალქმა და მაკროჯგუფის ტექსტთან ურთიერთობა. ტელეარხმა ამას

1 სურგულაძე, იბერი, მასობრივი, 2003, გვ. 202.

დაუმატა მეგააუდიტორია. ტელემაუწყებლობისთვის დამახასიათებელია ასევე ინტერაქტიური კომუნიკაცია, რაც უზრუნველყოფს მასობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის აბსოლუტურ ოპერატიულობასა და უკუკავშირს.

უცხოელი და ქართველი რეჟისორების ინტერესი ნარკომანიის პიროვნული აპოკალიფსისადმი, პირადი ტრაგედიისადმი ადრეული პერიოდიდან არსებობს. ევროპელი და ამერიკელი რეჟისორებისთვის, ძირითადად, მანკიერი წრეა საინტერესო, სადაც ისინი აფიქსირებენ თითქმის ყველა დეტალს, დაკავშირებულს სოციალურ და ყოფით სინამდვილესთან. ხოლო ქართველი რეჟისორების ფილმებში პირდაპირობა ქცევითი მახასიათებლების გამოვლენისკენ არის მიმართული. რა თქმა უნდა, ეს თავისებურება არ ვრცელდება ნებისმიერ ნარკომანიის თემაზე გადაღებულ ფილმზე. ქართულ კინოში ნარკომანიის მანკიერების მოტივებთან ერთად, უმეტეს შემთხვევაში, იქმნება პერსონაჟების ზნეობრივი, ხშირად წინააღმდეგობრივი პორტრეტი, რომელიც, იცვლება დროთა განმავლობაში. სხვადასხვაგვარად, მეტაფორებით, ან რეალისტურად, შეიძლება, დოკუმენტური თანმიმდევრობითაც კი, აღბეჭდილი ნარკომანთა ყოფა - მათი გაუსაძლისი, ცარიელი და გაუფასურებული არსებობის სურათები, პორტრეტები, პერსონაჟების ცხოვრების რაკურსები ხშირად იცვლება. საერთო პრობლემა ერთია, მათი ქცევითი მახასიათებლები კი - სხვადასხვაგვარი.

ალექს კოქსი და სკოტ კალვერტი ხშირად მიმართავენ პირდაპირობას, ნატურალიზმს. პრობლემა მკვეთრად სპეციფიკური დეტალებით აისახა დენი ბოილის ფილმში - „ნემსზე“ (1996) და ტერი გილიამთან - „შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში“ (1998).

„სიდი და ნენსი“ მოგვითხრობს 1970-იანი წლების ცხოვრებაზე, როკ-ჯგუფის შექმნისა და შემდეგ მის ნელ-ნელა დაშლის ამბავს. პარალელურად, ნარკოტიკზე დამოკიდებულება შლის ზღვარს აღ-ქმასა და რეალობას შორის და დრო ამის გასააზრებლად, დაჩქარებულია. პიროვნებების დეგრადირება უკვე აღარ არის მხოლოდ ქიმიური ნივთიერებით გამოწვეული ფიზიკური კვდომა. ეკრანზე ის თანაგრძნობის გასააზრებლად აღმოცენებული, მოტივთა ერთიანობაა.

სიდი და ნენსი ახალგაზრდა ნარკომანები არიან, რომლებიც ცხოვრებაში ველარაფერს ღირებულს ველარ ქმნიან, სიდის პოპულარობაც ნელ-ნელა ქრება. დომინანტი ნენსია, რომელიც ცდილობს სიდის მომავალზე იფიქროს და შეძლებისდაგვარად ეხმარება მას. თუმცა, უშედეგოდ. სიდი მარტივი, მუდმივად ნარკოტიკისგან გაბრუნებული პერსონაჟია, რომელიც თითქოს მაყურებლის თვალწინ კლავს დროის ცნებას, უბრალოდ უარს ამბობს მას, როგორც მოცემულობასა და გარდაუვალობას. ეს კი პირდაპირი გზაა თვითდესტრუქციისკენ.

ფილმი სიდის დაკითხვის ეპიზოდით იწყება. მან მოკლა ნენსი და თავად დარეკა პოლიციაში. ეს ფსიქოპორტრეტი ტრაგიკული გარდატეხის შედეგია. თუმცა, განადგურებული და რეალურ სამყაროს მოწყვეტილი, სახედაკარგული ნარკომანი პიროვნულობის ბოლო ნიშანსაც აქრობს საკუთარ თავში. ეს ვარდნა და პიროვნული ჩამოშლის პროცესი განსაკუთრებით საინტერესოა. ნარკოტიკების მიღებისა და ნენსისთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ სიდს აღარ შეუძლია ზღვარის შენარჩუნება. ეს მხოლოდ ნარკოტიკზე დამოკიდებულება კი არა, ამ პერსონაჟების მანკიერებისადმი ვნების თანახმად აღწერილი, თანდაყოლილი თვითგანადგურების ინსტინქტია. სიდი მთლიანად ნენსის მენტალური საკუთრების ნაწილია. არ გააჩნია ზნეობრივი „მე“. შესაბამისად, ვერ განასხვავებს ავსა და კარგს. არ შეუძლია პრობლემის მოგვარება. ველარ იფიქრობს საკუთარ ცხოვრებაზე. ცხოვრობს ინსტინქტით და როგორც პიროვნება, აღარ არსებობს. ისინი ნაკლებად რომანტიზებულ, თუმცა განწირულ და ამ თვითგანადგურების პროცესში მყოფ, სტერეოტიპულ გმირებად იქცევიან. გადარჩენა წარმოუდგენელია, ვინაიდან ასეთი გმირი ერთი ჭეშმარიტების მატარებელია - ემოციური სიღრმე არსაითაა მიმართული, თვითდესტრუქციის

გარდა. სიდი არ შეიცვლება. ნენსის სიკვდილის შემდეგ ის ცარიელ რეაქციად გარდაიქმნება. ნენსის პერსონაჟი აგრესიული, ემოციურად არამდგრადი და იმპულსურია, ამიტომ მასში არსებული უარყოფითის განცდა პირველყოფილი ინსტინქტია. ურთიერთობა მისთვის, პიროვნების განადგურებას ნიშნავს. თუმცა ეს სტერეოტიპი ყოველთვის დესტრუქციისკენ მიმართული არაა. არსებობს მისი სხვა მაგალითებიც.

ფილმში „კალათბურთელის დღიურები“, ახალგაზრდა ჯიმ კეროლის პერსონაჟი კალათბურთელი, დანებდა და ნარკომანად იქცა. ჯიმში დაკარგა დედა. თუმცა, ეს სულიერი ბრძოლისა და თვითშემეცნების პროცესიცაა. მაშინ, როდესაც დედა კარს უკეტავს, ჯიმი აცნობიერებს, რომ მისი პიროვნული ვარდნა საკუთარი გადაწყვეტილებათა. ასეთ გმირებში ნებისყოფის არქონა სოციალურ ტრაგედიას უტოლდება. ჯიმი იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მის პირვანდელ მორალურ ღირებულებებს: ნარკოტიკის მიღება, თვითგამოხატვის უნარის დაკარგვა და პიროვნების დაშლის პროცესი. -სკოლიდან გარიცხვა ნიშნავს სოციალური წესრიგის ჩამოშლას. ძარცვა და ფულის გამოძალვა მორალური „საზღვრების გადალახვის“ მანიშნებელია. დედის გაქურდვა კი, საბოლოო ზღვარის გადაკვეთაა. დედა კარს კეტავს და პოლიციასში რეკავს - მორალური კონფლიქტი ანადგურებს ჯიმის პოტენციალსაც, რომელიც საბოლოოდ აღარ არის ის პიროვნება, ოდესღაც რომ იყო. -როდესაც საკუთარ ისტორიას ჰყვება, არ ნიშნავს, რომ გათავისუფლდა ყველაფრისგან, რომ კვლავ შეუძლია იფიქროს, იგრძნოს და თქვას სიმართლეც. მან ყველაფერი დაკარგა, მაგრამ საკუთარი პიროვნების შენარჩუნებას მაინც ცდილობს.

ქართული კინოს კრიზისის და პოსტკრიზისის პერიოდები ასევე დატვირთულია ნარკომანიის, როგორც ახალი ტრაგედიის თემით. არჩილ ქავთარაძის „სუბორდინაცია“ იგივე თემის ინტერპრეტაციაა, სადაც ახალგაზრდა ნარკომანები არა სიყვარულის, ან შინაგანი ტკივილის, არამედ ფსევდოსოციალური თამაშისა და გადარჩენის ინსტინქტის გამო კარგავენ მორალურ ღერძს. თუმცა, განსხვავებით სხვა გმირებისაგან, ამ ფილმის პერსონაჟების ფსიქოტიპები ბუნდოვნად იკითხებიან. ისინი განიხილებიან არა როგორც ინდივიდები, არამედ, როგორც ერთი თაობის ნაწილის სახე. მასში

გაერთიანებულია ნარკომანების ტიპები და ეს ტრაგედია ყველას ეხება, როგორც: „კიბე-კიბე დაგდებული გამოყენებული შპრიცები მართლაც რომ, ნარკომანის მიერ განვლილი ხანმოკლე ცხოვრების მეტაფორულ გზას ასახავს...“.¹

ლევან კოლუაშვილის „ქუჩის დღეების“, მთავარი გმირი ჩეკი, ქუჩაში ყოფნით სულდგმულობს, მოტაცების და ქურდობის მცდელობაც აქვს, თუმცა ბოლოს – საკუთარ სიცოცხლეს სწირავს, რომ ახალგაზრდა ბიჭის ცხოვრება გადაარჩინოს და ღირსება შეინარჩუნოს. ის, რაც ჩეკის პიროვნებასა და ცხოვრების წესში თითქოს არ ჩანს, ბოლოს მისი სულიერი გამარჯვებით სრულდება. „ფილმის დასასრულს, რეჟისორი ბოლო იმედსაც მიკლავს, რომ მსხვერპლშეწირვის შემდეგ, რაიმე შეიცვლება. მარწმუნებს, რომ ჩეკის თაობამ ცხოვრების შანსი საბოლოოდ გაუშვა ხელიდან“;² – წერს დათო გორგილაძე „ქუჩის დღეებთან“ დაკავშირებით. თითოეული ამ ფილმის გმირის ტრაგედია საერთოცაა, მაგრამ ძალზე პიროვნულიც. ქართველი რეჟისორების ფილმებში მეტაფორულად, თუმცა, მკაფიოდ იკითხება ნარკომანიის, როგორც ტრაგედიისა და პერსონაჟთა ნაირგვარობა.

1980-1990-იანი წლებისა და XXI საუკუნის 20-იანი წლების ფილმების მიხედვით, ეს ნაირგვარობა საკმაოდ ხელშესახებია: „სიდი და ნენსის“ მთავარი გმირი (სიდი) სოციალურად და მენტალურად პრიმიტიული პერსონაჟია, თუმცა მის ცხოვრებაში რეალობა რადიკალურად იცვლება, ნენსის გაცნობის შემდეგ. „კალათბურთელის დღიურებში“ ნაჩვენებია, როგორ კარგავს ჯიმი ადამიანურ სახეს და სულიერებას მას შემდეგ, რაც გასინჯავს ნარკოტიკს. იმის მიუხედავად, რომ ჯიმი კარგი ადამიანია, ნათელია, თუ როგორ ქრება მისი პიროვნული მენტალობა. თუმცა, განსხვავებით სიდისაგან, ჯიმის პიროვნებაში იკითხება სამი ცვლილება – როდესაც ნარკოტიკის გარეშე ცხოვრობს, შემდეგ, როდესაც ნარკომანია, ბოლოს კი ნარკოტიკს თავს ანებებს, თუმცა ყველაზე ძვირფასი ადამიანის დაკარგვის ფასად. ჯიმის, სიდისა და ნენსის შორის დიდი განსხვავებაა. რადგან სიდსა და ნენსის არც ჰქონიათ გამოკვეთილი პიროვნული სახე, ხოლო ჯიმი, მაინც ცდილობს დანაკარგის დაბრუნებას, მაშინ, როდესაც სიდი, როგორც პიროვნება, აღარ არსებობს.

1 კალათბიშვილი, ნეკრორეალიზმი, 2009.

2 გორგილაძე, ქუჩის, 2013.

ქართულ ფილმებში „სუბორდინაცია“ და „ქუჩის დღეები“ პერსონაჟები სხვადასხვაგვარად წარმოაჩენენ ნარკომანობის ტრაგედიას. „სუბორდინაციის“ გმირები ერთ სახედ შექმნილ ფენად გამოიყურებიან, ხოლო „ქუჩის დღეებში“ ნათლადაა ასახული რასა ნიშნავს, იყო „გამოცდილი“ ნარკომანი, როგორც ჩეკია და როგორ შიძლება უნდა შეინარჩუნო ან დაიბრუნო სახე სწორედ მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია.

ევროპულ კინოში, პრაქტიკულად, არც ერთი პერსონაჟი არ დგება მტკიცე მორალური არჩევანის წინაშე. ჩეკისაც ძალიან უჭირს არჩევანის გაკეთება და იმის მიუხედავად, რომ ნარკომანიის თემა დროით ცვლილებებზე რეაგირებს, სტერეოტიპებსა და თხრობას შორის, როგორც ვხედავთ, ჩნდება გმირი, რომელსაც შეუძლია დაამსხვრიოს წარმოდგენა ამგვარ სტანდარტზე და არჩევანით მივიდეს დასასრულამდე.

„ქუჩის დღეებში“ გმირის ტრანსფორმაცია მოხდა, თუმცა არა ისე, როგორც ძველ ქართულ კინოში და არც ისე, როგორც დასავლეთის გმირების რომანტიზებულ ტრაგიკულ ყოფაში. ის რჩება ადამიანად, რომელსაც აქვს ღირსება. შესაძლებელია, სწორედ ეს ტრანსფორმაცია იყოს ის გარდამტეხი თემატური ზღვარი, რომელმაც დაასრულა ამ მწვავე სოციალური მოტივის ერთსა და იმავე ჭრილში ხედვა და საბოლოოდ დაუკავშირა ის არჩევანს, რომელიც სიცოცხლის ფასად შეიძლება დაჯდეს.

ასე გამოიყურება დღეს დამოკიდებული ადამიანების თემატური ინტერპრეტაცია განვლილი წლების მაგალითზე: არჩევანის გაკეთების პიროვნული ნება და წაშლილი პიროვნული ღირებულებები. ეს ორი სახასიათო მოტივი ალბათ კიდევ დიდხანს იარსებებს, როგორც წარმმართველი ეკრანზე ამ პრობლემის განსაზღვრის და მისი სიღმისეულად დანახვის სურვილით ავტორთა მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კალატოზიშვილი გ., ნეკრორეალიზმი, 2009. https://kinomaniaki.blogspot.com/2009/04/blog-post_4540.html 17/06/2026
- Weston W.W., Brown J.B., Stewart, Patient-Centred Interviewing, Part I: Understanding Patients' Experiences, Can Fam Physician, 1989.
- Williams M.V., Davis T., Parker R.M., Weiss B.D., The Role of Health Literacy in Patient Physician Communication, 2002.

ინტერნეტრესურსები:

- <https://www.whatsafterthemovie.com/summary/sid-and-nancy> 17/06/2026

**ხელოვნების მენეჯმენტი და
კულტურული მემკვიდრეობა**

ნაირა გალახვარიძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის,
სახელოვნებო მეცნიერებების,
მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი

ხელოვნების სისტემა გლობალურსა და ლოკალურს შორის

რეზიუმე

წარსულში სახელმწიფოთა კონკურენტუნარიანობის შეფასებისას მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნეოდა მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება. ამჟამად, სწორედ კულტურისა და ხელოვნების განვითარების მაღალი დონე გახდა ის საზომი, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება პრეტენდენტები მოწინავე ქვეყნების წოდებისათვის. ამერიკელი ეკონომისტი პიტერ დრუკერი¹ წინასწარმეტყველებდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში კულტურული ინდუსტრია გახდებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმატების განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორი, სწორედაც რომ გამართლდა. საქართველომ ეკონომიკის გასაოცარი ზრდით შეძლო მიეღწია მნიშვნელოვანი პროგრესისათვის, კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის ამაღლებაში. იმის განხილვა, თუ როგორ ხორციელ-

დება და ვითარდება ჩვენს დროში ლოკალური და გლობალური დიალექტიკის კონტექსტში ხელოვნების სისტემა, რთულია და მეტად საინტერესო. მიზეზი საკმაოდ ნათელია: არსებული ინტერესი რეგიონების შეუცვლელი ნიშანია, რომლებიც ფლობენ უდავო მნიშვნელობას (როგორც თავიანთთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის), ამიტომაც არ შეიძლება სრულად ჩათვალონ პროვინციად, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე მხრივ, ინტერნაციონალურ პროცესებში არ თამაშობენ, არ ასრულებენ იმ განსაზღვრულ როლს, რომელზეც აცხადებენ პრეტენზიას.

21-ე საუკუნეში არტმენეჯმენტი, ასე ვთქვათ, შეეჯახა გარე გარემოს სწრაფ ცვლილებებს. მკაცრი რეალობის პირობებში ისეთი ახალი ტრენდების გამოვლენას, როგორებიცაა ინფორმატიზაცია, გლობალიზაცია, მოსახლეობის დაბერება, დაბადებათა შემცირე-

¹ Друкер, Менеджмент, с. 10.

ბა, მაღალკვალიფიციურ ქალთა შრომის გაფართოვება, ხელოვნების დაუშვებელი შეფუთვა მე-20 საუკუნის ისეთი პარადიგმებით, როგორებიცაა ინდუსტრიალიზაცია და პოპულარიზაცია. გარემოს ცვლილებები, შესაძლოა, კრიზისად წარმოესახოს იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ხელოვნებითა და მართვის ძველებური მეთოდებით, მაგრამ მათ, ვინც მიისწრაფიან სიახლეებისაკენ, ცვლილებები ახალ შესაძლებლობებს უხსნიან.

სქემატურად თუ წარმოვიდგინოთ, შესაძლოა ითქვას, რომ გლობალიზაცია თავის პირველ ათწლეულში წარდგა, როგორც ეკონომიკური და მან თავი წარმოაჩინა, როგორც საბაზრო ეკონომიკის ტოტალური გამარჯვება. ან უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, უპირველესად წარდგა, როგორც გლობალური ბაზარი. უპირველესად და უფრო თვალნათლივ ის გამოჩნდა ფინანსური ნაკადების გათავისუფლებისას, რომლებიც ნეოლიბერალური რეფორმების შედეგად თავისუფლად გადაადგილდებოდნენ მსოფლიოში. ფინანსურ ნაკადებთან ერთად ჩნდებოდა მიგრაციული ნაკადებიც - ადამიანებიც გაჰყვნენ ფულს. შედეგად, გლობალური ფინანსური ბაზრის კვალდაკვალ, წარმოიქმნა გლობალური შრომითი ბაზარი. მესამე ნიშანს - საქონლის თავისუფლად გადაადგილებას - მოჰყვა მეოთხე ნიშანიც - ინფორმაციული და კომუნიკაციური ნაკადების გა-

აქტიურება. იმისათვის, რომ იმართოს ეს მსოფლიო მეურნეობა, აუცილებელია მისი ინფორმაციული მიმოხილვა და ოპერატიული კავშირების დადგენა. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოგონება სწორედაც რომ დროულად მოხდა. რაც გასაკვირი არც არის, რადგანაც ტექნოლოგიური აღმოჩენები ხორციელდება არა იმდენად მაშინ, როცა ადამიანური გონება მზად არის მათ წარმოსაქმენლად, არამედ, როცა საზოგადოება მზად არის მათი მოხმარებისთვის (სარგებლობისთვის).

რეგიონის კულტურის პოლიტიკის ამოცანების გადაჭრისას მეტად პროდუქტიულ მიდგომას წარმოადგენს კულტურის გარემოს მთლიანი აღქმა. სხვადასხვა კულტურულმა პროექტმა აჩვენა, რომ რეგიონული დონე დღეს ყველაზე პერსპექტიულია თანამედროვე კულტურული პოლიტიკის დამუშავების კუთხით. სწორედ რეგიონულ დონეზე ყველაზე მარტივია განხორციელდეს კულტურის ორგანიზაციის მოდერნიზაცია, გადაილახოს საუწყებო მიდგომა, მოწესრიგდეს და დალაგდეს კავშირები კულტურულ ინსტიტუტებსა და არასახელმწიფო კულტურულ ინიციატივებს შორის, განვითარდეს კულტურის პროდუქტიული თანამშრომლობა სხვა სექტორებთან, მათ შორის, ბიზნესთან, შემუშავდეს სახელმწიფო კერძო პარტნიორობის პროგრამები, კულტურის სფეროში ინვესტიციური პროექტები და შეიქმნას პირო-

ბები შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისათვის. ასეთი მიდგომით კულტურა ხდება კაპიტალი, რესურსი, რომელიც განაპირობებს რეგიონის კონკრეტულ

უპირატესობებს, მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას.

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურული მთლიანობა, კონკურენტუნარიანობა, ტრადიციული ხელოვნება, სახელმწიფო პოლიტიკა, გლობალური, ლოკალური, რეგიონის კულტურა.

კულტურა ფუნქციონირებს, როგორც ფასეულობათა ცოცხალი სისტემა, რომელსაც ადამიანი არეგულირებს. იგი მოიხმარს, ინახავს, ანაწილებს როგორც მატერიალურ, ისე სულიერი კულტურის პროდუქტებს და ამ პროცესში აყალიბებს საკუთარ თავს კულტურის სუბიექტად, სოციალურ არსებად.

კულტურის გენეზისი და განვითარება მიმდინარეობს ისე, როგორც ერთიანი პროცესი, წარსულის ფასეულობათა შენახვა-ათვისება, მათი გამდიდრება და გადაცემა, როგორც ამოსავალი მასალა მომავლის კულტურისათვის.

სტრუქტურული მთლიანობა იმაში ვლინდება, რომ კულტურული ფასეულობანი იერარქიულად ლაგდება. ერთ ნაწილს ცენტრალური და ფუნდამენტური ადგილი უჭირავს, მეორე ნაწილს – მეორეხარისხოვანი. ზოგ მათგანს ზოგადი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, ზოგს – ლოკალური და კონკრეტული. კულტურის მთლიანობა, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ეხება – ესაა ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრების, საერთოდ, მატერიალური და სულიერი კულტურის მთლიანობა, მათ შორის ზღვარი პირობითია.

კულტურის სინქრონული ჭრილი, განვითარების რომელიმე ეტაპზე, მთლიანად კაცობრიობის კულტურაში მიმდინარე პროცესებია. თუ დიაქრონული ჭრილი კულტურის „ისტორიოგრაფიაა“, სინქრონული ჭრილი მის „გეოგრაფიას“ წარმოადგენს.¹

წარსულში, სახელმწიფოთა კონკურენტუნარიანობის შეფასებისას, მნიშვნელოვან კრიტერიუმად ითვლებოდა მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება. ამჟამად, სწორედ კულტურისა და

¹ კულტუროლოგია, 2001, გვ. 33-34.

ხელოვნების განვითარების მაღალი დონე გახდა ის საზომი, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება პრეტენდენტები მოწინავე ქვეყნების წოდებისათვის. ამერიკელი ეკონომისტი პიტერ დრუკერი წინასწარმეტყველებდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში კულტურული ინდუსტრია გახდება ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმატების განსაზღვრის გადამწყვეტი ფაქტორი. საქართველომ ეკონომიკის გასაოცარი ზრდით შეძლო მიეღწია მნიშვნელოვანი პროგრესისათვის, კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის ამაღლებაში.

ამასთან, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ბევრია გასაკეთებელი. ამდენად, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს კულტურისა და ხელოვნების განვითარება. მრავალი მეცნიერი ხელოვნებას უწოდებს ციფრული ეპოქის ძირითად ინოვაციურ ფაქტორს, რომელიც ეფუძნება გრძნობათა აღქმას, ხელოვნებასა და ტექნიკას, ადამიანსა და მანქანას შორის.

არტმენეჯმენტი ხელოვნებისა და მენეჯმენტის გადაკვეთაა. ის წარმოიქმნა საშემსრულებო ხელოვნების - მუსიკალური, თეატრალური, საოპერო და საცეკვაო ბაზრის გამოჩენის პერიოდში. ამ ბაზრის ფორმირება ითვალისწინებდა და განაპირობებდა მრავალრიცხოვანი სამაყურებლო კლიენტურის შექმნას. მსგავსი მოთხოვნა ასევე შეიმჩნეოდა სახვითი ხელოვნების ბაზარზეც. ხელოვნების ნებისმიერ სფეროში კლიენტურის, მომხმარებლების შექმნა უცილობლად საჭიროებს მმართველობით საქმიანობას. პოსტულატი იმის შესახებ, რომ მენეჯმენტის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლების, კლიენტურის შექმნა ეკუთვნის, პიტერ დრუკერს. ხელოვნების უწყვეტი წარმოება და მომხმარებლამდე მიტანა, ასევე მმართველობითი საქმიანობის ორგანიზების სტაბილურობის არსებობის უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელია როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის.

ტრადიციულად ხელოვნება ფოკუსირებული იყო ნაწარმოების წარმოებაზე, ესე იგი, შემოქმედებაზე. მენეჯმენტის დანერგვა ხელოვნებაში მიანიშნებდა ხელოვნების ნაწარმოებების მოხმარებასა და მომხმარებლამდე დისტრიბუციის პროცესში, მნიშვნელოვან მოვლენაზე და არა მარტო მათ მოხმარებაზე, ასევე წარსულთან შედარებისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა შექმნილი ხელოვნების ფასეულობები... არტმენეჯმენტის წარმატებული გამოყენება უშუა-

ლოდ აყალიბებს პირველად ფასეულობებს ჯერ კიდევ წარმოდგენის ჩვენების პროცესში, ხელოვნების ნაწარმოებებთან კონტაქტის ან მათი შექმნისას, ხოლო შემდეგ კი – სხვადასხვა არხით ქმნის მეორად ფასეულობებს. იმისათვის, რომ გავლილი იყოს ყველა ეტაპი – ხელოვნების ნაწარმოების ჩანაფიქრიდან, მის კლიენტამდე, მომხმარებელამდე მიტანამდე – აუცილებელია დიდი რაოდენობის თანამშრომელთა ჩართულობა, ეს კი განაპირობებს მრავალი ახალი სამუშაო ადგილის წარმოქმნას. ამით მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაში, მძლავრი მულტიპლიკაციური ეფექტის წყალობით, რომელიც ნაყოფიერ ზემოქმედებას ახდენს ისეთ მომიჯნავე სფეროებზე, როგორებიცაა გამომცემლობა, ტურიზმი, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი.

თუ განვიხილავთ მართო საშემსრულებო ხელოვნებას არტმენჯემენტის გამოყენების ერთ-ერთ ტიპურ სფეროდ, ვნახავთ, თუ რა მრავალ კომპონენტს მოიცავს მისი წარმოების პროცესი. ის საჭიროებს ისეთი განსხვავებული ელემენტების ორგანულ გაერთიანებას, როგორებიცაა სცენარი და პარტიტურა, მსახიობები ან მუსიკოსები, მომსახურე პერსონალი, სცენა და თეატრი, სხვადასხვა რეკვიზიტი და მრავალი სხვა. შემდეგ კი შექმნილი ნაწარმოების დისტრიბუცია, ან მისი საბოლოო მომხმარებელამდე, ან კლიენტამდე მიტანა, ასევე კომპლექსურად ზემოქმედებს და მოიცავს უამრავ ელემენტს. ამასთან, თითოეული მათგანი ზემოქმედებს ყველა დანარჩენზე რეგულირების, კომუნიკაციის, სოლიდარიზაციისა და გაერთიანების პროცესის გავლით. ეს პროცესი არტმენჯემენტის წინაშე მნიშვნელოვან ამოცანას აყენებს: რაც შეიძლება უფრო მასობრივი სამაყურებლო კლიენტურის შექმნა. ხელოვნებაში ნაყოფიერი მართვა არ შემოსაზღვრება ერთეულთა ნაწარმოებთა შექმნით, არამედ საბოლოო ანგარიშით ვრცელდება მთელ პროცესზე – იდეის ჩამოყალიბებიდან არტისტული ორგანიზაციების ზრდის უზრუნველყოფით, კლიენტების მიზიდვის ხარჯზე. მართვას, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს საკმარისი კლიენტურის უზრუნველყოფა, არ შეიძლება ეწოდოს მენჯემენტი, არამედ დაიყვანება ჩვეულებრივ საქმიანობამდე. გამომდინარე აქედან, ხელოვნების აუცილებელი ეფექტიანობის მისაღწევად და მისი საბოლოოებრივი ფუნქციის რეალიზაციისათვის პირველხარისხოვან

მნიშვნელობას იძენს შემოქმედებითი და ნაწარმოების დისტრიბუციის პროცესში, საწარმოო ფაქტორების დაბალანსებული გაერთიანება, ასევე, საკმაოდ მრავალრიცხოვან კლიენტთა აუდიტორიის ფორმირება.

21-ე საუკუნეში არტმენეჯმენტი, ასე ვთქვათ, შეეჯახა გარესამყაროს სწრაფ ცვლილებებს. მკაცრი რეალობის პირობებში ისეთი ახალი ტრენდების გამოვლენას, როგორებიცაა ინფორმატიზაცია, გლობალიზაცია, მოსახლეობის დაბერება, შობადობის შემცირება, მაღალკვალიფიციურ ქალთა შრომის გაფართოება, ხელოვნების დაუშვებელი შეფუთვა მე-20 საუკუნის ისეთი პარადიგმებით, როგორებიცაა ინდუსტრიალიზაცია და პოპულარიზაცია. გარემოს ცვლილებები შესაძლოა კრიზისად წარმოესახოს იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ხელოვნებითა და მართვის ძველებური მეთოდებით, მაგრამ მათ, ვინც მიისწრაფიან სიახლეებისაკენ, ცვლილებები ახალ შესაძლებლობებს უხსნიან.

მოცემულ ნაშრომში არტმენეჯმენტის სხვადასხვა სტრატეგია და საშუალება დაფუძნებულია მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გამოცდილებაზე, რომლის ხასიათი სრულიად განსხვავებულია მე-19 საუკუნის გამოცდილებისაგან. სამართლიანი იქნება მტკიცება, რომ 21-ე საუკუნის გამოცდილება მოითხოვს სრულიად განსხვავებულ სტრატეგიასა და ხერხებს. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე ცვლილებები აღვიქვათ არა როგორც კრიზისი, არამედ როგორც შესაძლებლობები. გავხედეთ არტმენეჯერები, რომლებიც ცხოვრებაში ახორციელებენ ინოვაციებს.

ხელოვნების მოღვაწეები მსოფლიო ცვლილებების ფონზე რომ გადარჩნენ, უნდა შეიძინონ ბიზნესმენეჯერის აზროვნების სისტემა, ხოლო მეწარმეებმა კი თავი ხელოვნების მოღვაწეებად უნდა აღიქვან და თავიანთი სამუშაო უნდა ჩათვალონ ხელოვნებად.

ხელოვნებისა და ბიზნესის შეხვედრა, რომელიც უმაღლეს წერტილზე მდებარეობს - ხელოვნების მართვა და ხელოვნება მართვისათვის ერთ მთლიანობად შეერწყმება, როგორც ერთი მონეტის ორი მხარე. შემდგომში 21-ე საუკუნეში ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტმა თავის წინაშე მიზნად უნდა დაისახოს და განაპირობოს ის, რომ ხელოვნების არსი ბუნებრივი სახით ჩანერგილი იყოს საქმიანობის ყველა სახეში და ცოდნაში, რომელიც აყალიბებს საზოგადოებას.

იმის განხილვა, თუ როგორ ხორციელდება და ვითარდება ჩვენს დროში ლოკალური და გლობალური დიალექტიკის კონტექსტში ხელოვნების სისტრემა, რთულია და მეტად საინტერესო. მიზეზი საკმაოდ ნათელია: არსებული ინტერესი რეგიონების შეუცვლელი ნიშანია, რომლებიც ფლობენ უდავო მნიშვნელობას (როგორც თავიანთთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის), ამიტომაც არ შეუძლიათ სრულად ჩათვალონ პროვინციად, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე მხრივ, ინტერნაციონალურ პროცესებში არ თამაშობენ, არ ასრულებენ იმ როლს, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ.

აქედან წამოიჭრება მრავალი კითხვა: ჩვენი ლოკალური სცენა როგორ შეესაბამება ინტერნაციონალურ მხატვრულ პროცესებს? დასავლური სამყარო რატომ იგნორირებს ქართულ ხელოვნებას? რა არის საჭირო, რომ მსოფლიო ხელოვნების ავტორიტეტულმა ფიგურებმა ჩვენ ყურადღება მოგვაპყრონ? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხების კუთხით, ესე იგი, ქართული სცენის იმ გადაულახავი იზოლირების მიზეზების ასახსნელად, ხშირად წამოყენებულია სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც მოიცავენ კონსპირაციულ პასუხებს, თუ ვინ დგას ჩვენი ხელოვნების აღიარების გზაზე, როგორია მათი ინტერესები და რით უშლიან მათ ხელს ქართველი მხატვრები. პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება სწორი მარკეტინგული ან პიარ სტრატეგიების შემუშავებით, რომლებიც დაიყვანება იქამდე, თუ რა თანხა და რაში უნდა ჩაიდოს, რათა ქართული ხელოვნება გახდეს მსოფლიო მხატვრული სცენის ფაქტი. ყველაფერი ეს არაერთხელ გვსმენია მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივმა და კულტურულმა პროცესებმა გლობალური ხასიათი შეიძინა.

თავად ის ფაქტი, რომ გლობალურისა და ლოკალურის, ცენტრისა და პერიფერიების დიქტომია არსებობს, თანამედროვე მხატვრულ სამყაროში, ფაქტობრივად, თავსებადია და წარმოადგენს მისი პრინციპულად ახალი გეოპოლიტიკური სტატუსის ნიშან-თვისებას. აქედან გამომდინარეობს, რომ დღეს არ არის იდეოლოგიური ალტერნატივები, შეულწეველი ცნებების ნორმები. დღეს ხელოვნება ნამდვილად გლობალურ ფაქტორს წარმოადგენს: ერთი და იგივე მხატვრული ენა, ერთი და იგივე წარმოდგენა ხელოვნებაზე, მისი ჩვენების მეთოდები მსგავსია, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ხელოვნება დღეს ბევრს ნიშნავს. ბოლო პერიოდში თანამედროვე

ხელოვნების გავრცელების ენის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თავბრუდამხვევი მისწრაფებითა და გარდუვალობით. ის იძლეოდა ნაყოფიერ შედეგებს, ადრე ერთობლივი მხატვრული პრაქტიკის უთანაბიარო ტერიტორიებზე. ამგვარად, გლობალიზაციის პროცესის დასაწყისში, გლობალურისა და ლოკალურის პრობლემა გახდა არა როგორც საკითხი თანამონაწილეობის, თანაბიარობის ან თანამედროვე ხელოვნებასთან უთანაბიარობისა, არამედ როგორც შემდეგი პრობლემა: ვინ განსაზღვრავს ამ ხელოვნების სტატუსს, ვის შეაფასებს მას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს საკითხი არამარტო მხატვრული, არამედ პოლიტიკურიცაა.

წარმოდგენა მხატვრულ პროცესზე, როგორც მოვლენაზე, რომელიც გამოდის ლოკალური (რეგიონული ან თუნდაც ნაციონალური) საზღვრებიდან, ხელოვნებაში არ წარმოქმნილა 1990-იანი წლების გლობალიზაციიდან. თუ თავს ავარიდებთ მსოფლიო ხელოვნების ექსკურსს და შემოვიფარგლებით ახალი დროით, ნათელი გახდება, რომ თანამედროვეობამ, ერთი მხრივ, წარმოქმნა იდეა, ერსა და ეროვნულ სახელმწიფოებზე, ხოლო, მეორე მხრივ – ეროვნული სულის უმაღლეს გამოვლინებში დაინახა რაღაც არანაციონალური და უნივერსალური. აქედან წარმოიქმნება, ხორციელდება მე-19 საუკუნის ისეთი სახასიათო ინსტიტუცია, როგორიცაა მსოფლიო გამოფენები, აგრეთვე მათი მხატვრული ანალოგი – ვენეციის ბიენალე, პირველი ტრანსნაციონალური მხატვრული ინსტიტუცია.

ამასთან, მნიშვნელოვანია შევთანხმდეთ, რომ პოსტკომუნისტური დისკუსია არის მტკიცებულება, რომ ინტერნაციონალური სამყაროს ეპოქა დასრულდა, გლობალური სამყაროს ეპოქის შეცვლით. გლობალიზაცია ხომ მაშინ იწყება, როცა ჩაკეტილი ინტერნაციონალური საზოგადოებრივი და კულტურული მოდელები მსოფლიოში (სამყაროში) ამთავრებენ (ასრულებენ) თავიანთ სვლას. დღეს ყველა გრძნობს თანამონაწილეობას, დაკავშირებულობას მასთან და იწყებენ, თავიანთი უფლებებიდან გამონდინარე, მათ ორიგინალურ გამოყენებას. დღეს მთავარი პრობლემა არ დაიყვანება იქამდე, თუ რამდენად გამართლებულია მოთხოვნა ლოკალური მხატვრული პრაქტიკის თანამედროვეობაზე. დღეს საკითხი დგას ასე: ვინ განსაზღვრავს ამ ხელოვნების სტატუსს, ვინ შეაფასებს მას. გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი თავისებუ-

რება ის არის, რომ კულტურული და მხატვრული საკითხები პოლიტიკური გახდა.

სქემატურად თუ წარმოვიდგენთ, შესაძლოა ითქვას, რომ გლობალიზაცია თავის პირველ ათწლეულში წარდგა, როგორც ეკონომიკური და მან თავის შესახებ განაცხადა, როგორც საბაზრო ეკონომიკის ტოტალურმა გამარჯვებამ. ან უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, უპირველესად წარმოდგა, როგორც გლობალური ბაზარი. უფრო თვალნათლივ მისი გამოჩენა წარმოჩინდა ფინანსური ნაკადების განთავისუფლებით, რომლებიც ნეოლიბერალური რეფორმების შედეგად თავისუფლად გადაადგილდებიან მსოფლიოში. ფინანსურ ნაკადებთან ერთად აქტიურდება მიგრაციული ნაკადებიც - ადამიანებიც გაჰყვნენ ფულს. შედეგად გლობალური ფინანსური ბაზრის კვალდაკვალ წარმოიქმნა გლობალური შრომითი ბაზარი. მესამე ნიშანს - საქონლის თავისუფლად გადაადგილებას - მოჰყვა მეოთხე ნიშანიც - ინფორმაციული და კომუნიკაციური ნაკადების გაინტენსიურება. იმისათვის, რომ იმართოს ეს მსოფლიო მეურნეობა, აუცილებელია მისი ინფორმაციული მიმოხილვა და ოპერატიული კავშირები. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოგონება სწორედაც რომ დროულად მოხდა. რაც გასაკვირიც არ არის, რადგანაც ტექნოლოგიური აღმოჩენები ხორციელდება არა იმდენად მაშინ, როცა ადამიანური გონება მზად არის მათ წარმოსაქმნელად, რამდენადაც მაშინ, როცა საზოგადოება მზად არის მათი მოხმარებისთვის (სარგებლობისთვის).

მიგრაციის გაინტენსიურება - ეს უფრო მნიშვნელოვანია უპირველესად პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან გამოსულთათვის. 1980-იანი წლების ბოლოდან საქართველოს მხატვრულმა გარემომ გადააღახა განვლილი იზოლაცია და დაიწყო მსოფლიოში აქტიურად გადაადგილება. დასავლური ინსტიტუციები აქტიურად რთავდნენ აღმოსავლეთ ევროპის მხატვრებსა და კურატორებს თავინთ სამუშაოში. ამას მოითხოვდა გლობალიზებული მხატვრული და ინფორმაციული ბაზარი. აქედან გამომდინარე, საინტერესო კანონზომიერება ჩამოყალიბდა: რაც უფრო აქტიური ხდებოდა კონტაქტები ადამიანებს შორის, მით უფრო მოთხოვნადი გახდა კომუნიკაციური ტექნოლოგიების სრულყოფა. ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაცია ინტენსიური და დისტანციურია

კომუნიკაცია რაც უფრო ინტენსიური და დაშორებულია - ინტერნეტის დახმარებით, მით უფრო სტიმულირდება და უბიძგებს ადამიანებს პირადი ურთიერთობებისაკენ, ერთობლივი ფიზიკური თანადასწრებისაკენ. ამიტომ 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა ინტერნეტის აფეთქება, ადამიანებს შორის ინტელექტუალური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმის მიმართ. ამგვარად, მხატვრული და ინფორმაციული ბაზრები, აგრეთვე კომმუნიკაციური და ინტელექტუალურ შემეცნებითი პროცესები ააქტიურებდნენ ერთმანეთს და აღმოჩნდნენ დაკავშირებულები ერთ ჯაჭვში.

ამგვარად, დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ რეგიონის კულტურის პოლიტიკის ამოცანების გადაჭრისას მეტად პროდუქტიულ მიდგომას წარმოადგენს კულტურის გარემოს მთლიანი აღქმა. სხვადასხვა კულტურულმა პროექტმა აჩვენა, რომ რეგიონული დონე დღეს ყველაზე პერსპექტიულია თანამედროვე კულტურული პოლიტიკის დამუშავების კუთხით. სწორედ რეგიონულ დონეზე ყველაზე მარტივია განხორციელდეს კულტურის ორგანიზაციის მოდერნიზაცია, გადალახული იყოს საუწყებო მიდგომა, მოწესრიგდეს და დალაგდეს კავშირები კულტურულ ინსტიტუტებსა და არასახელმწიფო კულტურულ ინიციატივებს შორის, განვითარდეს კულტურის პროდუქტიული თანამშრომლობა სხვა სექტორებთან მათ შორის ბიზნესთან, შემუშავდეს სახელმწიფო კერძო პარტნიორობის პროგრამები, კულტურის სფეროში ინვესტიციური პროექტები და შეიქმნას პირობები შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისათვის. ასეთი მიდგომით, კულტურა ხდება კაპიტალი, რესურსი, რომელიც განაპირობებს რეგიონის კონკრეტულ უპირატესობებს, მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი.

ტერიტორიის განვითარების სტრატეგიულ პროგრამებში ჩამოყალიბებული მიზნების სიცხადე, გარკვეულობა, ახდენს პროგრამის ყველა სუბიექტის მოქმედების სტრუქტურირებას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული პროგრამა წარმოადგენს ტერიტორიის მენეჯმენტის არამარტო მთავარ განმსაზღვრელ ინსტრუმენტს, არამედ ის არის გარანტი, კულტურული გარემოს მთლიანობის „მფარველი“, კულტურული პროცესის ლოკალიზაციის მაჩვენებელი.

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეობის მხარდაჭერა მათ შორის, „ევროპალია საქართველო 2023-2024“, რომელიც 80-მდე ღონისძიებას მოიცავს ბელგიასა და ჰოლანდიაში; ვენეციის თანამედროვე ხელოვნების ბიენალესა და ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე საქართველოს ეროვნული პავილიონით მონაწილეობა, ნიკო ფიროსმანის გამოფენების მომზადება და გამოფენა დანიაში, ვატიკანის საყდარში ანსამბლების - „ბასიანისა“ და „საპატრიარქოს სამების ტაძრის გუნდის“ კონცერტები და სხვა. მიმდინარეობს წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების, ხელოვანთა (მათ შორის სტუდენტთა) საზღვარგარეთ განათლებისა და სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსსა თუ პროგრამაში მონაწილეობის გასტროლების ხელშეწყობა. ყოველივე ეს კი გლობალური ბაზრის პირდაპირი შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნაირა გალახვარიძე, ევგენი ბარათაშვილი, ზურაბ ნასარაია „კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი“, თბ., 2025.
- კულტუროლოგია, ნაწილი პირველი, თბ., 2001.
- Мизиано В., Пять лекций о Кураторстве, М., 2014.

ნიკო კვარაცხელია,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ავთენტურობისა და ინტერპრეტაციის პრობლემა კულტურულ ტურიზმში

რეზიუმე

ავთენტურობისა და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის შესწავლა დაიწყო ფილოსოფოსებმა, კერძოდ, გერმანელმა ფილოსოფოსმა და ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, მარტინ ჰაიდეგერმა. მან თავის ფუნდამენტურ კვლევაში „ყოფიერება და დრო“ საფუძველი ჩაუყარა ავთენტურობის კონცეფციას. უილიამ და რობერტ ჩემბერსების - „ჩემბერსის მეოცე საუკუნის ლექსიკონი“ გადამუშავებული გამოცემის თანახმად, „ავთენტურობა არის თვისება: ჭეშმარიტების, ან ფაქტებთან შესაბამისობის მდგომარეობა, ნამდვილობა“. ჰაიდეგერმა ავთენტურობის დოქტრინა დააფუძნა ადამიანის პიროვნების განვითარების აუცილებლობაზე, რისთვისაც იგი Dasein-ით აღჭურვა იმ დახვეწილი ეგზისტენციალური ფაქტორების დასაფასებლად, რომლებმაც შეიძლება ერთდროულად ის შექმნას კიდევ, ან მისი დაზიანება გამოიწვიოს.

ავთენტურობა ტურიზმში უნდა განვიხილოთ როგორც უცნობი ქვეყნის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღების აუცილებ-

ლობა. სტატიაში ავთენტურობის საკითხი განხილულია ბაგრატის საკათედრო ტაძრის (XI საუკუნე) შემთხვევის მაგალითზე. რაც შეეხება ინტერპრეტაციას, გიდი არ ხატავს რეალობის შესაძლო მომხმარებლისთვის რეალობის ყველაზე ზუსტი, არსებული სურათის მიწოდებას. ბევრი ტურისტული გიდი ხაზს უსვამს ქვეყნის სილამაზეს და, ამავდროულად, უგულვებელყოფს უარყოფით მხარეებს. ლიტერატურული ექსკურსიების ჩატარებისას - პერსონაჟის ციტირებას, ასევე შეუძლია მომხმარებელს ასწავლოს კულტურა და ადგილობრივი ისტორია. ტურისტული გიდის ინტერპრეტაცია არ არის სწავლება ან „ინსტრუქცია“ აკადემიური გაგებით; აქ მთავარია, გიდის თხრობა სასიამოვნო იყოს ვიზიტორებისთვის; ტექსტი თავისი შინაარსით უნდა იყოს შესაბამისი ტურისტებისთვის; საექსკურსიო ტექსტი გასაგებად უნდა იყოს მიწოდებული ისე, რომ ვიზიტორებმა ადვილად შეძლონ მისი აღქმა და ბოლოს, ინტერპრეტაციას უნდა ჰქონდეს თემა, რომელიც იქნება მეინსტრიმი.

საკვანძო სიტყვები: ავთენტურობა კულტურულ ტურიზმში, გიდის ინტერპრეტაცია კულტურულ ტურიზმში, კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობა, ტურისტული გიდის ინტერპრეტაციის ჩარჩო.

ნაშრომი მიზნად ისახავს ორი საკვლევი თემის შერჩევას: „ავთენტურობა ტურიზმში“ და ტურისტული გიდის მიერ „ინტერპრეტაციისთვის“ საჩვენებლად შერჩეული ობიექტის ჩარჩოს დადგენა. ტურიზმის კონტექსტში სიტყვა „ავთენტური“ ეტიმოლოგიურად ბერძნული სიტყვიდან „Authentikos“ მომდინარეობს, რაც ნიშნავს „ორიგინალს“ ან „ნამდვილს“. კოენის¹ თანახმად, ავთენტურობა ხაზს უსვამს წინამოდერნული ცხოვრებისა და კულტურის ობიექტების ხარისხს, რომლებსაც არ აქვთ დასავლური ცივილიზაციის გავლენა კურატორებისა და ეთნოგრაფებისთვის, ასევე დამზადებულია ბუნებრივი მასალისგან და თანაც - ხელით. ტურისტული გიდის „ინტერპრეტაცია“ გულისხმობს პროცესს, რომელიც ეხმარება ვიზიტორებს გაიგონ და დააფასონ ადგილის, ობიექტის ან კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. ის სცილდება ფაქტების, ციფრების უბრალოდ მიწოდებასა და მიზნად ისახავს ვიზიტორსა და დანიშნულების ადგილს შორის მნიშვნელოვანი კავშირების, ემოციური ჩართულობის შექმნას. კულტურული ტურიზმის გამოცდილება მიზნად ისახავს ტურისტებისა და ღირსშესანიშნაობების ინტელექტუალური, ემოციური და სულიერი კავშირის წარმოშობას. ადამიანებისა და მემკვიდრეობის ურთიერთდაშორებულების განსაზღვრა - ინტერპრეტაციაა. თავდაპირველად ინტერპრეტაცია განსაზღვრა ფრიმან ტილდენმა (1957), როგორც საგანმანათლებლო აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს ტურისტებისთვის იმ ადგილების მნიშვნელობებისა და ურთიერთობების გამოვლენას, რომელთაც ისინი სტუმრობენ, ასევე, ინფორმაციას იმ ნივთების შესახებ, რასაც ისინი ხედავენ იქ.²

მეთოდოლოგია: უპირატესობა ენიჭება მეორადი დოკუმენტის/დისკურსის ანალიზის მეთოდს (სამაგიდო კვლევა), რომელიც შესასწავლი ფენომენის უფრო თვალსაჩინო წარმოდგენის საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანი იყო თანამონაწილეობითი დაკვირვების კვლევის მეთოდის გამოყენება თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან. ეს გულისხმობს მკვლევრის აქტიურ მონაწილეობას

1 Cohen, Authenticity, 1988, pg. 375.

2 Tilden, Interpreting, 1957, pg. 29.

ჯგუფში ან დასაკვირვებელ სიტუაციაში. მტკიცებულება: ავტორი იყო აქტიური გიდი 1974–2004 წლებში; 1982 წლის რესპუბლიკურ კონკურსში – „საუკეთესო გიდი“ გამარჯვებული. სახელმძღვანელოების ავტორი: „გიდის ხელოვნება“, „საექსკურსიო საქმე“. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გიდი თანაბრად უნდა ფლობდეს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მაშინ ძნელი არ იქნება დავასკვნათ, რამდენად მნიშვნელოვანია კვლევითათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება.

ავთენტურობის პრობლემა ბაგრატის ტაძრის (XI საუკუნე) მაგალითზე:

გიდს საექსკურსიო ტექსტის მოსამზადებლად სჭირდება ვრცელი თეორიული მასალა და პრაქტიკის მკვლევართა და ექსპერტთა მოსაზრებების ანალიზი. ბაგრატის ტაძრის მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანისა და ამოღების ისტორია ასეთია: საქართველო 1992 წელს შეუერთდა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას, რითაც მიიღო პირველი ნომინაციების წარდგენის უფლება. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ იქნა სამი ძეგლი:

- ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი (1994);
- მცხეთის ისტორიული ძეგლები (1994);
- ზემო სვანეთი, კერძოდ, ჩაჟაში, უშგულის თემიდან (1996).

მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლის შეტანა მემკვიდრეობის ნუსხაში ხანგრძლივი პროცესია, რაც მრავალი საფეხურის გავლას გულისხმობს: პირველი ნაბიჯია – კონვენციის ხელმოწერა და ქვეყნის სტატუსის მოპოვება. შემდეგ საფეხურზე წევრი სახელმწიფო ამზადებს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული იმ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების სიას, რომელთაც მიიჩნევს „*გამორჩეული უნივერსალური ღირებულების*“ ძეგლებად. შერჩევის შემდეგ ქვეყანამ უნდა ამტკიცოს, რომ შეთავაზებულ ძეგლზე მენეჯმენტის გეგმა სწორად ხორციელდება და მისი ავთენტურობა შენარჩუნებულია სათანადო მოთხოვნების შესაბამისად. ქართველმა მეცნიერებმა უდიდესი შრომა გასწიეს მცხეთის ისტორიული ძეგლების (1994) იუნესკოს ნუსხაში შესატანად. შემდეგ დადგა ბაგრატის ტაძრის აღდგენის საკითხი, როგორც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილი წერს: 1989–1990 წლებში დაისვა „ბაგრატის ტაძრის“ სრულად აღდგენის საკითხი. მისი აზრით, რესტავრაციის იდეის თაობაზე თავიდანვე გამოიკვე-

თა სამი თვალსაზრისი:

- რესტავრაცია შესაძლებელი და აუცილებელია (სხვათაშორის ამ აზრს ადგა ქალბატონი რუსუდან მეფისაშვილი, რაც მისი მეცნიერული გამოცდილების გამოც გასათვალისწინებელია და იმიტომაც, რომ ის არ შეეწინააღმდეგებოდა ვახტანგ ცინცაძეს, შესაბამისად, ეს მისი მოსაზრებაც უნდა ყოფილიყო);
- რესტავრაცია დაუშვებელია - რადგან ამით შეილახება ავთენტურობა, ჩვენ შევამჩნევთ უნიადგო ფანტაზიის საუფლოში და ბევრად უკეთესია შევინარჩუნოთ ნანგრევები, თავისი უტყუარობითა და რომანტიკული ხიბლითაც;
- რესტავრაცია საჭიროა, რადგან: ტაძარი, უპირველეს ყოვლისა, ლოცვისა და ჟამისწირვის ადგილია; „ბაგრატის ტაძარი“, თავისი ისტორიული მნიშვნელობით, გაერთიანებული საქართველოს სიმბოლოა და მისი ნანგრევად ყოფნა ნეგატიურ გავლენას ახდენს ეროვნული თვითშეგნებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების თვალთახედვით.¹

2009 წელს დაიწყო ინტენსიური სამუშაოები ბაგრატის ტაძრის აღსადგენად. ხელოვნებათმცოდნეების ნაწილს გაუჩნდა არცთუ უსაფუძვლო შიში რესტავრაციის მართებულობის გამო. პროფესორ თამაზ სანიკიძე წერს: ძეგლს, მით უფრო ისეთს, როგორც ბაგრატის ტაძარია, თავისი ისტორია, ზედვე უნდა „ეწეოს“. ეს რომ ასე არ იყოს, ბერძენს არაფერი შეუშლიდა ხელს აღედგინა, ვთქვათ, პართენონი, რომაელს - რომის ფორუმის თუნდაც რომელიმე ნაგებობა, ეგვიპტელს - კარნაკისა და ლუქსორის ტაძრები, სხვას - უამრავი უძვირფასესი ისტორიული ნაშთი. არ ხდება ასე, რადგანაც იცინან, რომ ისტორიულ რელიქვიებთან შეთამამებას იშვიათად მოაქვს სასიკეთო შედეგი. თანამედროვე ბაგრატის ტაძარი ნამდვილად ვერ ჩაითვლება ამგვარ იშვიათობად.²

ბაგრატი დადგა საფრთხის წინაშე. როდესაც ძეგლი საფრთხეშია - ის გადააქვთ საფრთხეში არსებული მემკვიდრეობის ნუსხაში. ბაგრატის საკათედრო ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდა 2012 წელს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ 2012 წლის 22 ივნისს პროექტი საზოგადოებას არაკომპეტენტური მოსაზრებებისა და დეზინფორმაციის გაბათი-

1 თუმანიშვილი, ბაგრატის, 2012.

2 სანიკიძე, ღვაწლი, 2012, გვ. 12.

ლების მიზნით შემდეგი სიტყვებით გააცნო: „ბუნებრივია, ასეთ პროექტებს ყოველთვის თან სდევს ათასნაირი მითქმა-მოთქმა, ათასნაირი ჭორი. ხშირ შემთხვევაში, დესტრუქციული ქმედებებიც, იმიტომ რომ არსებობს ძალები, რომლებსაც ძალიან უნდათ, რომ ნებისმიერი მიზეზით საქართველოში განხეთქილება ჩამოაგდონ, მოახდინონ ნებისმიერი თემის პოლიტიზება და ნებისმიერი საგანი იქცეს დავის და შუღლის წინაპირობად“.¹

ასე შემოვიდა ბაგრატის ტაძრის განხილვაში პოლიტიკური დამდგენელი, რომელიც დღემდე რჩება გადაუჭრელ დილემად. სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესები, რომლებიც გამოწვეულია, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი დაპირისპირებული ძალების, ასევე უცხოელი დამფინანსებლების აშკარა ჩარევით, ღიად იმართება საზოგადოების დასაპირისპირებლად და მიმდინარეობს განსხვავებული აზრის მიუღებლობის ფონზე. იგივე პროცესები ხდება მეცნიერებაში, კულტურაში, სპორტში, ტურიზმსა და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ძნელია დავასახელოთ ფაქტი, მოვლენა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა, რომელსაც საზოგადოება ერთნაირად აღიქვამდეს. კულტურული მემკვიდრეობის დიდებული ძეგლის – ბაგრატის საკათედრო ტაძრის – იუნესკოს ნუსხიდან ამოღების საკითხიც, სამწუხაროდ, ასეთ მოვლენად იქცა.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მიიჩნია, რომ ბაგრატის ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა და ის ვერ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გამოც ის 1994 წელს შეტანილ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. 2017 წლის 12 ივლისს იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე კრაკოვში მიიღო გადაწყვეტილება ძეგლის იუნესკოს ნუსხიდან ამოღებისა და გელათის დატოვების შესახებ.²

ასეთი მკაცრი აღმოჩნდა ავთენტურობის დამდგენ პროფესიონალთა განაჩენი. ამ საკითხზე მოწყობილ ცხარე დისკუსიებში პროფესიონალთა მეტი ნაწილი თანხმდებოდა, რომ ტაძრის აღდგენამ ავთენტურობის დაკარგვა გამოიწვია. „გუმბათის ზომა იციან ზუსტად? იცით, რამხელა მნიშვნელობა აქვს სანტიმეტრს? არავინ

1 რეზივაშვილი, ბაგრატის, 2012.

2 მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესია. კრაკოვი, პოლონეთი. 2017 წლის 2-12 ივლისი.

იცის, რამდენია ავთენტური! ცინცაძეს ჰქონდა დამთავრების გეგმა, მაგრამ უთხრეს, არა, გაჩერდიო. ამ ბატონს იტალიიდან რომ ჩამოვიდა, (იგულისხმება იტალიელი ექსპერტი – ანდრეა ბრუნო), მინდა ვკითხო, როდესაც ძეგლიდან რჩება ერთი მეთაედი, დანარჩენი კი ყველაფერი ახალი იქნება, ეს ბაგრატია?“ – უთხრა ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიამ „რადიო თავისუფლებას“ ინტერვიუში.¹

დასკვნის სახით, ტურისტული გიდებისა და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც უცხოელებს აცნობენ ქართულ კულტურას, მნიშვნელოვანია ობიექტური ინფორმაცია, რომელიც გაახმოვანა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორმა **კიშორე რაომ** რადიო „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: „რადგანაც ბაგრატის ტაძარს შეუსაბამო რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, იუნესკოს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მისი გამორჩეული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება დაკარგულია, რომლის აღდგენაც შეუძლებელია. ამიტომაც, მათი რეკომენდაციაა, რომ გელათის მონასტერს საშუალება მიეცეს, დამოუკიდებლად გამოხატოს გამორჩეული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. ამისთვის, რენომინაცია ანუ საქართველოს მთავრობის მიერ ახალი სათაურის, ახალი ნომინაციის შემოთავაზებაა საჭირო, რომელიც გელათის მონასტერს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, ბაგრატის ტაძარი უკვე მისი ნაწილი აღარ იქნება“.²

ინტერპრეტაციის შესაძლებლობები არქიტექტურულ ექსკურსიებში. ინტერპრეტაციის შემთხვევაში გიდს ესაჭიროება ინტერპრეტაციის თეორიული ჩარჩოების ცოდნა და ამ შემთხვევაში უპირატესია – საინტერესო მასალების შეგროვება საჩვენებელი ობიექტის შესახებ. გიდის ტექსტი უნდა იყოს არსებული მასალების კომპილაცია. გიდის თხრობა ვერ ჩაითვლება პლაგიატად და არც გამოყენებული წყაროების მითითებაა აუცილებელი. საქართველოს დედაქალაქის ძირითადი მიმზიდველობა – რელიეფი და არქიტექტურაა, რომელიც ოდითგანვე ეფუძნება ბუნებისა და არქიტექტურის შერწყმის ჰარმონიას. ქალაქი სავსეა რელიგიური ღირსშესანიშნაობებით – აქ გვერდიგვერდ თანაარსებობენ სხვადასხვა რელიგიის სალოცავები: ქართული მართლმადიდებლური; სომხურ-გრიგორიანული; რუსული ეკლესიები – ალექსანდრე ნე-

1 რეხვიაშვილი, ბაგრატის, 2012.

2 წულაძე, „ახალი“, 2013.

ველის და მიხეილ ტვერელისა; კათოლიკური ეკლესიები მტკვრის ორივე სანაპიროზე; მუსლიმანური მეჩეთი; ებრაელთა სინაგოგა; გერმანული ეკლესია და ჰოსპისი; ცეცხლთაყვანისმცემლობის ადგილები და სხვა. აქ გიდს აქვს უსაზღვრო შესაძლებლობები, ხაზი გაუსვას თბილისელთა ტოლერანტობას, რომ მიწის ასეთ მცირე მონაკვეთზე გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობდნენ განსხვავებული რელიგიების წარმომადგენლები, რომლებსაც აერთიანებდათ ეგრეთ წოდებული „თბილისური ემოები“, დამშვენებული ხის აივნებით. პოეტი იაკობ პოლონსკი თბილისს „მრავალაივნიან“ ქალაქს უწოდებდა.

თბილისმა შემოინახა უაღრესად საინტერესო ქარვასლები, რომლებიც წარსულში ერთდროულად 3-4 ფუნქციას ასრულებდნენ: სტუმართა მიღება საცხოვრებელ სასტუმრო ოთახებში; სავაჭრო საქონლის დასაწყობება - სარდაფებში; სავაჭრო ცენტრის ორგანიზება, ძირითადად, პირველ სართულზე და ზოგიერთ ქარვასლაში აქლემების შენახვა. თუმცა, ქარვასლისთვის დამახასიათებელი მთლიანი სურათის ჩვენება დღეს ტურისტისთვის თითქმის შეუძლებელია.

ის, რაც თვალსაჩინოა და ქალაქის გიდები სიყვარულით აჩვენებენ - არის თბილისური განუმეორებელი ხის აივნებიანი საცხოვრებელი სახლები. შესანიშნავია XIX საუკუნის სადარბაზოები, ასევე შემონახული და კარგად გააზრებული საექსკურსიო ტექსტით. შედარებით ძნელია თბილისური საცხოვრებელი სახლის ორი აუცილებელი ატრიბუტიდან - აივანი და თბილისური სარდაფების ჩვენება. მაშინ, როცა ევროპის დედაქალაქებში მიღებულია მათი დეტალურად დათვალიერება. სარდაფებს ევროპის ქალაქებში მართლაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მოგვიანებით, ჩვენთანაც, სარდაფები ხშირად გამოიყენებოდა ბოჰემური ცხოვრებისათვის. XIX-XX საუკუნის მიჯნაზე თბილისი გამოირჩეოდა „არტისტული კაფეებით“. რამდენ რამეს კარგავენ ქართველი და უცხოელი ტურისტები ამ შესანიშნავი ხელოვნების და ისტორიების არცოდნით. გიდის ინტერპრეტაციის შესანიშნავი მაგალითი იქნებოდა „ოფიცერთა სახლის“ სახელით ცნობილი შენობა შოთა რუსთაველის N14-ში, რომელიც 1916 წელს აშენდა. დიდი ზომის სამსართულიანი ნაგებობა ცნობილი არქიტექტორის, დავით ჩისლიევის პროექტით ააგეს. თავდაპირველად შენობაში თბილისის საარტისტო წრე - „ტფილისის კრუჟოკი“ იყო განთავ-

სებული, სარდაფში კი - არტისტული კაფე „არგონავტების ნავი“. კაფე XX საუკუნის ცნობილმა მხატვრებმა - კირილე ზდანევიჩმა, ლადო გუდიაშვილმა და ალექსანდრე ბაჰუბეუქ-მელიქოვმა მოხატეს. შენობის კოჭების საყრდენი ქალის ქანდაკებები, ეგრეთ წოდებული კარიადიტები, გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის შესრულებულია. 1918 წლიდან ნაგებობის სარდაფში გაიხსნა იმ პერიოდის თბილისში საკმაოდ პოპულარული, ბოჰემური ტიპის სტუდია „არგონავტების ნავი“. სტუდია აკმეისტების (პოეტთა თბილისური გილდია) შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა. აქ მოდიოდნენ პოეტები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები, მხატვრები, პოეტები. ქვემოთ თქვენ ნახავთ ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება საექსკურსიო ტექსტის აგება პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეების - თეა ტაბატაძისა და ნანა ყიფიანის შრომების მიხედვით. საკუთარ კვლევაში თეა ტაბატაძე წერს: **„თეატრი-სტუდია „არგონავტების ნავი“ და კირილე ზდანევიჩის „არგონავტიკა“: 1917-21 წლების ტფილისის სახელოვნებო სივრცეს კირილე ზდანევიჩის შესახებ ამ წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა ნანა ყიფიანმა არტისტული კაფეების ეპოქა უწოდა. მართლაც, 1917 წლიდან გოლოვინის პროსპექტის ერთ მცირე მონაკვეთზე, ერთმანეთის მიყოლებით იხსნება მოდერნისტული არტისტული კაფეები: „ფანტასტიკური დუქანი“ (1917 წლის 12 ნოემბერი), „ფარშევანგის კუდი“ (1918 წლის გაზაფხული), „არგონავტების ნავი“ (1918), „ქიმერიონი“ (1919 წლის დეკემბერი). კაფეები ტფილისის ავანგარდის განსაკუთრებული მიზიდულობის ცენტრი იყო - ავანგარდული ხელოვნების ექსპერიმენტული სივრცე. ტფილისელი და ტფილისში იმხანად მრავლად ჩამოსული მოდერნისტები ყველაზე ხშირად აქ იყრიდნენ თავს. სწორედ აქ, კირილე და ილია ზდანევიჩების, ლადო გუდიაშვილის, იური დეგენის, ალექსანდრე პეტრაკოვსკის, დავით კაკაბაძის, სერგეი სუდეიკინის მიერ მოხატული კედლების ფონზე, გაუთავებლად, იმართებოდა „ფუტურვსეუჩბისჩეს“ ხმაურიანი თავყრილობები, პოეტებისა და მსახიობების ბენეფისები, ლექციები, გამოფენები, კონცერტები, ექსპერიმენტული წარმოდგენები და სადაც, როგორც ალექსეი კრუჩონიხი წერს, „არათუ სხვადასხვა მიმდინარეობის პოეტები გამოდიოდნენ, არამედ გამოდიოდნენ ყველა ენაზე, ზაუმისა და ესპერანტოს ჩათვლით“.¹**

¹ ტაბატაძე, კირილე, 2018.

1919 წელს, როდესაც ყველა ეს კაფე ერთდროულად ფუნქციონირებდა, რუსთაველის გამზირი, ოპერიდან დღევანდელ რუსთაველის თეატრამდე, ალბათ, ხმაურიან ხომალდს ჰგავდა. ერთ მათგანს დაარქვეს კიდეც „არგონავტების ნავი“. მის შესახებ 1919 წელს ბორის კორნეევი წერდა: „ტფილისის სამხატვრო ცხოვრება გასულ წელს სხვა მიღწევებთან ერთად ბოჰემური ტიპის სტუდიის – „არგონავტების ნავის“ გახსნივით აღინიშნა. მისი კოლორიტი პეტერბურგის ამ ტიპის დაწესებულებებს – „მაწანწალა ძაღლსა“ და „კომედიანტთა თავშესაფარს“ გვაგონებს, სადაც ყოველივე, კედლის მხატვრობით დაწყებული, განაწესითა და მისი შინაარსით დამთავრებული, საკუთარ მაყურებელზე – პოეტზე, მხატვარსა და მსახიობზე იყო გათვლილი“.¹

არტისტული კაფე, თეატრი-სტუდია „არგონავტების ნავი“ 1918 წლის შემოდგომაზე, ყოფილი „კრუჟოკის“ (Кружок), დღეს რომ „ოფიცერთა სახლს“ ვუწოდებთ, რუსთაველის გამზირის N16-ში მდებარე შენობის სარდაფში გაიხსნა. მისი კედლები კირილე ზდანევიჩმა, ლადო გუდიაშვილმა და ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვმა მოხატეს. თეატრ-სტუდიის, რომელსაც „ამერიკულ ბარსა“ და ირონიულად „არგონავტების ვარცლსაც“ უწოდებს გრიგოლ რობაქიძე, ერთ-ერთი სალიტერატურო ხელმძღვანელი თავად იყო, მასთან ერთად – სერგეი გოროდეცკი, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი. თეატრალურ მხარეს იაკობ ლვოვი უძღვებოდა, მუსიკალურს – სანდრო კორონა, ხოლო სახელოვნებო-ვიზუალურს – კირილე ზდანევიჩი. ახალი ლიტერატურული დაჯგუფება – „პოეტების ცეხი“ აქ წარუდგენია საზოგადოებისთვის სერგეი გოროდეცკის.

მე-20 საუკუნის ოციან წლებში, მაშინ, როცა კავკასიის ქედს გადაღმა ბოლშევიკები გაბატონდნენ, ტფილისი და მისი კაფეები, მათ შორის, სტუდია „არგონავტების ნავი“ ბოლშევიზმს გამოქცეული რუსული ინტელიგენციის თავშესაფარად იქცა. ის არ არის ერთადერთი რუსთაველზე. რუსთაველის თეატრის სარდაფში, რომელსაც მაშინ „არტისტული საზოგადოების“ თეატრი ერქვა, ყოფილ რესტორან „ანონას“ სივრცეში იხატება „ქიმერიონი“. მოხატეს 1919 წლის მაისის გამოფენის „რაინდებმა“ – დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა, გამოფენის სხვა მონაწილეებმა და თბი-

¹ ტაბაბაძე, კირილე, 2018. გვ. 123.

ლისის მხატვრული ცხოვრების აქტიურმა შემოქმედებმა - კირილე ზდანევიჩმა, სიგიზმუნდ ვალიშევსკიმ, მოსე და ირაკლი თოიძეებმა. მათთან ერთად და განსაკუთრებული სტატუსით „ქიმერიონის“ მოხატვის საქმეში ჩართულია სწორედ სერგეი სუდეიკინი, ცნობილი რუსი მხატვარი, „მირ ისკუსტოს“ მეორე თაობის წარმომადგენელი და მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მოვლენის, პარიზის „რუსული სეზონების“ სპექტაკლების მხატვრული გამფორმებელი. 1917 წლის 12 ნოემბერს პაოლო იაშვილის რუსულად დაწერილ ლექს-ექსპრომტში პირველად გაისმა სიტყვები: „ჩვენი ფანტასტიკური ტფილისი“, რომელიც შემდეგ გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრაშიც“ გაიჟღერებს, როგორც „ფანტასტიკური ქალაქი“ და საბოლოოდ, დამკვიდრდება ხელოვნების ისტორიკოსთა თუ კულტუროლოგთა ტექსტებში, როგორც იმ დროის თბილისის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი მხატვრული ეპითეტი. ეს კი სწორედაც გულისხმობს განსხვავებულ მხატვრულ გემოვნებათა ღია და თავისუფალ თანაარსებობას, ერთმანეთთან შემოქმედებით ჭიდილს, თუნდაც ისეთს, როგორიც იყო კაფე-სასადილო „იმედში“ 1918 წელს, სადაც ილია ზდანევიჩის მოხსენებას „ბაუმნი პოეზიისა და საერთოდ პოეზიის შესახებ“ მოჰყვა მწვავე კამათი სიმბოლისტ „ცისფერყანწილებსა“ და ფუტურისტ „ბაუმნიკებს“ შორის. აქვე იყო „ფუტურისტების სინდიკატის“ წევრთა - ლადო გუდიაშვილისა და კირილე ზდანევიჩის ავანგარდული მხატვრობის გამოფენა, რომელმაც ასევე ვნებათა ღელვა გამოიწვია. დღეს ამ და სხვა არტ-კლუბების ცხოვრებისა და მხატვრული გაფორმების შესახებ ინფორმაციის მწირი ფრაგმენტებია შემოგვრჩა, თუმცა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ისინი რუსეთის იმპერიის სივრცის ბენაციონალური, ევროპეიზირებული კულტურის ნაწილი იყო.¹

დასკვნები და რეკომენდაციები:

ტურისტული მემკვიდრეობის გიდის პროფესია მოითხოვს ფრიად სერიოზულ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას. საუკეთესო საშუალებაა არსებული პრაქტიკის გაზიარება და შემოქმედებითად გადმოტანა. ტურისტულ ფირმებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, აქვთ შეზღუდული რესურსები გიდების მოსამზადებლად. შესაბამისად, ეს სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ ტურისტული გიდების მოსამზადებელმა კურსებმა.

¹ ჩიხლაძე, ქიმერიონი, 2010.

ტურისტული გიდების მოსამზადებელი კურსები უნდა მოიცავდეს:

- ავთენტურობის სრულ თეორიულ კურსს და ისეთი შემთხვევების განხილვას, როცა ობიექტი ვერ იმსახურებს ავთენტურობის სტატუსს;
- ინტერპრეტაციის პრაქტიკულ კურსს, ინტერპრეტაციის საუკეთესო მაგალითების განზოგადებას ეროვნულსა და საერთაშორისო დონეზე;

ტურისტული გიდის ტექსტი უნდა მოიცავდეს:

- ავთენტურობის წერილობით მტკიცებულებას კონკრეტული ძეგლის მაგალითზე;
- გიდის ინტერპრეტაციის ნიმუშს (პრაქტიკული ქეისი);
- ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, პროფესიულმა გაერთიანებებმა და ასოციაციებმა დააწესონ გიდებისთვის პროფესიული კონკურსი ორივე ნომინაციისათვის. გამარჯვებული გიდების დაჯილდოება დაწესდეს გიდების საერთაშორისო დღეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Cohen E., Authenticity and Commoditization in Tourism, *Annals of Tourism Research*, 1988.
- Tilden F., *Interpreting Our Heritage*, Chapel Hill, NC, USA, 1957.
- თუმანიშვილი დ., ბაგრატის ტაძრის აღდგენის საკითხისათვის, თბ., 2012.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ისტორიული ქალაქების დაცვა, თბ. 2014. გვ 115-116.
- რეხვიაშვილი ჯ., ბაგრატის რესტავრაციის დაგვიანებული პროგრესი, 2012. [/https://www.radiotavisupleba.ge/a/bagratis-tadzris-restavracia/24622540.html](https://www.radiotavisupleba.ge/a/bagratis-tadzris-restavracia/24622540.html) 28/04/2026
- სანიკიძე თ., ღვაწლი წარსულის მაცხოვრებელი, თბ., 2012.
- ტაბატაძე თ., კირილე ზდანევიჩი 1892-1969, 2018. <https://shorturl.at/RYUbO> 28/04/2026.
- ჩიხლაძე ნ., ქიმერიონი, 1919-1920 წლებში - დეკადენტ ხელოვანთა არტ-კავე თუ „ახალი ხელოვნების ტაძარი?“, 2010.
- წულაძე ზ., „ახალი“ ბაგრატი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა აღარ არის, 2013. <https://www.amerikishma.com/a/bagrati-unesco-georgia/1588408.html> 28/04/2026

ნათია კობალეიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თქნოლოგიების მზარდი როლი ხელოვნებისა და განათლების სფეროში

რეზიუმე

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწრაფი ნაბიჯებით გარდაიქმნება ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ძალაა ამ პროცესში, რომელიც ცვლის, როგორც სწავლების, ასევე შემოქმედებითი საქმიანობის მიდგომებს და ახალ საგანმანათლებლო რეალობას ქმნის 21-ე საუკუნეში.

ხელოვნების მენეჯმენტი, როგორც დისციპლინა, აერთიანებს კულტურას, კრეატიულ ინდუსტრი-

ებს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. ხელოვნური ინტელექტი ხელოვნებასა და საგანმანათლებლო პროცესში ქმნის შესაძლებლობებს: თუმცა, არსებობს გამოწვევები და ეთიკური საკითხები. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა კრეატიულობასა და ტექნოლოგიას შორის. განათლება უნდა ემსახურებოდეს, როგორც ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, ასევე ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური პროგრესი, ხელოვნური ინტელექტი, ხელოვნების მენეჯმენტი, საგანმანათლებლო პროცესი.

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწრაფი ნაბიჯებით გარდაიქმნება. ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური ძალაა ამ პროცესში, რომელიც ცვლის, როგორც სწავლების, ასევე შემოქმედებითი საქმიანობის მიდგომებს და ახალ საგანმანათლებლო რეალობას ქმნის 21-ე საუკუნეში.

ხელოვნების მენეჯმენტი, როგორც დისციპლინა აერთიანებს კულტურას, კრეატიულ ინდუსტრიებს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. ამ დისციპლინებსა და საგანმანათლებლო პროცესებში ხელოვნუ-

რი ინტელექტი ცვლის სწავლების მეთოდოლოგიას და მენეჯმენტის მოდელებს. ART მენეჯმენტი მოიცავს კულტურული პროექტების დაგეგმვასა და რესურსების მართვას; კულტურული ორგანიზაციებისა და აუდიტორიის განვითარებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; ხელოვნების პოპულარიზაციას და საზოგადოებასთან კომუნიკაციას. განათლების მიმართულებით ART მენეჯმენტი ხელს უწყობს მულტიდისციპლინარულ, კრეატიულ აზროვნებას, ორგანიზციულ უნარებს და ამზადებს პროფესიონალებს სფეროში დასასაქმებლად. „კრეატიულობა იბადება იქ, სადაც იდეები და ტექნოლოგია ერთმანეთთან ურთიერთქმედებს“.¹

საგანმანათლებლო სივრცეში ახალი ტექნოლოგიების როლი ისეთ შესაძლებლობებს იძლევა, როგორც არის თემატური მასალის თითოეული მოსწავლის ცოდნის დონესთან ადაპტირება, პერსონალიზებული სწავლება, ვინაიდან ინდივიდუალიზმი შემოქმედებით სფეროში უმნიშვნელოვანესია. კონტენტის, სცენარების, პრეზენტაციების, საგამოფენო კონცეფციების გენერირება, ვიზუალური მასალების განვითარება, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა და ანალიზი, რაც ART მენეჯმენტის პროექტების შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „ხელოვნურმა ინტელექტმა არ უნდა შეცვალოს პედაგოგი, არამედ უნდა გააძლიეროს მისი შესაძლებლობები და შექმნას სწავლების ახალი ფორმები, მიდგომები, რომლებიც გააძლიერებს ინდივიდუალური სწავლების პროცესებს და უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე საჭიროებებს“.² სწორედ, ამ შემთხვევაში აღმოჩნდება ზუსტად მორგებული თანამედროვე ტექნოლოგია საგანმანათლებლო პროცესებთან.

ყოველი ეპოქა ქმნის ახალ ესთეტიკურ გამოცდილებას, იბადება ინოვაციური იდეები, რომლებიც ცვლის ხელოვნების აღქმას და აზროვნების ფორმებს. საუკუნეების განმავლობაში ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, გამოქვაბულებიდან დღევანდელ, ციფრულ ხელოვნებამდე, 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების გავლენა განსაკუთრებით მძაფრია და ხელოვნებას ინოვაციური თვითგამოხატვის სხვადასხვა საშუალებას აძლევს, აუდიტორიას კი, რა თქმა უნდა, ახალ გამოწვევებსა და გამოცდილებას სთავაზობს.

1 Bilton, Management, 2017, p. 56.

2 Luckin, Machine, 2016, p. 14.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ხელოვნების ტრადიციული ფორმები შეცვალა. 3D მოდელირებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა სივრცის აღქმისთვის არქიტექტურასა და დიზაინში. მუზეუმებში ვიზიტორები ხშირად ისეთ ვიდეორტებსა და მედიაინსტალაციებს ხვდებიან, სადაც შუქი, ხმა და მოძრაობა სინთეზშია. მხატვრებისათვის, არქიტექტორებისათვის, დიზაინერებისათვის ციფრული გრაფიკა, ფოტომონტაჟი და მოდელირება ბუნებრივ ინსტრუმენტად გადაიქცა.

ვირტუალური რეალობა ახალ გამოცდილებას ქმნის. არსებობს ვირტუალური მუზეუმები, სადაც შეგვიძლია აპლიკაციების საშუალებით ცხადად დავინახოთ ქანდაკება, არქიტექტურული ობიექტი, ან ცნობილი ფერწერული ტილო. ამ შემთხვევაში ვიზიტორი აქტიური მონაწილე ხდება პროცესების და იგი მხოლოდ დამთვალიერებელი როდია.

გარდა ამისა, ხელოვნების საკუთარი ნამუშევრების პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობისთვის სხვადასხვა სოციალურ პლატფორმას იყენებენ და ამ შემთხვევაში სოციალური მედიის როლი მნიშვნელოვანია ხელოვნების ეკონომიკის განვითარებისთვის. ვალტერ ბენიამინმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში გააანალიზა, ტექნოლოგიის გავლენა ხელოვნებაზე, „ტექნიკური რეპროდუქციის ეპოქაში ხელოვნების ნამუშევარი კარგავს თავის უნიკალურობასა და ავთენტურობის აურას“.¹ თუმცა, ამავდროულად, იგი უფრო ხელმისაწვდომი ხდება ფართო აუდიტორიისთვის – სოციალური მედიის დაგეგმვა და ავტომატიზაცია, ციფრული მარკეტინგის და რეკლამების ანალიზი, AI-ის საშუალებებით ციფრული გამოფენებისა და შერჩეული ნამუშევრების თერმატიკასთან დაკავშირებით კურატორობა, ციფრული არქივების შექმნა და ანალიზი.

21-ე საუკუნის ხელოვნება ტრადიციულისა და ციფრული ფორმების სინთეზია. ხელოვნება ადამიანის აზროვნებას, გრძნობებს და კულტურულ ევოლუციას „სარკისებურად“ ალბეჭდავს.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა ხელოვნება ხელმისაწვდომი გახადა, შეცვალა მისი ავთენტურობის განცდა, სწორედ ამიტომაც ისმევა ხშირად სკეპტიკური კითხვები, რჩება თუ არა ადამიანი მზარდი ტექნოლოგიური განვითარების პროცესებში მთავარ შემოქმედად? ვინ არის ავტორი – ადამიანი თუ ალგორითმი? როდის ხდება კოპირება და როდის არის ინოვაცია?

¹ Benjamin, The work, 2008, p. 23.

რა თქმა უნდა, არსებობს გამოწვევები და რისკები, როგორც ბიცაა შემოქმედებითი აზროვნების შესუსტების რისკი, ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების რისკები, საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური საკითხები.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ტექნოლოგია და ხელოვნება აღარ წარმოადგენს ერთმანეთისგან განცალკევებულ სფეროებს. ისინი სინთეზურად ურთიერთქმედებენ, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესის მასშტაბებისა, ხელოვნური ინტელექტი ხელოვნებასა და საგანმანათლებლო პროცესში ქმნის შესაძლებლობებს: თუმცა არსებობს გამოწვევები და ეთიკური საკითხები. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა კრეატიულობასა და ტექნოლოგიას შორის. განათლება უნდა ემსახურებოდეს, როგორც ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, ასევე ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პასუხისმგებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Benjamin W., *The Work of Art in the Age of Mechanical Reproduction*, 2008 (Original work published 1936).
- Bilton C., *Management and Creativity: From Creative Industries to Creative Management*, 2017.
- Luckin R., *Machine Learning and Human Intelligence*, 2016.
- Manovich L., *The Language of New Media*, 2001.
- OECD, *Artificial Intelligence and the Future of Education*, 2021.
- Sherman W. R., Craig, A. B., *Understanding Virtual Reality*, 2018.

გიორგი ფხაკაძე,
მენეჯმენტის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

**კულტურის ფინანსური არქიტექტურა: ჰოლისტური
ჩარჩო, კომპონენტები და მათი როლი ეროვნული
მდგრადობისა და ეკონომიკური ზრდის
უზრუნველყოფაში**

რეზიუმე

მოცემულ სტატიის მიზანია გამოკვლევას დასწავლია საქართველოს კულტურის ფინანსური არქიტექტურა, როგორც ჰოლისტური და გარდამავალი სისტემა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დაფინანსების წყაროებს. ანალიზი მოიცავს 2019-2025 წლების პერიოდს, რომელშიც განიხილება სახელმწიფო ბიუჯეტის დინამიკა, დაფინანსების განაწილება სფეროების მიხედვით (მემკვიდრეობა, კინო, თეატრი, მუზეუმი) და ალტერნატიული მოდელების (საჯარო-კერძო პარტნი-

რობა) მზარდი როლი. ნაშრომში ხაზგასმულია ისეთი გამოწვევები, როგორებიცაა კულტურის დაბალი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში და დაფინანსების არათანაბარი რეგიონული განაწილება. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები სისტემის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, დეცენტრალიზაციის, გამჭვირვალობისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერების გზით, რათა კულტურა ეროვნული განვითარების მდგრად ელემენტად იქცეს.

საკვანძო სიტყვები: კულტურის ფინანსური არქიტექტურა, ჰოლისტური სისტემა, სახელმწიფო დაფინანსება, საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა, ალტერნატიული ფინანსური წყაროები, დეცენტრალიზაცია.

კულტურის ფინანსური არქიტექტურა რთული და მრავალმხრივი კონცეფციაა, რომელიც ეხება კულტურული ინდუსტრიების, რესურსების განაწილებასა და ეკონომიკურ მოდელებს, ორგანიზაციებისა და პროექტების დაფინანსების მექანიზმებს. ის მხოლოდ ფინანსების მოძიებას არ გულისხმობს, არამედ წარმოადგენს ჰოლისტურ სისტემას, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო, კერძო და

საერთაშორისო სტრუქტურებს. ეს სისტემა მიზნად ისახავს კულტურის განვითარებასა და მდგრადობას, რადგან კულტურა ეროვნული თვითმყოფადობის, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინტეგრაციის ცენტრალური ელემენტია.

გლობალური ფინანსური არქიტექტურა აღნიშნავს საერთაშორისო ინსტიტუტების, შეთანხმებების, სტანდარტებისა და პროცესების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ მსოფლიო ფინანსურ სისტემას. მდგრადი განვითარების კონტექსტში, ის კრიტიკულად მოიცავს იმას, თუ როგორ ხდება ფინანსური რესურსების მობილიზება და განაწილება ეკოლოგიური მთლიანობის, სოციალური თანასწორობისა და გრძელვადიანი ეკონომიკური მდგრადობის მხარდასაჭერად. ეს ჩარჩო გადამწყვეტია კაპიტალის ეკოლოგიურად სუფთა და სოციალურად პასუხისმგებლიანი პროექტებისკენ მიმართვისთვის, ტრადიციული ეკონომიკური მაჩვენებლების მიღმა პლანეტარული საზღვრებისა და ინკლუზიური განვითარების გათვალისწინებით.

კულტურის ფინანსური არქიტექტურის ძირითადი კომპონენტები

კულტურის ფინანსური არქიტექტურის საფუძველი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპონენტია. უპირველესად, უმნიშვნელოვანესი ნაწილია სახელმწიფო დაფინანსება. მთავრობები გამოყოფენ საბიუჯეტო რესურსებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის, ასევე მუზეუმების, თეატრების, ფესტივალებისა და სხვა ხელოვნების დარგების მხარდასაჭერად. ეს დაფინანსება ხორციელდება როგორც უშუალო სუბსიდიებისა და გრანტების სახით, ისე გრძელვადიანი კულტურული პოლიტიკისა და სტრატეგიული დაგეგმარების ფარგლებში. ამ მოდელის კლასიკური მაგალითია საფრანგეთი, სადაც კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს კულტურული სექტორის უმეტესი ნაწილის დაფინანსებას, მათ შორის, ლუვრის მუზეუმისა და პარიზის ეროვნული ოპერის სუბსიდირებას.¹

მეორე, სულ უფრო აქტიურდება კერძო სექტორის როლი. კომპანიები ფინანსურად უჭერენ მხარს კულტურულ პროექტებს სპონსორობისა და პარტნიორობის გზით, რასაც ხშირად სარეკ-

1 UNESCO, Financing Culture and the Creative Economy in the Context of the COVID-19 Pandemic, 2020.

ლამო ან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიზანი აქვს. ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფილანტროპებსა და დონორებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სხვადასხვა კულტურულ ინიციატივას. ამ კომპონენტის გაძლიერება ხელს უწყობს სახელმწიფოზე დამოკიდებულების შემცირებას და ინოვაციების სტიმულირებას. ამ მოდელის თვალსაჩინო მაგალითია აშშ, სადაც კულტურული დაწესებულებები, მაგალითად, მეტროპოლიტენის მუზეუმი (Metropolitan Museum of Art) ნიუ-იორკში, ძირითადად, კერძო შემოწირულობებითა და ენდოუმენტებით ფინანსდება.¹

მესამე, კულტურის დაფინანსებაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა. ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა UNESCO, ევროკავშირის კულტურული პროგრამები („Creative Europe“) და მსოფლიო ბანკი, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კულტურული გაცვლის პროგრამებსა და მემკვიდრეობის კონსერვაციის პროექტებში. ეს წყარო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის. მაგალითად, პოლონეთი, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, Creative Europe-ის ფარგლებში იღებს მილიონობით ევროს, რომელიც მიმართულია კულტურული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და კრეატიული ინდუსტრიების განვითარებაზე.²

დაბოლოს, კულტურული სექტორი აქტიურად იყენებს ალტერნატიულ მოდელებს, ტრადიციული დაფინანსების მეთოდების გარდა. მათ შორისაა Crowdfunding (გვუფური დაფინანსება), სადაც ონლაინ პლატფორმების მეშვეობით ხელოვანებს საშუალება ეძლევათ, პირდაპირ მიიღონ მხარდაჭერა აუდიტორიისგან. ასევე, მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა კულტურული ტურიზმი, რომელიც აერთიანებს მოგზაურობასა და კულტურული ღირსშესანიშნაობების მონახულებას. ამასთან, გრძელვადიანი მდგრადობისთვის სულ უფრო პოპულარული ხდება ენდოუმენტების (საბადებელი კაპიტალის) შექმნა, რაც უზრუნველყოფს კულტურული ორგანიზაციების გრძელვადიან სტაბილურობას. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ტეიტის მუზეუმი (Tate Modern) ჰიბრიდული მოდელის წარმატებული ნიმუშია, სადაც სახელმწიფო დაფინანსება,

1 National Endowment for the Arts. (2023). Arts and Economic Prosperity 6: The Economic Power of the Non-profit Arts and Culture Sector

2 Creative Europe. (2024). Creative Europe in Poland


ენდოუმენტები და კომერციული შემოსავლები ჰარმონიულად თანაარსებობს.¹

საქართველოში კულტურის ფინანსური არქიტექტურა რთული და გარდამავალი სისტემაა, რომელიც მოიცავს როგორც საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულ სახელმწიფო მოდელს, ისე თანამედროვე, ჰიბრიდულ მიდგომებს. 2019–2025 წლებში ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს როგორც პოზიტიურ ტენდენციებს, ისე მნიშვნელოვან გამოწვევებს, რაც ამ სფეროს განვითარების დინამიკას ასახავს.

კულტურის დაფინანსება საქართველოში, ძირითადად, ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან და თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან. 2025 წლისთვის კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი 297,649,500 ლარს შეადგენს, რაც მის მზარდ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ბიუჯეტის დინამიკა 2019–2023 წლებში აჩვენებს მკაფიო ტენდენციებს: 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის გამო, დაფინანსება დაეცა (დაახლოებით 110 მლნ. ლარი), მაგრამ 2021 წლიდან დაიწყო სწრაფი აღდგენა და ზრდა (150–160 მლნ. ლარი 2023 წელს).² ეს ზრდა, უმეტესად, მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, როგორებიცაა მუზეუმების რეაბილიტაცია და დიგიტალიზაცია, რაც ქვეყნის კულტურული აქტივების მოდერნიზაციას ემსახურება. ამასთან, გააქტიურდა რეგიონული პროექტებიც, მაგალითად, ქუთაისი – ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქი 2023, რაც ცენტრალიზებული დაფინანსების დეცენტრალიზაციის მცდელობაზე მიუთითებს.

1 The Board of Trustees of the Tate Gallery Annual Report and Accounts 2023–2024, 2004.

2 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სამინისტროს ბიუჯეტის კანონპროექტი, 2025.



[წყარო: www.mcs.gov.ge]

კულტურის დაფინანსების სფეროებად დაყოფა ცხადყოფს, რომ პრიორიტეტები ეტაპობრივად იცვლება. სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი ნაწილი (დაახლოებით 30-40%)¹

კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ხმარდება. ეს მოიცავს UNESCO-ს სიაში შესული ძეგლების რესტავრაციასა და არქეოლოგიურ გათხრებს.

ამასთან, ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი კინონდუსტრიაა. პროგრამის „Cash Rebate“ მეშვეობით, რომელიც უცხოურ გადაღებებზე 20%-იან თანხის დაბრუნებას გულისხმობს, საქართველომ 2020-2025 წლებში 50 მილიონ ლარზე მეტი მოიზიდა. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა სამუშაო ადგილები და საერთაშორისო ინვესტიციები. თეატრებისა და საშემსრულებლო ხელოვნების დაფინანსებაც გაიზარდა პანდემიის შემდეგ, განსაკუთრებით ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერით.

გარდა ამისა, მზარდი ინვესტიციები შეინიშნება კულტურულ-ტურისტულ პროექტებში, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ტურიზმის სექტორის ზრდასთან. 2023-2024 წლებში ტურიზმმა 4.7 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი გამოიმუშავა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კულტურულ ღონისძიებებსა და ობიექტებზე მოდის.

1 საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, ფინანსური მონაცემები კულტურის სექტორში, 2025.

მიუხედავად პროგრესისა, საქართველოს კულტურის ფინანსური არქიტექტურა რამდენიმე სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. კულტურის წილი სახელმწიფო ბიუჯეტში 1%-ზე ნაკლებია, რაც ევროპულ სტანდარტებს ჩამორჩება. დაფინანსება არათანაბრად ნაწილდება - ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი თბილისზე მოდის, რაც რეგიონებს მარგინალიზებულს ტოვებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მუნიციპალიტეტებში, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი რესურსები საკუთარი კულტურული სტრატეგიების განსახორციელებლად.

ამ გამოწვევების ფონზე, მნიშვნელოვანია ახალი შესაძლებლობების გამოყენება. საერთაშორისო დაფინანსება, განსაკუთრებით ევროკავშირის პროგრამების, მაგალითად, „Creative Europe“-ის მეშვეობით, სულ უფრო საყურადღებო ხდება. ასევე, გაძლიერდა საჯარო-კერძო პარტნიორობა და გაიზარდა სპონსორობის პროგრამების აქტივობა, თუმცა, ამ სფეროში გამჭვირვალობა და მონაცემთა ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემად რჩება.

საქართველოში კულტურის ფინანსური არქიტექტურის გაუმჯობესება მოითხოვს ჰოლისტურ მიდგომას, რომელიც მოიცავს: დეცენტრალიზაციას, რეგიონული ფონდების შექმნას; საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებას საგადასახადო შეღავათებით; და გამჭვირვალობის გაზრდას, რაც საზოგადოებას ბიუჯეტის განაწილების დეტალურ მონაცემებზე წვდომას მისცემს. ეს ნაბიჯები უზრუნველყოფს კულტურის მდგრად განვითარებას, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ ეროვნულ თვითმყოფადობას, არამედ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ინტეგრაციას.

კულტურის ფინანსური არქიტექტურა რთული, ურთიერთდაკავშირებული სისტემაა, რომელიც აუცილებელია კულტურის მდგრადი განვითარებისთვის. საქართველოში ამ სფეროში არსებული პროგრესი თვალსაჩინოა, განსაკუთრებით საერთაშორისო ინტეგრაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით. თუმცა, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდისა და რეგიონული უთანასწორობის შესამცირებლად. ამ მიზნით რეკომენდებულია კულტურული დაფინანსების დეცენტრალიზაცია რეგიონებში სპეციალური ფონდების შექმნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერება საგადასახადო შეღავათების გამოყენებით და ბიუჯეტის დეტალური მონიტორინგის დანერგვა საჯარო პლატფორმებზე.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

- Creative Europe project results platform: Poland, European Commission, 2024. <https://erasmus-plus.ec.europa.eu/projects/search/details/2023-3-DE04-KA152-YOU-000183500> 10/06/2026
- National Endowment for the Arts, Arts and economic prosperity 6: The economic power of the nonprofit arts and culture sector (Full National Report), Americans for the Arts, 2023. <https://www.americansforthearts.org/by-program/reports-and-data/research-studies-publications/arts-economic-prosperity-6> 10/06/2026
- Tate. (2024). Tate annual report and accounts 2023/24. UK Department for Culture, Media and Sport. <https://www.gov.uk/government/publications/tate-report-and-accounts-2023-to-2024> 10/06/2026
- UNESCO, Financing culture and the creative economy in the context of the COVID-19 pandemic: A global mapping of government responses, UNESCO Digital Library, 2020. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000373809> 10/06/2026
- საქართველოს კულტურისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი (ასინიგებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2025. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6366063?publication=2> 10/06/2026
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, ფინანსური მონაცემები კულტურის სექტორში, ტურიზმისა და კულტურის სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში, საქსტატი, 2025. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/615/kultura> 10/06/2026

მაია ღვინჯილია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ციფრული მარკეტინგის როლი ბასტონომიულ ტურიზმში

რეზიუმე

გასტროტურიზმი გლობალური ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. მოგზაურები სულ უფრო მეტად ეძებენ ავთენტურ საკვებსა და მათზე დაფუძნებულ გამოცდილებას, რაშიც მათ ონლაინ პლატფორმები ეხმარებათ.

ციფრული მარკეტინგი კულინარიულ მიმართულებებს, რესტორნებსა და სხვა კვების ობიექტებს აძლევს შესაძლებლობას, წარმოაჩინონ თავიანთი პროდუქტები, ჩაერთონ პოტენციურ მომხმარებლებთან კომუნიკაციაში და გააუმჯობესონ საკუთარი გამოცდილება.

თანამედროვე კვების ობიექტები თავიანთ საქმიანობაში აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დღეისათვის მომხმარებლები სულ უფრო მეტ დროს ხარჯავენ სოციალურ ქსელებში, საიდანაც

მათთვის საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციებს იღებენ. ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური მედიის მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ კულინარიული პროდუქტების ეფექტური წარმოჩენა, არამედ მომხმარებლებთან პირდაპირი კომუნიკაციაც. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს ტურისტების დაინტერესებას, ავთენტური გამოცდილების გაზიარებასა და სექტორის მდგრად ზრდას.

ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გლობალური ეკონომიკის ახალ ეპოქას ქმნის. სოციალური მედია აგრძელებს ზრდას და დიდ გავლენას ახდენს მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ბევრ სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტზე.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მარკეტინგი, გასტრონომიული ტურიზმი, სოციალური მედია, გასტრონომიული ბლოგები, Google Lens, Google Maps.

გასტრონომიული ტურიზმი წარმოადგენს ტურიზმის ერთ-ერთ დინამიკურად განვითარებად მიმართულებას, რომელიც მოიცავს ადგილობრივი კულინარიული მემკვიდრეობის, უნიკალური ინგრედიენტების, ტრადიციული კერძებისა და სტუმართმოყვარეობის გამოცდილების შესწავლასა და განცდას. ციფრული მარკეტინგი, თავისი მრავალფეროვანი პლატფორმებითა და ხელსაწყოებით, გარდაქმნის იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც ტურისტები იღებენ ინფორმაციას და ირჩევენ მიმართულებებს.

ციფრული მარკეტინგი მოიცავს ყველა იმ მარკეტინგულ აქტივობას, რომლებიც ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობებისა და ინტერნეტის მეშვეობით. ის აერთიანებს ვებსაიტებს, სოციალურ მედიას, საძიებო სისტემების ოპტიმიზაციას (SEO), ელექტრონულ ფოსტას, ბლოგებს, ვიდეოპლატფორმებს და აპლიკაციებს. ტურიზმის ინდუსტრიაში ეს ხელს უწყობს დანიშნულების პოპულარიზაციას, მიმზიდველობის გაზრდას და მომხმარებელთა ჩართულობის გაღრმავებას. იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს გასტრონომიული ტურიზმის ჩამოყალიბებაში მოგზაურების მობიდვით, გამოცდილების გაზრდით და ეკონომიკის სტიმულირებით.

სოციალური მედია არის ნებისმიერი ციფრული ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს სწრაფად შექმნან და გაუზიარონ საზოგადოებას კონკრეტული შინაარსი. სოციალური მედიის ფართოდ გამოყენებას ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი – სმარტფონების ხელმისაწვდომობამ და მსოფლიოს ყველა წერტილში ინტერნეტის გავრცელებამ. შედეგად, ერთმანეთთან კომუნიკაცია ძალიან მარტივი და კომფორტული გახდა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა ფუნდამენტალურად შეცვალა კომპანიებსა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციის ფორმა ტურისტულ სექტორში. შეიცვალა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მომხმარებლების მხრიდან და გაიზარდა მათი ჩართულობა სოციალურ მედიაში ტურიზმის მიმართულებით.

რაც შეეხება ციფრული მარკეტინგის სპეციფიკურ როლს გასტრონომიულ ტურიზმში, დღეს ადამიანების უმრავლესობა სა-

მოგზაურო აპლიკაციების დახმარებით გეგმავს დასვენებას, იყენებს ვირტუალურ გიდსა და ორგანიზებას უწევს სატრანსპორტო მიმართულებებს. მოგზაურები ფოტოსურათებს ტვირთავენ სოციალურ ქსელში და მათი სოციალური აქტივობის დიდი ნაწილი შეფასებების, ეგრეთ წოდებული „რევიუების“ გაკეთებას ეთმობა. „ჭეშთეგების“ მეშვეობით ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მარტივად ნახოს სხვისი ტურისტული კონტენტი, რაც აადვილებს ინფორმაციის გაცვლის პროცესს.

კონტენტმარკეტინგი ციფრულ მარკეტინგში გადამწყვეტ როლს ასრულებს. იგი გულისხმობს ღირებული, შესაბამისი და თანმიმდევრული შინაარსის შექმნასა და გავრცელებას, რომლის მიზანია სამიზნე აუდიტორიის მოზიდვა და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა. კონტენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით - ბლოგპოსტების, სტატიების, ვიდეოების, პოდკასტების, სოციალური მედიის პუბლიკაციების და სხვა სახით. მისი მთავარი ამოცანაა მომხმარებლისთვის ღირებულების შექმნა და მიწოდება.

მაგალითად, HubSpot-ის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, მარკეტოლოგების 70%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ კონტენტმარკეტინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიენტებთან ნდობის ჩამოყალიბებასა და ბიზნესის ცნობადობის ზრდაში. შედეგად, კომპანიებს შეუძლიათ აუდიტორიასთან გრძელვადიანი ნდობის დამყარება და, საბოლოოდ, მომხმარებელთა ლოიალობის გაღრმავება.¹

ტურისტული კომპანიების საქმიანობაში სოციალური ქსელების გონივრული გამოყენება მოითხოვს შესაბამის მარკეტინგულ მიდგომებს, რომლებიც განაპირობებს მომხმარებელთა მაქსიმალურ რაოდენობას.

გასტრონომიული ბლოგერები, ვლოგერები და ინფლუენსერები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზებაში. მათი მიმოხილვები, შეფასებები და ვიზუალური შთაბეჭდილებები გავლენას ახდენს მომხმარებელთა არჩევანსა და უშუალოდ - ტურისტული ნაკადის დინებაზე.

ცნობილი გურმან-ბლოგერები ხშირად სტუმრობენ ადგილობრივ რესტორნებს, ამზადებენ ვიდეომასალას, ქმნიან ვიზუალურად მიმზიდველ კონტენტს/შინაარსს და ავრცელებენ მას საკუთარ სო-

¹ HubSpot, The State of Marketing Report 2023.

ციალურ არხებზე. ასეთი ფორმით წარმოდგენილი გამოცდილება ქმნის არაოფიციალურ, თუმცა, ძალზე გავლენიან რეკომენდაციას, რომელსაც მომხმარებელი ბევრად უფრო სანდოდ და დამაჯერებლად აღიქვამს, ვიდრე - ტრადიციული რეკლამას.

Google-ის პლატფორმები, როგორებიცაა Search, Maps, Reviews, YouTube და Lens, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გასტრონომიული ტურიზმის პოპულარიზაციაში. Google Search საშუალებას აძლევს ტურისტს, მოიძიოს კონკრეტული კერძები, რესტორნები და სტატიები სხვადასხვა რეგიონის კვების კულტურაზე. Google Maps აჩვენებს ლოკაციებს, მომხმარებელთა შეფასებებს, ფოტოსურათებსა და რეიტინგებს. Google Reviews - რეალურ გამოცდილებებზე დაფუძნებული შეფასებების ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყაროა. Google Lens აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას - თარგმნოს მენიუ, ამოიცნოს კერძი და მიიღოს ინფორმაცია ინგრედიენტებზე. YouTube წარმოადგენს გასტრონომიული ვიდეოკონტენტის ერთ-ერთ წამყვან არხს, ხოლო Google Ads უზრუნველყოფს მიზნობრივ რეკლამირებას.

ასევე აღსანიშნავია პლატფორმები Booking.com, Airbnb.com, Flickr, Pixels და TripAdvisor, რომლებიც აქტიურად გამოიყენება როგორც დაჯავშნისათვის, ისე გამოცდილების გასაზიარებლად.

შეგვიძლია დავასახელოთ ციფრული მარკეტინგის წარმატებული პრაქტიკები საქართველოში:

„ღვინის მარანი შუმი“ წარმატებით იყენებს Instagram-სა და YouTube-ს ვიზუალური მარკეტინგისთვის. მათი TikTok ვიდეოები, რომლებიც ასახავს ქვევრში ღვინის დაყენების პროცესს (რქაწითელი, საფერავი და სხვა), მილიონობით ნახვას აგროვებს. მის წარმატებას განაპირობებს მაღალი ხარისხის ვიდეომასალა, ავთენტურობის ხაზგასმა და მომხმარებელთა აქტიური ჩართულობა.

2022 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ მოიწვია ცნობილი ბრიტანელი გასტრობლოგერები, რომლებმაც YouTube-ზე გამოაქვეყნეს ვიდეოები ქართულ სუფრაზე, ქვევრის ღვინოსა და ხინკალზე. შედეგად მივიღეთ ათობით ათასი ნახვა, საქართველოს კულინარიულ თემებზე ძებნის ზრდა Google-ზე.

Sulico Wine Bar, ერთ-ერთი პოპულარული ლოკაცია თბილისში, აქტიურად სთხოვს კმაყოფილ მომხმარებლებს Google Maps-

ზე შეფასებების დატოვებას. შედეგად სარგებლობს მაღალი რეიტინგით, რაც მომხმარებელთა ნდობის ზრდას განაპირობებს და იზიდავს ახალ ვიზიტორებს ლოკაციის მეშვეობით.

მიუხედავად ციფრული მარკეტინგის მნიშვნელოვანი უპირატესობებისა, გასტრონომიულ ტურიზმში მისი ეფექტიანი გამოყენება საჭიროებს მკაფიოდ განსაზღვრულ სტრატეგიულ მიდგომას. დარგის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევებია:

- ვიზუალურ მედიაში მაღალი კონკურენცია;
 - მომხმარებელთა შეფასებების მიმართ ნდობის დაბალი დონე;
 - მცირე ბიზნესებში ციფრული კომპეტენციების ნაკლებობა.
- აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:
- ადგილობრივმა კვების ობიექტებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ Instagram-ისა და TikTok-ის პლატფორმები მარკეტინგული კომუნიკაციისთვის;
 - გაუმჯობესდეს მომხმარებელთან კომუნიკაცია და მომსახურების ხარისხი, რაც ხელს შეუწყობს პოზიტიური შეფასებების ზრდას;
 - სახელმწიფომ და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ხელი შეუწყონ ციფრული მარკეტინგის მიმართულებით ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას ადგილობრივი ბიზნესებისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტისა და სხვა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გლობალური ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპს განსაზღვრავს. სოციალური მედია განაგრძობს დინამიკურ ზრდას და სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე. იგი საფუძვლიანად გარდაქმნის მოგზაურთა და ტურისტთა მიერ ინფორმაციის მოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს, ამავდროულად უზრუნველყოფს ფართო და მრავალმხრივი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ტურისტული მომსახურების მომწოდებლებისა და დანიშნულების ადგილების შესახებ.

ციფრული მარკეტინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გასტრონომიული ტურიზმის განვითარებისათვის. იგი აერთიანებს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, კრეატიულ მიდგომებსა და ადამიანურ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს რო-

გორც ქვეყნის კულტურული ღირებულებების ეფექტიან პოპულარიზაციას, ისე ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას. სწორად განსაზღვრული სტრატეგიებისა და მიზნობრივი გამოყენების პირობებში, ციფრული მარკეტინგი ხელს უწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას გემოების, ტრადიციებისა და სტუმართმოყვარეობის გამორჩეულ ტურისტულ დანიშნულებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Google Lens Is Changing How You Order When Eating Out. <https://www.taste.com.au/articles/google-lens-changing-you-order-eating-out/4fgn6pil> 17/06/2026
- Kempiake J., Hollywooda L., Bolana P., and Gilmore A., Digital Marketing and Food Tourism: Towards a Better Understanding of Food Tourists' Engagement, 2016. https://ertr.tamu.edu/files/2016/01/ENTER2016_submission_23_.pdf 17/06/2026
- Sharma V., Bose I., Srivastava A., Jain G., Digital Marketing Strategies for Restaurants and Tourism Development in the Braj Region of Uttar Pradesh, India, Journal of Tourism Insights: Vol. 14: Iss. 1, Article 25. <https://scholarworks.gvsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1445&context=jti> 17/06/2026
- Sigala M., Christou E., Gretzel U., 2012.
- Smith M., Xiao H., Cultural Tourism in a Changing World: Politics, Participation and (Re)presentation, 2008.
- Social Media in Travel, Tourism and Hospitality: Theory, Practice and Cases. Routledge.
- Thirumoorthi Th., Moghavvemi S., Digital Marketing and Gastronomic Tourism, 2019. https://www.researchgate.net/publication/332438659_Digital_marketing_and_gastronomic_tourism 17/06/2026
- The Role of Digital Marketing in the Future of Food Tourism, By Andrea Wintergerst.
- The Routledge Handbook of Gastronomic Tourism, Edited by Saurabh Kumar Dixit, First published 2021 by Routledge.
- UNWTO, Tourism and Digital Transformation, World Tourism Organization, 2022. <https://www.unwto.org> 17/06/2026

- Velentza A., Metaxas Th., The Role of Digital Marketing in Tourism Businesses: An Empirical Investigation in Greece, 2023. <https://pdfs.semanticscholar.org/e1fc/016f0aaca2c7a70e891df91bb872bd4c3b5a.pdf> 17/06/2026
- Wintergerst A., The Role of Digital Marketing in the Future of Food Tourism, 2023. <https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9781003282532-11/role-digital-marketing-future-food-tourism-andrea-wintergerst> 17/06/2026

გამოყენებული ინტერნეტრესურსები:

- <https://www.hubspot.com> 17/06/2026
- <https://www.thinkwithgoogle.com> 17/06/2026
- <https://www.statista.com/topics/1164/social-networks> 17/06/2026

მაღსაზ ღვინჯილია,
კულტურული ტურიზმის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევროპის კულტურული მარშრუტები და საქართველოს ტურისტული პოტენციალი: ახალი ბამონჯივები

რეზიუმე

ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს - ევროპული კულტურული მემკვიდრეობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირით შექმნას მრავალშრიანი სივრცე საერთო ღირებულებების გასაზიარებლად; ასევე, ევროპის გეოგრაფიულ და ისტორიულ ერთიანობაზე დაფუძნებული კულტურული ქსელების ჩამოყალიბებას.

ევროპის კულტურული მარშრუტები, ფაქტობრივად, ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კულტურულ ღირებულებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის განსახორციელებლად იმ ქვეყნების ჩართულობით, რომლებიც ჯერ არ არიან ევროკავშირის წევრები. მარშრუტები ქმნიან წარმომადგენლობით პლატფორმას, რომელიც აკავშირებს კულტურულ იდენტობებს, ატარებს დიალოგს საერთო ისტორიაზე და, ამავდროულად,

ხელს უწყობს ევროპულ სტანდარტებზე დაყრდნობილ ადგილობრივი კულტურული ფენომენების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

ქართული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშების ჩართვა ევროპის კულტურულ მარშრუტებში საქართველოსთვის წარმოადგენს როგორც კულტურული ფენომენების პოპულარიზაციას, ასევე პოლიტიკურად ნეიტრალურ, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პლატფორმას ევროპასთან დიალოგისთვის.

საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს სამი სერტიფიცირებული ევროპული კულტურული მარშრუტი. ევროპული საბჭოს უწყებრივი ორგანიზაციისათვის მიწოდებულია ახალი პოტენციური მარშრუტების სია. მათი აღიარებაც საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რომელიც ითვალისწინებს ევროპული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებას. მოცემული პროცესის უზრუნველყოფაში მონაწილეობს საქართველოში

მოქმედი უწყებათშორისი სამთავრობო კომისიები და სფეროთი დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

ახალი პოტენციური ობიექტების ჩართვა ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი ჩვენი ქვეყნის პოზიციების გაძლიერებას, არსებული ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას, ახალი სერ-

ტიფიცირებული ევრომარშრუტების ქსელის შექმნას და ტურისტული ნაკადების ზრდას. აღნიშნულის მაღალ დონეზე უზრუნველსაყოფად კი საჭიროა კულტურული ტურიზმის დარგობრივი ექსპერტების მეტი ჩართულობა, როგორც მარშრუტების შედგენის, ასევე მიწოდების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კულტურა, მარშრუტი, ევროპა, პოტენციალი.

ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს - ევროპული კულტურული მემკვიდრეობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირით შექმნას მრავალშრიანი სივრცე საერთო ღირებულებების გასაზიარებლად; ასევე, ევროპის გეოგრაფიულ და ისტორიულ ერთიანობაზე დაფუძნებული კულტურული ქსელების ჩამოყალიბებას.

ევროპული კულტურული მარშრუტები მნიშვნელოვან და მრავალმხრივ როლს თამაშობენ ტურიზმის სექტორში, რაც უზრუნველყოფს როგორც ეკონომიკურ, ასევე საგანმანათლებლო სარგებელს და ხელს უწყობს კულტურათშორის გაცვლას. ევროპის საბჭომ ეს მარშრუტები შექმნა არა მხოლოდ ევროპული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, არამედ კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარების ინსტრუმენტად გამოყენებისთვის, რაც ხელს უწყობს ევროპული იდენტობის, ისტორიისა და ტრადიციების უკეთ გააზრებას. საინტერესოა ტურიზმში მათი როლისა და მათი ფუნქციონალური ანალიზის განსაზღვრა.

ევროპის კულტურული მარშრუტების ქსელი პირდაპირ კულტურული ტურიზმის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. კულტურული მარშრუტები თავისი არსით უფრო სიღრმისეულ და მნიშვნელოვან გამოცდილებას გვთავაზობს, ვიდრე ტრადიციული ტურისტული ღირსშესანიშნაობები. ამ მარშრუტებზე მოგზაური ტურისტები არა მხოლოდ ღირსშესანიშნაობებს სტუმრობენ, არამედ

ეცნობიან ისტორიას, ხელოვნებას, არქიტექტურასა და ტრადიციებს.

არსებული მარშრუტები ავითარებს ტურიზმს, ხელს უწყობს ისტორიული ადგილების, კულტურული ლანდშაფტებისა და არამატერიალური მემკვიდრეობის, შენარჩუნებას. ამ მიმართულებების პოპულარიზაციით, ტურისტები უზრუნველყოფენ ადგილობრივი წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას და უნიკალური ობიექტების დაცვას განადგურებისგან.¹

ეკონომიკური სარგებელი. კულტურულ მარშრუტებს შეუძლიათ ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება, განსაკუთრებით ნაკლებად მონახულებად ადგილებში. კულტურული მარშრუტების გასწვრივ მდებარე პატარა ქალაქები და სოფლები გამოირჩევიან ტურისტული ნაკადის ზრდით, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

სამუშაო ადგილების შექმნა: კულტურულ მარშრუტებთან დაკავშირებული ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს მასპინძლობის ინდუსტრიაში კვალიფიცირებული გიდების, ექსკურსიამძღოლების, კვების, განთავსებისა და სატრანსპორტო მომსახურების სფეროში. ამ სამუშაო ადგილების შექმნას შეუძლია უზრუნველყოს შემოსავლის მდგრადი წყაროები ადგილობრივი თემებისთვის.

ეს მარშრუტები ხელს უწყობს კულტურათმორის დიალოგს, აძლიერებს ურთიერთპატივისცემას სხვადასხვა თემს შორის და ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას საერთო ისტორიასა და საერთო ადამიანურ გამოცდილებაზე ფოკუსირებით. მაგალითად, ებრაული მემკვიდრეობის მარშრუტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანების განათლებაში ებრაული კულტურისა და ისტორიის, ასევე ევროპაში ებრაული თემების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.²

კულტურული მარშრუტები ურბანული კულტურული ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება. ისტორიის შენარჩუნება და გარემოსა და ადგილობრივი თემების პატივისცემა მათ ტურიზმის ალტერნატიულ ფორმებად აქცევს. დღეს ეს მარშრუტები კვლავაც ხელს უწყობს კულტურულ გაგებას, მდგრად განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

1 Council of Europe Portal, Cultural Routes.

2 Cultural Routes of the Council of Europe, Country Mapping Document.

ბოლო წლებში კულტურული მარშრუტების გამოყენება მთავრობების ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც სივრცითი განვითარების, ტერიტორიების ხელშეწყობის, ადგილობრივი და ეროვნული ეკონომიკის მხარდაჭერისა და კულტურული იდენტობის ხელშეწყობის ინსტრუმენტი. სწორედ აქ გამოდის წინა პლანზე ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტიციები. ეს არის კულტურული მემკვიდრეობისა და მრავალფეროვნების იდენტიფიცირების ყოვლისმომცველი მიდგომა, რაც ზრდის ტერიტორიების მიმზიდველობას.¹

ღონისძიებები და ფესტივალები: კულტურული მარშრუტები ხშირად ემთხვევა ტრადიციულ ფესტივალებს, ხელნაკეთი ნივთების ბაზრობებს, ხელოვნების გამოფენებსა და წარმოდგენებს.

კულტურული მარშრუტები კულტურული ტურიზმის გაძლიერების მართვის ძირითადი ინსტრუმენტია. ეს არის სტრუქტურირებული ტურები ცენტრალური თემატური ღერძის გარშემო, რომლებიც მიზნად ისახავს ქალაქის ან უფრო დიდი ტერიტორიის შესაბამისი ისტორიული და ბუნებრივი, არამატერიალური და მატერიალური ძეგლების შესწავლას.²

ევროპული ტურისტული იდენტობის გაძლიერება. ევროპის კულტურული მარშრუტები ხელს უწყობს საერთო ევროპული კულტურული იდენტობის განვითარებას და აძლიერებს ევროპის, როგორც მსოფლიო მასშტაბით კულტურული ტურიზმის მთავარი დანიშნულების ადგილის, პოზიციას. მარშრუტები ასევე ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყანას, რეგიონსა და მუნიციპალიტეტს შორის. მარშრუტების წარმატება დამოკიდებულია მათი პოპულარიზაციისა და მართვის კოორდინირებულ ძალისხმევაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო ძლიერი პარტნიორობა და პოლიტიკის შემუშავება საერთაშორისო დონეზე.

ისტორიული ქალაქებისა და ტრადიციული სასოფლო დასახლებების ნიშანდობლივი ღირებულებები და მახასიათებლები უნდა განიხილებოდეს უფრო ფართო - რეგიონალური და ეროვნული განვითარების გეგმების კონტექსტში. ეს ხშირად ერთადერთი გზაა დაგეგმვის პროცედურების გადამწყვეტ ეტაპებზე ამ დასახლებებისა და ქალაქების სპეციფიკური ფუნქციური, სოციალური

1 Rachiotis, Poulaki, Cultural, 2024, pp. 87-109.

2 Mitoula, Kaldis, City, 2019, pp. 118-131.

და ეკონომიკური მოთხოვნების სათანადო გათვალისწინების გარანტირებისათვის. გარემოს ავთენტურობა გამოიხატება ობიექტისა და მისი ფიზიკური კონტექსტის ურთიერთკავშირით. ეს მოიცავს ბუნებრივი და ურბანული ლანდშაფტის ღირებულებებსა და ადამიანის მიერ შექმნილი ნაგებობების ურთიერთკავშირს მათი გარემოს კონტექსტთან.¹

სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტები შეფასდება სამ წელიწადში ერთხელ. ახალ კულტურულ მარშრუტებს სერტიფიცირებას ანიჭებს ევროპის საბჭო, რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით: მარშრუტი თემატურად უნდა წარმოადგენდეს ევროპულ ღირებულებებს და მოიცავდეს მინიმუმ სამ ქვეყანას ევროპაში; იყოს ტრანსნაციონალური, მულტიდისციპლინური სამეცნიერო კვლევის საგანი; ხელს უნდა უწყობდეს ევროპული მემკვიდრეობის, ისტორიისა და მემკვიდრეობის გაძლიერებას და ევროპის თანამედროვე მრავალფეროვნების ინტეგრირებას; ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდების კულტურულ და საგანმანათლებლო პროგრამების გაცვლას ან/და პროგრამებში ჩართულობას; კულტურული ტურიზმის სფეროში ხელს უნდა უწყობდეს მდგრადი და ინოვაციური პროექტების შემუშავებას და მდგრად კულტურულ განვითარებას; ავითარებდეს ტურისტულ პროდუქტებს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისათვის.²

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო არის ქვეყანა, რომელიც მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით, ისტორიითა და ბუნებრივი სილამაზით. მიუხედავად იმისა, რომ თავად საქართველო პირდაპირ არ შედის ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ევროპულ კულტურულ მარშრუტებში, მას აქვს საკუთარი კულტურული მარშრუტები და ისტორიული ბილიკები, რომლებიც იზიდავს ტურისტებს, რომლებიც ეძებენ ისტორიას, სულიერებასა და უნიკალურ კულტურულ გამოცდილებას.

საქართველო ამჟამად ევროპის საბჭოს ხუთი სერტიფიცირებული კულტურული მარშრუტის მონაწილეა: ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი; ღვინის გზა; პრეისტორიული კლდის მხატვრობა; ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი; ისტორიული ბაღების ევროპული გზა.

1 ფილდენი, იოკილეტო, მსოფლიო, 2007, გვ. 132-133.

2 ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები.

ქუთაისში 2021 წელს ჩატარდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების მე-10 ყოველწლიური საკონსულტაციო ფორუმი სახელწოდებით „მდგრადი კულტურული მარშრუტები კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზის კვალდაკვალ“. აღნიშნული ფორუმის ფარგლებში საინტერესო წინადადებები იქნა გაცვლილი საქართველოსა და ევროპის კულტურული მარშრუტების ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის.¹

მოდით განვიხილოთ საქართველოს რამდენიმე ძირითადი კულტურული მარშრუტი და ტურისტული ღირსშესანიშნაობა:

ქართული ღვინის გზა. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ღვინის მწარმოებელი ქვეყანაა, 7000-წლიანი მეღვინეობის ტრადიციით. ქართული ღვინის გზა გადის ქვეყნის მეღვინეობის რეგიონებში, კერძოდ, კახეთში, ქართლსა და იმერეთში. ვიზიტორებს შეუძლიათ ვენახების დათვალიერება, ღვინის მარნების მონახულება და ადგილობრივი ღვინის მრავალფეროვნების დაგემოვნება. კახეთი, კერძოდ, ცნობილია ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდით, რომელიც იუნესკომ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარა.

მარშრუტი საშუალებას იძლევა განიცადოთ ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა, ფოლკლორი და სამზარეულო, ასევე ღრმად ფესვგადგმული მეღვინეობის კულტურა. რაც შეეხება ევროპულ მარშრუტებში ჩართვა შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით. პირველი: საქართველოში არსებობს მრავალი ფრანგული ჯიშის ვაზი (შარდონე, ალგოტე, ოლიგონე და სხვა), რომლიდანაც მზადდება შუშხუნა ღვინოები. განსაკუთრებული ლოკაციაა იმერეთის რეგიონი. შესაბამისად, ღვინის მოყვარული ფრანგებისათვის ერთგვარი გამოწვევა იქნება მათი ვაზის ქართულად დაყენების ტრადიცია და მისი დაგემოვნება. მეორე მხრივ – საქართველო ღვინის სამშობლოა და ევროპის ყველა ღვინის მწარმოებელი ქვეყნის ტურისტებისათვის ნამდვილად ინტერეს-მოკლებული არ იქნება ქართული ღვინის დაწურვის ტექნოლოგიის და განსაკუთრებით ქვევრზე დაყენებული ღვინის გაცნობა-დეგუსტაცია. რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცესი საინტერესო იქნება, როგორც რთველის, ასევე ნებისმიერ სხვა პერიოდშიც, ეთნოგრაფიული ელემენტების თანხლებით.

¹ ქუთაისი ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმს მასპინძლობს, 2021.

ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი არა მხოლოდ კულტურული ტურიზმის ნაწილია, არამედ ევროპის მეხსიერების პოლიტიკის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ებრაული კულტურისა და მემკვიდრეობის შენარჩუნებას საქართველოში. საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა დასახლებაში (ონი, კულაში, ქუთაისი, სურამი და ასე შემდეგ) დღესაც ფუნქციონირებს ებრაული სინაგოგები და სახლები. ეს მარშრუტი საინტერესოა როგორც ებრაელი დიასპორისათვის, ასევე ინტერნაციონალური მოგზაურებისთვის, რომლებიც ეძებენ უნიკალურ კულტურულ გამოცდილებას. საქართველოს ებრაელები და ქართველები გამოირჩევიან 3000-წლიანი ტოლერანტობისა და თანაცხოვრების უნიკალური ისტორიით, რაც ამ მარშრუტს განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის.

პრეისტორიული კლდის მხატვრობა – თრიალეთის პეტროგლიფები საქართველოს ტერიტორიაზე პრეისტორიული მხატვრობის ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია. ის მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, თრიალეთში, სოფელი განთიადში (ყოფილი სოფელი თაქილისა), მდინარე ავდრის ხევის (ყოფილი პატარა ხრამი) კანიონისებური ხეობის მარჯვენა ნაპირზე. კლდოვან ზედაპირზე უმეტესად გამოსახულია ცხოველთა კონტურული, იშვიათად კი – ხაზოვანი ნაკაწრ-ნახატები, კერძოდ: ირმების, შვლების, ჯიხვების, ცხენების, ლომის, აქლემების, ქვეწარმავლების, თევზის, ფრინველის, ფანტასტიკური და ჰიბრიდული ცხოველების გამოსახულებები. გვხვდება ცალკეული კომპოზიციები: სიმბოლურად გადმოცემული ნადირობის სცენა, ცხენების რემა, მახეში გაბმული ცხოველები და სხვა, ასევე გამოსახულია სოლარული ნიშნები და ბევრი გაურკვეველი სიმბოლო, ანთროპომორფული ფიგურები – მშვილდისრიანი მონადირე მამაკაცები.¹

მისი ჩართვა ევროპის კულტურულ მარშრუტებში განაპირობა ანალოგიური პრეისტორიული ძეგლების შენარჩუნება-პოპულარიზაციის მიზნით ევროპის საბჭოს მიერ ამ უნიკალური ნიმუშების დაცვის ერთობლივი ჩარჩო-კონვენციის შედგენამ. შესაბამისად, ევროპის ტერიტორიაზე მცირეა არსებული ობიექტების მაჩვენებელი და მათი შენარჩუნება ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

¹ ალაპიშვილი, გაბუნია, ჯაყელი, კლდის, 2020, გვ. 13-23.

საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების „პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტის სრულყოფილი ბიანი წევრი გახდა. ქვეყნის სახელით, ევროპული უწყების წევრობის სტატუსი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიენიჭა. იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ირლანდიის, ნორვეგიისა და აზერბაიჯანის შემდეგ, საქართველო პრეისტორიული ხელოვნების ევროპული მარშრუტის მე-8 სრულყოფილებიანი წევრია.

„პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტში გაწევრიანებით, საქართველო საერთაშორისო ტურიზმის ინტერესთა სფეროში კიდევ უფრო მეტი შინაარსობრიობით წარმოჩინდება, რაც შედეგად ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს.¹

